დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2022 წლის 28 მარტი - 3 აპრილი
N 14 1426
ფასი 3 ლარი და 30 თეთრი

# ამხანაგო სალომე! იმხანაგო ბაიდენ!







რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ „ლეონიდ ბრეჟნევს“ – იმხანაგ ჯოზეფ ბაიდენს ამხანაგი სალომე ზურაბიშვილი ნეპალის პრეზიდენტში ბიდჰია დევი ბჰანდარში აერიოს!

2-3

# დაგვანებეთ თავი!



ვინ იძლევა გარანტიას, რომ ბრეჟნევის ფაზაში გადასულ იმხანაგ ბაიდენს ქართველები თურქებში არ აევერევით?

## არა - მეორე ფრონტს საქართველოში!!!

3

გიორგი მამაცაშვილი





## ფრთხილად, გალაკტიონის მკვლელი ცოცხალია!

10

მურმან ლებანიძე



## იყო ცხრაას ორმოცდა-ცხრამეტი წლის ტალახი

13



რევაზ მიშველაძე

## გალაკტიონის სიკვდილი

11

ქარის სიჩქარე „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში“ და ქარს გატანებული დაზღვევის გადასახადი

8-9

აი ჯი ჯი
საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

ფრთხილად, სანამ დააზღვევდეთ!

# ამხანაგო სალომე!

*გასულ კვირას საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა — „აქ იყო ამერიკის პრეზიდენტი, მივიღეთ ისე, როგორც არცერთი სხვა ქვეყნის პრეზიდენტი და, მგონი, დროა, რომ ეს გავიმეოროთ“.*

საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც თქვა — **„აქ იყო ამერიკის პრეზიდენტი“** — ბუნებრივია, 2005 წელს თბილისში **ჯორჯ ბუშ უმცროსის** ვიზიტს გულისხმობდა, ხოლო სიტყვები — **„მგონი, დროა, ეს გავიმეოროთ“** — გამოხატავს **სალომე ზურაბიშვილის სურვილს,** თბილისს აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** ეწვიოს.

2005 წელს საქართველოში ამერიკის პრეზიდენტ **ბუშის** ვიზიტი მართლაც უპრეცედენტო მოვლენა იყო, რასაც ე.წ. ვარდების რევოლუციის ბანგიდან ჯერ კიდევ არგამოსული ჩვენი მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა და უმაღლესი რანგის სტუმრისადმი პატივისცემის ნიშნად თბილისის ცენტრალურ გამზირზე ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა, ცოტა ხანში კი დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას, რომელსაც ადრე **მელაანის ქუჩა** ერქვა, **ჯორჯ ბუშის სახელი** ეწოდა.

**რა მოხდა ამის შემდეგ და რა შედეგები მოიმკა საქართველომ ამერიკის პრეზიდენტის ისტორიული ვიზიტის კვალდაკვალ? რა მიიღო ქართველმა ხალხმა, რომელიც ფიქრობდა, რომ ჯორჯ ბუშის თბილისში ჩამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ძლიერი მხარდაჭერის გარანტია იქნებოდა?**

### ამერიკის პრეზიდენტის თბილისში ვიზიტის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება სისხლიან რეჟიმად გადაიქცა და ავტორიტარული მმართველობის დამყარება დაიწყო, რაშიც მას ბუშის ადმინისტრაციისაგან მართლაც ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა.

თუ უფრო დავაკონკრეტებთ, **სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებრივ რეჟიმად ტრანსფორმაციასა და სრულ თავაშვებულობას დასაბამი მისცა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ 2005 წელს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ნათქვამმა ფრაზამ, რომ „საქართველო არის დემოკრატიის შუქურა“.**

ბუშის ეს ფრაზა, რაღა თქმა უნდა, **„დემოკრატიის შუქურად“** პრეზიდენტ სააკაშვილის გამოცხადებას ნიშნავდა!

ის იყო გზავნილი, რომ თეთრი სახლი ნაციონალური მოძრაობის მმართველობას განიხილავდა როგორც საქართველოში დემოკრატიის კაშკაშსა და ელვარებას!

ამერიკის პრეზიდენტის ეს სიტყვები სააკაშვილმა და მისმა ბიჭებმა გაიგეს, როგორც **„მიდით, ჯენტლმენებო, თქვენ ყველაფრის უფლება გეძლევათ!“**

ჰოდა, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის, რამაც საქართველოში სისხლის მდინარეები დააყენა და ცხედრების მთა-გორები დადგა, რამაც აღაზევა არცთუ ლოკალური მასშტაბის ნეოფაშიზმი და პენიტენციურ სისტემაში წამებისა და გაუპატიურების დანერგვით შექმნა **ქართული აბუ-გრეიბი.**

წლების განმავლობაში ასეთი უბედურების ქვეშ მგმინავი ქართველი ხალხი ამაოდ აპარებდა იმედიან მზერას ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ — იქნებ იქიდან მოვიდეს ხსნა, იქნებ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი დაგვეხმაროს მტარვალი რეჟიმისაგან დემოკრატიული გზით გათავისუფლებაშიო, მაგრამ **ნათბილისარ და მეიდნის ფიცარნაგზე ნაცეკვარ ჯორჯ ბუშს** ქართველი ხალხის ხმა არ ესმოდა. იგი ვერ ამჩნევდა, როგორ ჩაქრა და ჩაწკვარამდა მის მიერ სახელდებული **„დემოკრატიის შუქურა“.**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამერიკის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშ უფროსის** ფრაზამ — **„გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“** — მწვანე შუქი აუნთო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას, ხოლო ამერიკის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშ უმცროსის** ფრაზამ — **„საქართველო არის დემოკრატიის შუქურა“** — მწვანე შუქი მისცა სააკაშვილის მიერ ანტიადამიანური, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის დამყარებას!

დიახ, ეს იყო თბილისში ბუშის ვიზიტის მთავარი შედეგი!

ეს მიიღო ბუშის მიერ მხარდაჭერილი რეჟიმისაგან ქართველმა ხალხმა, რომელმაც, სალომე ზურაბიშვილის თქმისა არ იყოს, ამერიკის პრეზიდენტი მიიღო ისე, როგორც არცერთი სხვა ქვეყნის პრეზიდენტი არ მიუღია!

**აღარაფერს ვამბობთ 2008 წლის აგვისტოს ომზე,** რომლის გაჩაღების მომენტშიც ამერიკის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** და რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** ერთად ესწრებოდნენ პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ღონისძიებას.

**აღარც იმაზე ღირს ყურადღების გამახვილება, რომ უზარმაზარი რუსეთის სამხედრო აგრესიის ქვეშ მოყოლილი პატარა საქართველოს დახმარება მთავარი სტრატეგიული პარტნიორის — ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთის გამოგზავნაში გამოიხატა.**

უბრალოდ, 2008 წლის აგვისტოში ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სრულიად ფუჭი ყოფილა ის იმედები და მოლოდინები, რომლებიც იმხანად თბილისში ამერიკის პრეზიდენტის **ჯორჯ ბუშის** ვიზიტმა გამოიწვია.

შესაბამისად, **ამხანაგ,** როცა საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** აცხადებს — **დროა, ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი განმეორდესო,** ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს უჩნდება ლეგიტიმური კითხვა — **რა სარგებელს მოუტანს საქართველოს ჯო ბაიდენის სტუმრობა? იქნება ეს გზავნილი ქართველი ხალხისათვის, რომ სტრატეგიული პარტნიორი ჩვენ გვერდით დგას და რუსეთის მორიგი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მის პირისპირ მარტო აღარ დაგვტოვებს?**

სამწუხაროდ, ბაიდენის ვიზიტი ამის გამოხატულება ვერ იქნება, რადგან



**რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ „ლეონიდ ბრეჟნევს“ – იმხანაგ ჯოზეფ ბაიდენს საქართველოს პრეზიდენტი ამხანაგი სალომე ზურაბიშვილი სულ მთლად ნეპალის პრეზიდენტში, ქალბატონ ბიდჰია დევი ბჰანდარში აერიოს!**

ეს არ უნდა მოხდეს!

# დაგვანებეთ თავი!!!

*— „დამანებეთ თავი! თავი დამანებეთ!“ — ყვირის რეზო ესაძის გენიალურ „ნეილონის ნაძვის ხეში“ გურამ პეტრიაშვილის კინოგმირი, რომელსაც მგზავრები ავტობუსში სიგარეტის მოწევას უშლიან და ქოქოლას აყრიან, რაც, საბოლოო ჯამში, ტრანსპორტიდან მისი ჩაგდებით მთავრდება.*

**— „დაგვანებეთ თავი! თავი დაგვანებეთ!“** — ყვირის დღეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი, რომელიც ისმენს და ხედავს, თუ როგორ ცდილობენ საქართველოს ჩათრევას რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში **ადგილობრივი ნაცპროვოკატორები და მათი საზღვარგარეთელი მოკავშირენი,** მათ შორის, **უკრაინის სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები.**

თანაც, საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ **ნაცპროვოკატორები და მათი საზღვარგარეთელი მოკავშირეები** საქართველოს ომში ჩათრევის სურვილს „შემოვლითი“ განცხადებებითაც აღარ ნიღბავენ და პირდაპირ გვეუბნებიან — **ქართველებს უკრაინელების დახმარება თუ გინდათ, თქვენს ქვეყანაში რუსეთს მეორე ფრონტი უნდა გაუხსნათო!**

მაგალითად, **უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა** ალექსეი დანილოვმა რამდენიმე დღის წინათ დაუფარავად განაცხადა: ***„თუ დნესტრისპირეთი და საქართველო დღეს დაკავებული იქნებიან თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებით, უფრო მეტიც, პოლონეთს ჯერ ოფიციალურად არ გამოუთქვამს პრეტენზია კალინინგრადის რეგიონზე, ეს აუცილებლად დაგვეხმარება, რადგან რუსებს რამე ექნებათ გასაკეთებელი, გარდა ჩვენი ქალაქების განადგურებისა, ჩვენი ბავშვების და ქალების მკვლელობისა“.***

გესმით? უკრაინის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი პირდაპირ ამბობს — **საქართველომ თავისი ტერიტორიების დასაბრუნებლად სამხედრო მოქმედებები უნდა დაიწყოს, რათა რუსეთს ახალი პრობლემები გაუჩნდეს და უკრაინული ქალაქების დაბომბვის გარდა ქართული ქალაქების დაბომბვაზეც გადაერთოს, უკრაინელი ქალებისა და ბავშვების გარდა ქართველი ქალები და ბავშვებიც დახოცოსო!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩემთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისთვის, **უზენაესი ინტერესი არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოქალაქეების, მათ შორის, თქვენი, ვინც ჩემს პოზიციას არ ეთანხმებით, უსაფრთხოების დაცვა.** უპრეცედენტო გმირობა გამოიჩინეს ჩვენმა სამხედროებმა აგვისტოს ომში, ასევე **უპრეცედენტო ლაჩრობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა სააკაშვილმა, რომელმაც სიმხდალის, ლაჩრობის ყველა რეკორდი მოხსნა კაცობრიობის არსებობის მანძილზე** და, რა თქმა უნდა, ესეც ძალიან კარგად გვახსოვს, ასე რომ, **ადამიანი, რომელმაც ასეთი სიმხდალე გამოიჩინა, ეს მოღალატეობრივი ჯგუფი და რადიკალური ჯგუფი დღეს ჩვენ არ უნდა გვასწავლიდეს ჩვენი ქვეყნის სიყვარულს.**

მინდა, ამაყად ვთქვა, რომ **დღეს ჩვენი ჯარი არის ძლიერი** და ნატოსთან ურთიერთთავსებადი მეტად, ვიდრე — ოდესმე.

„რეზონანსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



ევროსასამართლომ უკვე განიხილა **გირგვლიანისა და გელაშვილის საქმეები** და პირდაპირ დაადგინა ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევები. **სააკაშვილი და მისი ხელისუფლება სასამართლომ ამხილა ორკესტრირებულად მოქმედებაში.** ევროსასამართლომ თქვა, რომ პრეზიდენტი და მისი ყველა დაქვემდებარებული უწყება, ხელისუფლების ყველა შტო მოქმედებდა კოორდინირებულად, რათა არ აღსრულებულიყო მართლმსაჯულება. **რას ასაჩივრებს სააკაშვილი? სანდრო გირგვლიანი არ მოუკლავთ და მისი უფლებები არ დარღვეულა? ვალერი გელაშვილის მიმართ უმძიმესი ანგარიშსწორება არ ყოფილა?**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



კარგი იქნება, **სააკაშვილს** დაუსვათ შეკითხვა, როდის გაიარა საბრძოლო წვრთნები: ომამდე თუ ომის შემდეგ — **ომის დროს მიწაზე ფორთხვით წარუდგა საზოგადოებას. შეარცხვინა ქართველი ერი და შეარცხვინა ჩვენი ქვეყანა, საზოგადოება.** მიატოვა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და გარბოდა.

„ინტერპრესნიუსი“

# იმხანაგო ბაიდენ!



**ვინ იძლევა გარანტიას, რომ ბრეჟნევის ფაზაში გადასულ ბაიდენს ქართველები თურქებში არ აევრევით?**

## ქართველი ხალხი და მსოფლიო საზოგადოება უკრაინის მაგალითზე თვალნათლივ ხედავს, თუ რას ნიშნავს ამერიკისა და ნატოს მხრიდან საკუთარი მოკავშირეების „მხარდაჭერა“ და „მარტო არდატოვება“ მაშინ, როცა საქმე რუსული სამხედრო ინტერვენციის შეჩერებას ეხება.

დიახ, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხისათვის უპირველესი საკითხი სწორედ ის არის, **რამდენად ძალუძს ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს უსაფრთხოების დაცვა,** თორემ ლიტონი განცხადებები „დემოკრატიის გაძლიერებაზე“, „სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებასა“ თუ „ნატოს ღია კარზე“ ისედაც ყოველდღე გვესმის.

სულაც არ არის საჭირო, ამხანაგ თბილისში პირადად ბაიდენი ჩამოვიდეს იმის სათქმელად, რომ ამერიკა და ნატო ჩვენ გამო რუსეთთან არ იომებენ, მაგრამ იარაღს მოგვცემენ, რათა ჩვენ თვითონ უკანასკნელ ქართველ ჯარისკაცამდე ვიომოთ!

არ არის აუცილებელი ამხანაგ აშშ-ის პრეზიდენტი პირადად ჩამობრძანდეს იმის სათქმელად, რომ საქართველოსთვის ნატოს კარი ღიაა, მაგრამ შესვლით კი ვერ შეგვიშვებენ, რადგან ეს მათთვის რუსეთთან პოტენციური სამხედრო კონფლიქტის ალბათობას გაზრდის!

**ამ ყველაფერს ისედაც კარგად ვხედავთ!**

**ეს ყველაფერი ისედაც კარგად გვესმის!**

სხვა თუ არაფერი, იმის გარანტიაც კი არ გვაქვს, რომ ამხანაგ ბრეჟნევის ფაზაში გადასულ იმხანაგ ბაიდენს ქართველები თურქებში არ ავერევით ისევე, როგორც უკრაინელები აერია ირანელებში და რამდენიმე დღის წინათ განაცხადა — **შეიძლება, რუსეთმა თავისი ტანკებით კიევი ალყაში მოაქციოს, მაგრამ ირანელების სულსა და გულს ვერასოდეს მიიღებსო!**

## იმავე ბაიდენმა გასულ კვირას რუსული ჯარების ალყაში მყოფ ქალაქ მარიუპოლს „მეტროპოლი“ უწოდა და თბილისში ჩამოსულმა ჩვენი დედაქალაქი, საიდანაც 40 კილომეტრში რუსული საოკუპაციო ჯარი დგას, მთლად თეირანად ან თელ-ავივად რომ გამოგვიცხადოს, რა წყალს მივცეთ თავი?

1981 წელს თბილისში სტუმრად მყოფ **ამ**ხანაგ ლეონიდ ბრეჟნევს შევარდნაძე ჰეიდარ ალიევში აერია და ედუარდს მიმართა — **ძვირფასო ჰეიდარ, მადლობა შენი სტუმართმოყვარეობისათვის, ამას არასოდეს დაგივიწყებო,** დღეს კი რეალური საფრთხე არსებობს, რომ საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ „ლეონიდ ბრეჟნევს“ — **იმ**ხანაგ ჯოზეფ ბაიდენს საქართველოს პრეზიდენტი, **ამ**ხანაგი სალომე ზურაბიშვილი სულ მთლად ნეპალის პრეზიდენტში, ქალბატონ ბიდჰია დევი ბჰანდარში აერიოს!

თუმცა, ამერიკისა და კოლექტიური დასავლეთის მხრიდან უკრაინისადმი რეალურ დამოკიდებულებას რომ ვხედავთ, სრულიად ცხადია, **ამერიკის პრეზიდენტი,** იმხანაგი **ბაიდენი საქართველოში ჩამომსვლელი არ არის და მის ჩამოსვლას უკვე აღარც აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა, საქართველოს პრეზიდენტს,** ამხანაგ **სალომე ზურაბიშვილს კი ვურჩევთ, პოლიტიკური ღრუბლებიდან მიწაზე ჩამოვიდეს და წყლის ნაყვის მაგივრად აქტიურად დაუჭიროს მხარი პრემიერ ღარიბაშვილის სწორ პოლიტიკას,** რომელიც საქართველოს უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ამერიკა-რუსეთის ომში გაკვეხებისა და დაღუპვისაგან იცავს!

*ჯაბა ხუბუა*

ეს არ უნდა მოხდეს!

# არა – მეორე ფრონტს საქართველოში!

**თუ რუსეთს საქართველოს დაბომბვა მოუწევს, თუ რუსულ აგრესიას საქართველოშიც შეეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა, ეს უკრაინას აუცილებლად დაეხმარებაო!** — არც მალავს საკუთარ სურვილსა თუ ოცნებას მაღალი რანგის უკრაინელი სახელმწიფო მოხელე.

**აი, თურმე, რა ყოფილა** ზელენსკის მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევის მიზანი!

**აი, თურმე, რატომ უნდოდა** უკრაინის ხელისუფლებას, რომ ქართულ სახელმწიფოს უკრაინაში მოხალისე მებრძოლების გაგზავნის ორგანიზება მოეხდინა!

**აი, თურმე, რას ემსახურებოდა** უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან **საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური „ბულინგი“,** როცა მან საქართველოს მთავრობას „ამორალური“ უწოდა!

დიახ, უკრაინის ხელისუფლება თავიდან პირდაპირ ვერ ამბობდა, რომ საქართველოს ომში ჩათრევა სურდა!

უკრაინის ხელისუფლება თავიდან არაპირდაპირი გზით — **თავის მოკავშირე ნაცების მეშვეობით** ცდილობდა, საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური და პროპაგანდისტული ზეწოლით მიეყვანა იქამდე, რომ **რუსეთისათვის მეორე ფრონტი გაეხსნა** და საომარ მოქმედებებში ჩართულიყო!



ალექსეი დანილოვი

თუმცა, უკრაინის ხელისუფლებამ ბოლომდე თავის შეკავება ვეღარ შეძლო და უშიშროების საბჭოს მდივნის დანილოვის პირით პირდაპირ თქვა ის, რასაც ფიქრობს — **იმისათვის, რომ უკრაინული ქალაქების დაბომბვა და უკრაინელების ხოცვა-ჟლეტა ნაწილობრივ მაინც შეწყდეს, საქართველომ რუსეთს ქართული ქალაქების დაბომბვისა და ქართველების ხოცვა-ჟლეტის საბაბი უნდა მისცეს!**

თქვენ წარმოიდგინეთ, უკრაინელი მაღალჩინოსნის ამ განცხადებამ თვით ნაცმოძრაობის „გებელსი“ ნიკა გვარამიაც კი აღაშფოთა, რომელმაც დანილოვის განცხადების პასუხად სოციალურ ქსელში დაწერა: **„დიდი ბოდიში ახლა, მაგრამ უკვე ნამეტანია — „ცოტა დახოცილებში შეგვეხიდეთ, თქვენიც მოკვდეს ერთი-ორი“ — მოწოდებაა. თან, არავის ეს არ აწყობს, რუსეთის გარდა. ასე რომ, ყველაფერი, რაც უკრაინულადაა ნათქვამი, არც სწორია და არც სამართლიანი“.**

ვფიქრობთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია და არც არაფერია სათქმელი გარდა ერთისა — **დაგვანებეთ თავი!** არა — მეორე ფრონტს საქართველოში!

**საქართველო ქართველი და უკრაინელი ნაცების პროვოკაციას არ აჰყვება!**

*ჯაბა ხუბუა*

კვირგვინოსნები

**გიგლა ბარამიძე**
*აღმოსავლეთმცოდნე*



უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი **ალექსეი დანილოვი** აცხადებს — **„საქართველო, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე სწორად იქცევა“** და მოგვიწოდებს: **„კარგი იქნება, თუ საქართველო რუსეთს მეორე ფრონტს გაუხსნის“.**

მივმართავ **დანილოვსა და დანილოვის მსგავს მაღალჩინოსნებს** მეგობარ უკრაინაში: **გეყოთ! ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, თქვენს უმძიმეს განცხადებებს საქართველოსთან დაკავშირებით!**

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არ განვიხილოთ **„ომის პარტიის“,** ასევე მისი დანაყოფების არცერთი ინიციატივა. წარმოუდგენელია, შეხვიდე იმ ხალხის მიერ ინიცირებული საკითხების შინაარსის განხილვაში, რომლებიც **ჰიბრიდულ, საინფორმაციო ომს აწარმოებენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.** მათი მიზანია, საქართველო ჩაითრიონ ომში.

„აიპრესი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სწორი გააკეთა მთავრობამ, მოხალისეების უკრაინაში გაგზავნის ორგანიზება რომ არ მოახდინა** — ამაში უკვე ოპოზიციაც გვეთანხმება, მათ შორის **ნაცმოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს ვესაუბრე და ისინიც ადასტურებენ.**

„პალიტრანიუსი“

**ანტონიო გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*



კიდევ რამდენი სიცოცხლე უნდა დაიკარგოს? კიდევ რამდენი ბომბი უნდა ჩამოვარდეს? **კიდევ რამდენი** უკრაინელი და რუსი უნდა დაიღუპოს, სანამ ყველა მიხვდება, რომ **ამ ომს არ ჰყავს გამარჯვებულები,** არამედ მხოლოდ დამარცხებულები?

„რეზონანსი“



# კახა კუკავა: დღეს ნამდვილად არსებობს სააკაშვილის რევანშის საფრთხე და ამაში მთავარი დამნაშავე „ქართული ოცნებაა!“

*რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტი არანაკლებ მძაფრი საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომის ფონზე ვითარდება. შესაბამისად, პროპაგანდის ერთი მხარე გვეუბნება, რომ სამხედრო კონფლიქტში უკრაინა იმარჯვებს, ხოლო მეორე მხარე რუსეთის უცილობელ გამარჯვებაზე საუბრობს. როგორია რეალობა და, საერთოდ, შეიძლება თუ არა ორ სლავურ ქვეყანას შორის სისხლისმღვრელ კონფლიქტს გამარჯვებული ჰყავდეს? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას ვესაუბრებით:*

— აშკარაა, რომ კრემლი პროპაგანდისტულ ომს აგებს, მაგრამ სამხედრო ომში რუსეთს უკრაინასთან აბსოლუტური უპირატესობა აქვს. ცალკე საკითხია ეკონომიკური ომი, რომელიც ამ ეტაპზე გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს.

**— იმის თქმა გინდათ, რომ კოლექტიური დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების მიუხედავად, რუსეთი ეკონომიკურ ომში ჯერაც არ დამარცხებულა?**

— ყველამ კარგად იცის, რომ **„მაკდონალდსის“ რესტორნების დაკეტვითა და მსგავსი ტიპის სანქციებით რუსეთის ეკონომიკა არ დაემხობა.** არსებობს მოლოდინი, რომ უახლოესი 6 თვის განმავლობაში რუსეთში საკვები პროდუქტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეიქმნება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური წნეხი გაგრძელდება, რაც უეჭველი სულაც არ არის.

**— ფიქრობთ, რომ უახლოეს მომავალში დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს შეწყვეტს?**

— აშკარაა, რომ ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით საფრანგეთი და გერმანია, რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ უჭერენ მხარს და ის სანქციებიც, რაც უკვე დაწესებულია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის აქტიურობის შედეგია. მოკლედ, **გერმანიაშიც, საფრანგეთშიც, იტალიაშიც სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მომგებიანია მათთვის ანტირუსული სანქციების დაწესება, ესპანეთში კი საერთოდ მასშტაბური აქციებია დაწყებული სანქციების პოლიტიკის წინააღმდეგ.** საქმე ის არის, რომ სანქციების გაგრძელება უარყოფითად აისახება არამხოლოდ რუსეთის ეკონომიკაზე, არამედ თავად სანქციების დამწესებელი ევროპული ქვეყნების ეკონომიკებზეც.

**— რატომ არ ეხება არცერთი სანქცია რუსულ ენერგომატარებლებს — გაზსადენებსა და ნავთობსადენებს და თვით უკრაინაც კი გაგანია ომის პირობებში რატომ არ წყვეტს საკუთარი ტერიტორიის გავლით რუსული გაზის ტრანზიტს ევროპაში?**

— სწორედ ეს არის დღეს ცენტრალური კითხვა! უკრაინის მთავრობა ევროკავშირს ამუნათებს — თქვენ მიერ შესყიდული თითოეული კუბმეტრი რუსული გაზი უკრაინელი ბავშვების მკვლელობაში გადახდილი ფულიაო, მაგრამ უკრაინა თავად ახორციელებს რუსული გაზის ტრანზიტს ევროპაში, რითიც რუსეთის ეკონომიკა დიდ სარგებელს ნახულობს. **ახლა პუტინს ხშირად ადარებენ ჰიტლერს, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირს გერმანული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვით ასეულობით მილიონი დოლარი რომ ჩაერიცხა ჰიტლერის ბიუჯეტში!**

საბოლოო ჯამში, აშკარად იგრძნობა, რომ დასავლეთს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, მიიყვანოს თუ არა ბოლომდე პუტინის წინააღმდეგ ეკონომიკური ომი. რაც შეეხებათ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების მთავარი ინიციატორები არიან, მათ რუსეთთან ისედაც არა აქვთ დიდი ეკონომიკური ურთიერთობები. მაგალითად, **ბრიტანეთი რუსული გაზის შესყიდვას თუ შეწყვეტს, ეს რუსეთის ეკონომიკისათვის არანაირი ზარალის მომტანი არ იქნება.**

გარდა ამისა, მსოფლიოში უკვე არსებობენ სხვა ეკონომიკური გიგანტებიც — ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, საუდის არაბეთი, თურქეთი, რომლებიც სრულებით არ გამოხატავენ სურვილს, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პოლიტიკას შეუერთდნენ!

**— უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე, საკმაოდ დიდი პოლიტიკური წნეხისა და, როგორც ახლა უყვართ თქმა, ბულინგის ქვეშ იმყოფება საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით პუტინის მოკავშირეობაში ადანაშაულებს, რადგან რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა და ფრთხილი პოლიტიკა აირჩია. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— მართალია, სანქციებზე არმიერთებასთან დაკავშირებით ღარიბაშვილის პირველი განცხადება ცოტა ხისტი იყო, მაგრამ **შინაარსობრივად სწორია, რომ უკრაინის მიმართ მხარდაჭერა ზომიერად და აკადემიურად იქნას გამოხატული;** სწორია, რომ რუსეთის დასაზიანებლად ეკონომიკურ სანქციებში საქართველო ვერავითარ როლს ვერ ითამაშებს; სწორია, რომ სამხედრო დაპირისპირებისაგან მაქსიმალურად უნდა ვიყოთ დისტანცირებული. ასეთივე პოზიცია აქვს არჩეული მთელ მსოფლიოს, გარდა ანგლოსაქსური ქვეყნებისა, რომლებიც, ერთი მხრივ, გეოგრაფიულად რუსეთისაგან ძალიან შორს მდებარეობენ, მეორე მხრივ კი, ძალიან ძლიერები და მდიდრები არიან.

არ დაგვავიწყდეს, რომ უკრაინის შემდეგ რუსეთის ნომერ პირველი სამიზნე არის არა მოლდოვა, პოლონეთი ან ბალტიისპირა ქვეყნები, არამედ — საქართველო! დიახ, უკრაინაში ომის დაწყებამდე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **სერგეი ლავროვის** მიერ გამოქვეყნებულ ულტიმატუმში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით ნატოს გაფართოების შეწყვეტას ეხებოდა, ნახსენები იყო ორად ორი ქვეყანა — **უკრაინა და საქართველო.** აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოს ათჯერ უფრო მეტი სიფრთხილე მოეთხოვება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანას, რომლებიც ისედაც ფრთხილობენ.

რაც შეეხება უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საქართველოში ნაცმოძრაობის მოქმედებებს, პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ ბრალია!

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ!**

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გამუდმებით გაიძახის, რომ ნაციონალური მოძრაობა მეხუთე კოლონაა, მაგრამ 2012 წლიდან სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ყველაფერი, რათა ეს მეხუთე კოლონა სასათბურე პირობებში ჰყოლოდა და გაეძლიერებინა. შესაბამისად, დღეს ნაცმოძრაობა, როგორც მეხუთე კოლონა, საქართველოს რომ მტრობს, ამაზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრება, ამიტომ „ქოცები“ ტყუილად ნუ სლუკუნებენ, თავიანთ თავს დააბრალონ ყველაფერი! ამ ხელისუფლებას, რომელმაც ნაცმოძრაობა გადაარჩინა და გააძლიერა, დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს შევახსენებ — „ვინც ძერას დაშავებული ფრთა მოურჩინა, მისი კლანჭების მოქმედებაზეც ის აგებს პასუხს!“

მოკლედ, დღეს ნამდვილად არსებობს სააკაშვილის რევანშის საფრთხე და ამაში მთავარი დამნაშავე „ქართული ოცნება“ გახლავთ!

**— მოიცადეთ, თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების საფრთხე რეალურია?**

— **2003 წელს სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ეს თავიდან ბოლომდე შევარდნაძის ბრალი იყო! დიახ, რომ არ ყოფილიყო შევარდნაძის დამპალი, კორუმპირებული სისტემა, რომელიც ხალხს ყელში ჰქონდა ამოსული, სააკაშვილის სახით რადიკალიზმი ვერ გაიმარჯვებდა!** იგივე ვითარებაა დღესაც — უამრავი სახელმწიფო პოსტი კორუმპირებული „კლოუნების“ ხელშია, ბიუჯეტის ჭამა სუფევს და სამართალი მურუსიძეების ხელშია, რაც ნაციონალურ მოძრაობას — ამ მართლაც მეხუთე კოლონას აძლიერებს!

ყველამ იცოდეს, რომ ნაციონალური მოძრაობის, როგორც ამ ქვეყნის მტრის წინააღმდეგ ნამდვილი დემოკრატიის გარდა სხვა იარაღი არ არსებობს. კერძოდ, როცა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმები გატარდება, თავისუფალი მედია იარსებებს და თავისუფალი არჩევნები გაიმართება, ნაციონალური მოძრაობაც ბუნებრივად დადგება თავის რეალურ რეიტინგზე — 10-12 პროცენტზე და ქვეყნისათვის არავითარი საფრთხის შექმნა არ შეეძლება!

**„როცა მდინარაძით დაწყებული და მურუსიძე-ჩინჩალაძით დამთავრებული ხელისუფლებაში ადეიშვილის ყოფილი თუ მოქმედი ძმაკაცები გიზის, უკრაინის ხელისუფლებას ვეღარ წაუყენებ პრეტენზიას იმის გამო, რომ ადეიშვილი თანამდებობაზე დანიშნა!“**







მდინარაძე, მურუსიძე, ჩინჩალაძე

## კვირგვინოსნები

**თემურ ჩალაბაშვილი**
*პოეტი*



**სააკაშვილმა ჩააბარა კოდორის ხეობა და სენაკის სამხედრო ბაზა,** მილიონობით ღირებულების სამხედრო ტექნიკა, სენაკიდან წაიღეს 5 ათასზე მეტი ამერიკული ავტომატი. **ზელენსკიმ კიევში 50 ათასი ავტომატი დაურიგა ხალხს, სააკაშვილმა კი უიარაღოდ დატოვა საზღვრისპირა მცხოვრები მოსახლეობა.** სააკაშვილმა მტერს გადაულოცა ყველაფერი.

„ალია“

**ანდრეას უმლანდი**
*გერმანელი პოლიტოლოგი*



თუ რაღაც მიზეზის გამო რუსეთში ხელმძღვანელობა შეიცვლება, **მაშინ შესაძლებელი გახდება ომის სწრაფად დასრულება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი შესაძლოა, თვეები და წლებიც კი გაგრძელდეს.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



ვიდრე რუსეთში — **სანქციები,** მის ხელისუფლებაში კი **პუტინია,** შანსი გვაქვს საქართველომ ოკუპირებული ტერიტორიების **დეოკუპაცია მოახდინოს და მოსკოვს ჯარები გააყვანინოს,** მაგრამ „ქართული ოცნება“ მაინცდამაინც ახლა დადუმდა.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ოპოზიციის ერთმა ნაწილმა დაიწყო **ტყუილის გავრცელება,** თითქოს პარლამენტმა სასწავლებლებში რუსული სექტორის აღდგენის შესახებ კანონი მიიღო. **საშინელი ხალხია,** მხოლოდ იმიტომ გვცხებენ ჩირქს, რომ თავიანთ პარტიულ მიზნებს მიაღწიონ.

„კვირის პალიტრა“

# „უკრაინის შემდეგ რუსეთის ნომერ პირველი სამიზნე არის არა მოლდოვა, პოლონეთი ან ბალტიისპირა ქვეყნები, არამედ – საქართველო!“



— და მაინც, ეთანხმებით თუ არა შეფასებას, რომ ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს?

— რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ეს ცალსახად არის ნაციონალური მოძრაობის მტრული პოლიტიკა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ!

**ნაცებსა და ლიბერალებს დიდი სკანდალი რომ აქვთ ატეხილი – საქართველოში რუსი ტურისტები არ უნდა შემოუშვათო, კი მაგრამ, რუს ტურისტებს უვიზო რეჟიმი სააკაშვილმა არ დაუწესა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ?**

ე.ი. როცა ჩვენი ქალაქები და სოფლები დაბომბეს, მაშინ შეიძლებოდა რუსი ტურისტების მიღება საქართველოში და ახლა უკრაინაში ხერსონი და ხარკოვი რომ დაბომბეს, ამის გამო რუსი ტურისტები საქართველოში არ უნდა შემოვუშვათ? სად არის აქ ლოგიკა?

როცა ნაცები თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, ძალიან კარგად ესმოდათ, რომ რუსი ტურისტები, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდ შემოსავალს წარმოადგენენ და ამ არხის გადაკეტვა არ შეიძლება, მაგრამ ახლა, როცა თვითონ არ არიან ხელისუფლებაში, უნდათ, ყველაფერს დედა ეტიროს, რადგან, რაც უფრო დიდ ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდება საქართველოს მოსახლეობა, ნაცებისთვის უკეთესია.





ადეიშვილი, ლორთქიფანიძე

— მოგეხსენებათ, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელიც 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისა და ძებნილი სააკაშვილის საქართველოში შემოპარების საქმეებზე ბრალდებული, ზელენსკის ხელისუფლებამ უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნა. თქვენი აზრით, რითია განპირობებული უკრაინაში ყოფილი ნაცინოვნიკების აღზევება, რაც ომის პირობებშიც კი გრძელდება?

— ესეც საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხია! დიახ, პირდაპირ გეუბნებით —

**უკრაინაში ნაცების თანამდებობებზე დანიშვნა იმის შედეგია, რომ კოჰაბიტაციის გამომცხადებელმა „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე თქვა – ნაციონალური მოძრაობა არის არა დანაშაულებრივი ორგანიზაცია, არამედ პოლიტიკური ოპოზიცია, რომელთანაც უნდა ვითანამშრომლოთ!**

რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, უგულავამ ორმაგათ გალანძღა ივანიშვილი და სამშაბათს დაიჭირეს, ოთხშაბათს ბოდიში მოუხადა და ხუთშაბათს გამოუშვეს! გეკითხებით — ეს მართლმსაჯულებაა? ანდა სასამართლოში ვინ დანიშნეს? **საქართველოს სასამართლო სისტემის სათავეში კრიმინალები და ყაჩაღები სხედან! მურუსიძის გამოტანილი განაჩენი ვის უნდა წარუდგინო არგუმენტად? სიცილით კვდებიან ევროპელები, როცა იგებენ, რომ ადეიშვილი მურუსიძეს ბაასაბათებს!**

მოკლედ, როცა მდინარაძით დაწყებული და მურუსიძე-ჩინჩალაძით დამთავრებული ხელისუფლებაში ადეიშვილის ყოფილი თუ მოქმედი ძმაკაცები გვყავს, უკრაინის ხელისუფლებას ვეღარ წაუყენებ პრეტენზიას იმის გამო, რომ ადეიშვილი თანამდებობაზე დანიშნა!

დღეს ჩვენი ქვეყანა მძიმე შედეგებს იმკის იმის გამო, რომ ამ ხელისუფლებამ სააკაშვილის რეჟიმი არ გაასამართლა და ამის გამო პასუხი უკრაინის მთავრობას კი არა, „ქოცებს“ მოეთხოვებათ!

*ესაუბრა*
*გიორგი ძაძამია*






# ნაცმა ნეფე-დედოფალმა ქორწილში სააკაშვილის პლაკატთან ერთად იცეკვა!

***ის, რომ ნაცები სექტანტები არიან და სააკაშვილი მათთვის ერთდროულად აბელ სეთური და ხლისტენფიურერია, კიდევ ერთხელ გაცხადდა გასულ კვირას, როდესაც სოცქსელები პირდაპირ წალეკა ვიდეომ ქორწილში სააკაშვილის პლაკატით მოცეკვავე ნეფე-დედოფლის შესახებ.***

მკითხველს, ცხადია, ახსოვს კადრები ლეგენდარული ქართული მხატვრული ფილმიდან **„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“**, კნიაზისაგან სატრფოწართეული, უნუგეშო გოგია ცრემლმორეული რომ გაიძახის — **დაუკარით, მაგის დედაც ვატირე, უპატარძლო ქორწილიაო!**

მაგრამ ამ ნაცურ ქორწილში, თითქოს პატარძალიც ადგილზე იყო და ნეფეც, თუმცა, მაინც დიდი „უპატარძლობა“ სუფევდა — უსააკაშვილობა! **ეს რაღაცით რუსთავის ციხეში საკნის ოთხ კედელს შორის გამოკეტილი სახელმწიფო დამნაშავის მონატრებისა და მისი სულის გამოძახების სატანისტურ რიტუალსაც კი ჰგავდა!**

ძალიან საგულისხმოა ის დეტალიც, რომ ეს **„საქორწილო ცეკვა სააკაშვილთან“** სწორედ იმ **„მიშა მაგარიას“** იაფფასიან და უნიჭო ჰანგებზე ხდებოდა, ნაცსექტის ოფიციალურ ჰიმნად რომ არის ცნობილი და ბევრ ნაცს დღემდე საკუთარი მობილური ტელეფონის ზარადაც კი უყენია!

**და თქვენ გგონიათ, რომ ნაცმა ნეფე-დედოფალმა სააკაშვილის პლაკატთან ერთად იცეკვა და ამით მორჩა ეს ამბავი?! არა, სააკაშვილის ეს პლაკატი მთელი საქორწილო თავყრილობის განმავლობაში ნეფე-დედოფლის მაგიდაზე იყო დასვენებული!**

**ალბათ, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს პოლიტიკური პერფორმანსის ასეთი უკიდურესად ტვინგაღუნული გამოვლინება, როდესაც ქორწილში ნეფე-პატარძალი პოლიტიკური ლიდერის – ფიურერის პლაკატთან ერთად როკავს!**

**კი ბატონო, ეს „ორიგინალური ქორწილები“ მთელ მსოფლიოში ერთობ პოპულარულია: ზოგი ზღვის ფსკერზე აკვალანგებით ქორწინდება, ზოგი — თვითმფრინავიდან გადმომხტარი პარაშუტებით... მაგრამ პოლიტიკური ლიდერის პლაკატის ფონზე სამარადჟამო კავშირის ფიცს ჩრდილოეთ კორეაშიც კი არ დებენ, კიმ ჩენ ინის ხატების წინაშე!**

კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ასეთი ანეკდოტი: კომუნისტებმა სამადგილიანი საწოლი გამოუშვეს სახელწოდებით: ლენინ ს ნამიო! მაგრამ ესეც ხომ იმ საბჭოთა დროების მთელი აბსურდულობის გამამათრახებელი მწარე ირონია იყო და ამდენად, ერთგვარი ჯანსაღი პროტესტი წითელ მოედანზე კერპთაყვანისმცემლებისათვის შემონახული მუმიის არსებობაზე!

**ეს ნაცები კი იმ დონის სექტანტები არიან, რომ ქორწინების წმინდა ტრადიციასაც კი ამ უწმინდური ფიურერის გაკერპებისათვის იყენებენ! თუმცა, რა უნდა გაგიკვირდეს ნაცსექტისაგან, ამათ ისეთები აქვთ ჩადენილი!**

ჰოდა, ამის შემდეგ რატომ უნდა გაგიკვირდეს, რომ, თუ ეს ავადმყოფური სექტა ხელისუფლებაში დაბრუნდება, ფიურერს „პირველი ღამის“ უფლებასაც დაუკანონებს?! **მითუმეტეს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობისას არაერთმა ნაცმა პოლიტიკური კარიერაც კი გაიკეთა ბელადის მიერ დაგემოვნებულ მდედრებზე დაქორწინებით და ამის გამო შუბლის ძარღვიც არ ასტოკებიათ!**

ჯერ სააკაშვილისნაირ დეგრადირებულ არარაობას რომ გაიხდი კერპად და შემდეგ, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი არაერთი პათოლოგიური, სისხლიანი დანაშაულისა, მაინც ამ სატანის გაგდებულზე აფანატებ და ლოცულობ, მართლაც აღარაა შენი საშველი და ეგ არის!

აი, ამიტომაც ეძახიან ნაცმოძრაობას **„ხლისტების სექტას“!**

აი, ამიტომაც არის აქსიომური ჭეშმარიტება: **ნაცობა დიაგნოზია!**

*გიორგი გიგაური*

## კვირგვინოსნები

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



**უკრაინაში ორი ქართველი მოხალისე მეომარი დაიღუპაო... ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე და გულწრფელად თანავუგრძნობ მათ ახლობლებს.**

ჩვენ, სამმილიონიანი ღარიბი ქვეყანა, რომელიმე მხარის გვერდზე დგომით ვერავითარ, თუნდაც სიმბოლურ, გავლენას ვერ მოვახდენთ მსოფლიო მონსტრების ომზე. სამაგიეროდ, არსებობს ამ ომში ჩვენი ჩათრევის რეალური საფრთხე და საქართველოს მსოფლიო რუკიდან გაქრობის საშიშროება.

**ნუ გავწირავთ ჩვენს შვილებს სხვის ომში უსახელოდ და უაზროდ დასაღუპავად. ჩვენ არ გვაქვს ამგვარი „ფუფუნების“ უფლება.**

„ალია“

**ირაკლი ოქრუაშვილი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**ყველას გირჩევთ, დაივიწყეთ უკრაინაში წამოსვლაზე ფიქრი, თუ არ გაქვთ საბრძოლო გამოცდილება;** არ იცით ენა (რუსული და ინგლისური); არ გაქვთ დამოუკიდებლად ჩამოსვლის საშუალება (ბილეთის შეძენა და სხვა). **აქ სულ სხვანაირი ომია და ძალიან ბევრი საქართველოდან ჩამოსული უკან გაბრუნდა ამის გამო. ჯობია, უკრაინას დავეხმაროთ და ტვირთად არ დავაწვეთ.**

„ახალი თაობა“

**დავით ლილუაშვილი**
*უფლებადამცველი*



**რუსეთი ნაცებთან სააკაშვილის ბიძის მეშვეობით თანამშრომლობს.** ნაცები ცდილობენ, საქართველოში უბედურება დაატრიალონ, რომ შემდეგ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. **ნაცებს სხვა მრავალი პიროვნება ჰყავთ, რომლებიც ძალიან კარგად ურთიერთობენ რუსეთთან და რუსეთის სპეცსამსახურებთან.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



სამოქმედო გეგმაა **გაზაფხულზე მთავრობის შეცვლა,** წლის ბოლომდე რიგგარეშე არჩევნების ჩატარება და ამ წელს აფხაზეთისა და ცხინვალის რეინტეგრაციის პროცესის დაწყება. „ინტერპრესნიუსი“

## მამა გიორგი (პავლოვი):

# 1936 წელს უკრაინელმა წმინდა მამამ ლავრენტი ჩერნიგოველმა იწინასწარმეტყველა რუსეთისგან უკრაინის გამოყოფა და ერთობის დარღვევის გამო ღვთისგან მისი დასჯა!






***უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლოა, მსოფლიოში ძალთა განლაგება როგორც გეოპოლიტიკური, ასევე სულიერი მიმართულებითაც შეცვალონ. არის თუ არა წმინდა წერილში რაიმე მინიშნება ამ პროცესებზე? როგორ აისახება ეს გლობალური ცვლილებები საქართველოზე? —*** *„უკრაინელი საზოგადოების ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობას დაუპირისპირდა და ღვთის სასჯელმაც არ დააყოვნა!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მომავლის შეცნობის ხილვებით განთქმულმა მღვდელმა გიორგი პავლოვმა:***

— ყველაფერს, რაც დედამიწაზე ხდება, მიზეზშედეგობრივი კავშირი გააჩნია. გვმართებს გახსენება, რომ 2014 წელს უკრაინაში მოხდა შეიარაღებული გადატრიალება, რის შედეგადაც ხელისუფლებაში ულტრანაციონალისტები მოვიდნენ. **პირველი, რაც მათ ჩაიდინეს — დარტყმა მიაყენეს მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას.** ამაში წვლილი მიუძღვით, ერთი მხრივ, უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოსა** და ცრუპატრიარქ **ფილარეტს;** მეორე მხრივ კი, კონსტანტინოპოლის პატრიარქ **ბართოლომეოსს.** ამ სამეულის მოქმედების შედეგი გახლდათ ე.წ. **ტომოსი,** რაც სინამდვილეში გახლდათ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის დაყოფა, ანუ სქიზმა. ამერიკიდან ჩამოიყვანეს ახალგაზრდა ცრუეპისკოპოსი **ეპიფანე,** რითიც უკმაყოფილო დარჩა ფილარეტი. უკმაყოფილება იმ საკითხსაც ეხება, რომ შემოწირულობების დიდი ნაწილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიაქვს.

ხდება კიდევ უფრო შემზარავი მოვლენა — **უკრაინის ცრუსაპატრიარქოს მიერ მოსკოვის დაქვემდებარებაში არსებული კანონიკური ეკლესიების ძალადობრივად მიტაცება.** ყოველივე ამის გამო,

**მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობა სრულიად სამართლიანად არ აღიარებს უკრაინის ხელოვნურად შექმნილ სამღვდელო საკრებულოს. ამ დიდმა ცოდვამ, რაც მოძალადეებმა კანონიკური ეკლესიის წინააღმდეგ ჩაიდინეს, მნიშვნელოვნად განაპირობა უფლის სასჯელი და ის განსაცდელი, რაც უკრაინას ამჟამად თავს დაატყდა.**

**— ეს მოვლენები თუ არის სადმე ნაწინასწარმეტყველები?**

— მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა ბერძენი წმინდანი **კოზმა ეტოლოსი** (ეტოლიელი). მან იწინასწარმეტყველა — დადგება მძიმე ჟამი, როცა მართლმადიდებელი ერები ერთმანეთში იომებენო. უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ასევე იწინასწარმეტყველა მე-20 საუკუნის გამორჩეულმა წმინდანმა, ამ კუთხის შვილმა, წმინდა **ლავრენტი ჩერნიგოველმა,** რომელიც ერისკაცობაში **ლუკა პროსკურა** გახლდათ.

ღირს ლავრენტის მომავლის ჭვრეტისა და ადამიანთა კურნების სასწაულთმოქმედი ნიჭი გააჩნდა. **სქიარქიმანდრიტი ლავრენტი** გარდაიცვალა 1950 წლის 19 იანვარს. მასთან გამოსამშვიდობებლად ათასობით ადამიანი მოვიდა. დიდი რიდით ჩაასვენეს სასახლეში, რომელიც 20 დღე თავახდილი იდგა წმ. სამების ტაძარში. ბერი სასახლეში უხრწნელი იწვა და გარდაცვალებიდან მე-40 დღეს დაკრძალეს.

უკრაინის მომავალთან დაკავშირებით **ლავრენტი ჩერნიგოველმა** იწინასწარმეტყველა:

> *„როგორც არ შეიძლება ყოვლადწმინდა სამების, მამის, ძისა და სულიწმინდის დაყოფა, რადგან ეს ერთი ღმერთია... ისე არ შეიძლება რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის გაყოფა. ეს ერთიანობაშია წმინდა რუსეთი!“*

წმინდა ლავრენტი, ასევე სხვა წმინდანები იუწყებოდნენ, რომ უკრაინა დაიშლებოდა და დაიღუპებოდა წმინდა რუსეთისგან გამოყოფის გამო. 1936 წელს **ლავრენტი ჩერნიგოველმა** იწინასწარმეტყველა რუსეთისგან უკრაინის გამოყოფა და ერთობის დარღვევის გამო ღვთისგან მისი დასჯა. **ღირსი ლავრენტი** დაბეჯითებით აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ მათი მშობლიური სიტყვა იყო რუსეთი და რუსული, ხოლო ნათლისღება იყო რუსეთის ეკლესიიდან და არა უკრაინიდან! რომ კიევი — ეს მეორე იერუსალიმია და რუსეთის ქალაქების დედაა!

**ღირსი ლავრენტი** დაუშვებლად თვლიდა რუსეთიდან უკრაინისა და ბელარუსის გა-







**პოროშენკო, ფილარეტი, ბართოლომეოსი**

**„ამ სამეულის მოქმედების შედეგი გახლდათ ე.წ. ტომოსი, რაც სინამდვილეში გახლდათ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის დაყოფა, ანუ სქიზმა!“**

## კვირგვინოსნები

**ბესო ალადაშვილი**
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში*



ყველაზე მეტად იმის მეშინია, **უკრაინის შიგნით რუსეთმა ვერ მოახერხოს მეხუთე კოლონის ამოქმედება,** შიგნითვე არ მოხდეს ხელისუფლების გაყოფა და სამოქალაქო ომის დაწყება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ვეშაპიძე**
*მწერალი*



საქართველოს **ავსულთა ლაშქარი** შემოესია, რომელიც ქვეყნისთვის თავდადებული ქართველების ერთსულოვნებამ და შეუპოვრობამ უნდა დაამარცხოს. ახლა წარმოუდგენელი რაღაცები ხდება, რაც საქართველოს სინამდვილეს არ ახსოვს — **თუ სამშობლო გიყვარს, გეუბნებიან, პრორუსი, პუტინის მომხრე ხარო.**

„საერთო გაზეთი“

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



მსოფლიოში შექმნილ საომარ კრიზისში **საქართველოს ხსნა მხოლოდ მშვიდობაშია,** მშვიდობის ერთადერთი გარანტი კი **პოლიტიკური ნეიტრალიტეტია. იქნება ომი?** — ქართული სახელმწიფო დაინგრევა! **იქნება მშვიდობა?** — ქართული სახელმწიფო განვითარდება, აყვავდება და ტერიტორიულად გამთლიანდება. **ყველაფერ ამის გასაღები პოლიტიკურ ნეიტრალიტეტშია!**

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



**გიგი უგულავა** არც მერად ვარგოდა, არც — პოლიტიკოსად და არც — კაცად.

„აიპრესი“



უკრაინელი წმინდა მამის ლავრენტი ჩერნიგოველის ხატი

## ეს ხრიკი და ეშმაკის მზაკვრობა ჩაივლის, დარჩება ერთიანი რუსული მართლმადიდებელი ეკლესია!“

**— მიგვანიშნებთ, რომ უკრაინაში ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდება?**

— ბატალიები დასრულდება. მშვიდობა დაისადგურებს. მართლმადიდებელი ეკლესია გაერთიანდება, ხოლო მისი მტრები, ვინც ომს როგორღაც გადაურჩება — დასავლეთში გაიქცევიან. **რუსეთი დაიბრუნებს იმ მიწებს, რომლებიც ოდიდან მას ეკუთვნოდა.** მაგალითად, მას შემდეგ, რაც ყირიმის სახანომ თავისი არსებობა დაასრულა, ეს ნახევარკუნძული რუსეთს ეკუთვნოდა. **სტალინის** გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიის მტერმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** აღნიშნული ტერიტორია სრულიად უკანონოდ გადასცა უკრაინას. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ამ ნაბიჯით ის შეეცადა, უკრაინელების გული მოეგო, ვინაიდან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის დროს ადგილობრივი მოსახლეობის რეპრესიებში მონაწილეობდა და მათი სისხლით იყო დასვრილი.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ, რომ 2014 წლის შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ უკრაინის ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს ფაშისტებმა, რომლებიც პირსისხლიანი ანტისემიტებისა და რუსოფობების — **სიმონ პეტლიურას, რომან შუხევიჩისა და სტეფან ბანდერას** თანამედროვე მიმდევრები არიან. მათ დიდი სისასტიკე გამოავლინეს რუსულენოვანი მოსახლეობის წინააღმდეგ და ქვეყანაში დაამყარეს ფაშისტური რეჟიმი, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დასრულებულიყო და აი, ახლა საბოლოოდ დასრულდება კიდეც!

**მსოფლიოში დღეს რუსოფობია მძვინვარებს, რაც სინამდვილეში არა რუსი ხალხის, არამედ მართლმადიდებლობასთან ბნელი ძალების დაპირისპირების გამოვლინებაა.** ვისაც არ უნდა ეპიტნავებოდეს, დღეს მსოფლიოში მართლმადიდებელი სარწმუნოების ბურჯი რუსეთია. **ეს არის თანამედროვე სარწმუნოებრივი ომი, რომელშიც სიმართლე რუსეთის მხარესაა.**

**— თქვენს საუბარს ბევრი ოპონენტი და სასტიკი მოწინააღმდეგე ეყოლება. და მაინც, ამ ომში საქართველოს ადგილს როგორ ხედავთ?**

— საქართველოს ადგილს მე ვხედავ იმ მარადიული ცნებების განუხრელ დაცვაში, რასაც **„მამული, ენა და სარწმუნოება“** ჰქვია. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საქართველოს აუცილებლად დაეხმარება და ჩვენი სამშობლოს სათავეში მოვლენ პატრიოტულად განწყობილი ძალები! ამას წინასწარმეტყველებენ წმინდა მამებიც.

## ქრისტეს მეორედ მოსვლამდე რუსეთსა და საქართველოში დამყარდება ღვთიური წესრიგი და საქართველო სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებთან ერთად თავის მესიანისტურ როლს შეასრულებს!

დიახ, ყველაფერი აღსრულდება იმგვარად, როგორც იწინასწარმეტყველა **წმინდა მამამ ლავრენტი ჩერნიგოველმა.** აღსრულდება სხვა წმინდა მამების წინასწარმეტყველებებიც, რომელთა თანახმად, საქართველოში ანტიქრისტე ტახტს ვერ დაიდგამს! უდიდეს რუს წმინდანს **სერაფიმე საროველს** გამოცხადებით ემცნო:

*„დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო — ივერია, მეორე — ათონი, მესამე — კიევ-პეჩორის ლავრა და მეოთხე იქნება დივეევო“.*

ყველა რუს წმინდანს საქართველო გამორჩეულად უყვარს!

## გარწმუნებთ, რუსებსა და ქართველებს შორისაც ეშმაკეული ძალების მიერ გაჩაღებული სიძულვილი და დაპირისპირებაც ძალიან მალე დასრულდება!

ქრისტეს მეორედ მოსვლამდე რუსეთსა და საქართველოს საერთო ისტორიული მტრის წინააღმდეგ ერთად მოუწევთ ბრძოლა და ამ ომიდან გამარჯვებულები გამოვლენ! სწორედ ამ გამარჯვებით გაიმარჯვებს სრულიად მართლმადიდებელი სამყარო!

**— რუსულ გვარს ატარებთ. ვიცი, რომ დედა ბერძენი გყავთ. თავად რა ეროვნების წარმომადგენლად მიგაჩნიათ თავი?**

— რუსი და ბერძენი ერები ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი გული ეკუთვნის საქართველოს და თავი ქართველად მიმაჩნია!

მოყოფას. ერიდეთ განხეთქილების მთესველთ და უნიათებს! — იმეორებდა ის წმინდა წერილის მოწოდებას. ერთხელ მამა ლავრენტის შეეკამათა კიევ-პეჩორის ლავრის მოძღვარი **კრონიდი** — უნიათები (კათოლიკე მწვალებლები) უკვე გაქრნენ უკრაინაშიო, მაგრამ წმინდანმა მწუხარე სახით უპასუხა:

*„ეშმაკი შევა მათში და სატანური გაბოროტებით გაილაშქრებენ მართლმადიდებლობის, რწმენისა და ეკლესიის წინააღმდეგ, მაგრამ მათ სამარცხვინო აღსასრული ელით, მათი ლიდერები კი ზეციურ სასჯელს მიიღებენ. როცა გაჩნდება მცირე თავისუფლება, ყველა ცრუ სწავლება ამოტივტივდება, ეშმაკეულებთან და ფარულ უღმერთოებთან ერთად უკრაინაში დაირაზმებიან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და კრებსითობის წინააღმდეგ, მართლმადიდებლებს ტაძრებს წაართმევენ, ხოლო ამ ერეტიკულ დაჯგუფებას მხარს დაუჭერს უღმერთო ხელისუფლებაც... მთელი მსოფლიო მათი უკანონობით იქნება გაოცებული და მარადიული სატანჯველი ელით.“*

ფაქტია, რომ **ლავრენტი ჩერნიგოველმა** წინასწარ განჭვრიტა, რაც დღეს უკრაინაში ხდება და მუდმივად აფრთხილებდა უკრაინელ ხალხს რუსეთთან განხეთქილების დამღუპველობისა და მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ.

## მანვე იწინასწარმეტყველა, რომ ბოლოს „ყველა


КОМУНИСТИ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**კომუნისტი**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 აპრილი, 1942 წ. № 82 (6398). ფასი 15 კაპ.

**სლავებო! აღსდექით წმიდა სახალხო ომისათვის!**

საბჭოთა ხალხის დიდ დედაქალაქში სრულიად-სლავთა მიტინგის ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ გაისმა ხმამაღლა და მგზნებარედ სლავი ხალხების წარმომადგენელთა მძლავრი ხმა: სლავებო, იარაღი აისხით! სლავებო! ყველანი გამოდით წმინდა სახალხო ომისათვის სლავი ხალხების უბოროტესი მტრის — გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ.

ეს არის გერმანელი ფაშისტი მტარვალების მიერ განაწამებ, ტანჯულ, ჯვარცმულ პოლონელთა, ჩეხთა, სლოვაკთა, სერბიელთა, ხორვატელთა, ჩერნოგორელთა, სლოვენთა, მაკედონელთა წარმომადგენლების ხმა. ეს არის ბულგარელი ხალხის წარმომადგენელთა ხმა, იმ ხალხისა, რომელიც თავისმა ვაი-მმართველებმა სლავების მოსისხლე მტერს — ჰიტლერს მიჰყიდეს. ეს არის ჰიტლერის ურდოების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყალზე მცხოვრები უკრაინელების, ბელორუსების, რუსების ხმა. ეს არის იმ გმირი წითელი არმიის სლავ მებრძოლთა და მეთაურთა ხმა, რომელსაც ბრძოლის ძირითადი სიმძიმე დააწვა მსოფლიო ომის მთავარ, გადამწყვეტ უბანზე. ეს არის ამაყ და მამაც იუგოსლაველ პარტიზანთა ხმა, რომლებიც მამაცურად იცავენ იარაღით თავიანთ მშვენიერ სამ-

ლურელთა ყაჩაღურ ბანდებზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

8 თვემ განვლო მას შემდეგ, რაც მოსკოვში სრულიად-სლავთა I მიტინგის ტრიბუნიდან გაისმა მოწოდება მსოფლიოს ყველა სლავისადმი ჰიტლერიზმთან ბრძოლის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა.

დიდი სამამულო ომის ალში წითელმა არმიამ და საბჭოთა ხალხმა მტერს ხელში გამოსტაცეს ინიციატივა. გაცამტვერდა მითი გერმანიის ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ. დაიჩეხლა ჰიტლერელთა მოშვებული სამხედრო მანქანა. მტერი დასავლეთისაკენ იხევს და ადამიანთა ძალებსა და სამხედრო ტექნიკას ჰკარგავს. წითელმა არმიამ სერიოზული ლახვარი ჩასცა ჰიტლერის ურდოებს. შექმნილია ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რათა საესებით იქნას განადგურებული ჰიტლერელთა ხროვა, ჰიტლერის ყაჩაღური არმიები 1942 წელს.

ფაშისტი მხეცი მძიმედ არის დაჭრილი. იგი შავი სისხლისაგან იცლება, მთელ ძალღონეს სძაბავს და ახალი ნახტომისათვის ემზადება. გაავთრებულ, გაბოროტებულ მტერს ჯერ კიდევ შესწევს წინააღმდეგობის უნარი. მისი მგლური კბილები დაჩლუნგებულია, მაგრამ ამოგლეჯილი არ არის.

## 80 წლის წინათ სლავები ერთად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ!







სიმონ პეტლიურა, რომან შუხევიჩი, სტეფან ბანდერა

## „2014 წლის შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ უკრაინის ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს ფაშისტებმა, რომლებიც პირსისხლიანი ანტისემიტებისა და რუსოფობების თანამედროვე მიმდევრები არიან!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**აკია ბარბაქაძე**
*ექსპერტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში*



**გინდა მშვიდობა? ემზადე ომისთვის,** ეს აქსიომაა, ამას მტკიცება არ უნდა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **ბორის ჯონსონმა** განაცხადა, **საფრთხე ელით საქართველოსა და მოლდოვასო** და ამ ტიპის განცხადებებს ასეთი დიდი პოლიტიკური ფიგურები დაზვერვის გადამოწმებული ინფორმაციის გარეშე არ აკეთებენ.

„ალია“

**ლადო სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**ზელენსკის ვაკრიტიკებთ** იმიტომ, რომ თავის მთავრობაში საქართველოდან გაქცეულ დამნაშავე ნაცებს ნიშნავს? **მაშინ რატომ არ ვაკრიტიკებთ ჩვენს ხელისუფლებას,** რომელმაც იგივე გააკეთა? **„ოცნება“ დღეს უფრო ნაცია, ვიდრე თვითონ ნაცები!**

„ალია“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



ხელისუფლება დღე და ღამე სამოქალაქო თავდაცვის სისტემებს უნდა ქმნიდეს. **რუსეთთან შეუძლებელია ტკბილი ენით საუბარი,** მზად უნდა ვიყოთ ყველა სცენარისთვის.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



სულელური მოწოდებები გაისმა, **ცხინვალს დავიბრუნებთო,** მაგრამ ეს სიბრიყვეა! **ჩვენთვის დამღუპველი იქნება ტერიტორიული მთლიანობის ძალით აღდგენა,** ეს მხოლოდ მშვიდობიანად უნდა მოხდეს.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კანაშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



დასავლეთი **უკრაინის ხელითვე შეეცდება** რუსეთის დამარცხებას.

„კვირის პალიტრა“

***ქართულ სადაზღვევო ბაზარზე არსებობს ერთი კომპანია მეტად ხმამაღალი და მჟღერი სახელწოდებით — „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“. ნახეთ, როგორი სანდომიანი და პრეზენტაბელური სახელია — „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“. თითქოს ამ სათაურით გვეუბნებიან — ვიღაც „ჭ“ კლასის კომპანია ნუ გეგონებით, ჩვენ თვით საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი ვართ, საქართველოს სახელით გემსახურებით და საქართველოს სახელით გაზღვევთო!***

# ფრთხილად, ქარის სიჩქარე „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში“ და ქარს გატანებული დაზღვევის გადასახადი!

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სადაზღვევო კომპანიებს შორის **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“** ესოდენ პრეტენზიული სახელწოდებით გამოირჩევა, დანარჩენ მზღვეველებთან მას ერთი დიდი და მნიშვნელოვანი საერთო აქვს — **წვრილი შრიფტით დაბეჭდილი სახელშეკრულებო ტექსტი, რომლის დეტალებშიც ასევე წვრილ-წვრილი ეშმაკუნები არიან ჩამალული და საქმე საქმეზე რომ მიდგება, კლიენტს პირში ჩალას გამოავლებენ.**



საერთოდ, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მსგავსი სერვისის მიმწოდებელთა მრავალგვერდიანი ხელშეკრულებები **პაწაწკინტელა შრიფტით იმიტომ არის დაბეჭდილი, რომ კლიენტს პუნქტებსა და ქვეპუნქტებში ჩაკირკიტება დაეზაროს და პირდაპირ მოაწეროს ხელი.** სამაგიეროდ, მერე, როცა აღმოჩნდება, რომ ჩვენი ხელმოწერით ჩვენთვისვე წამგებიან და კაბალურ პირობებს დავთანხმებივართ, კომპანიას სამართლებრივ პრეტენზიებს ვეღარ წავუყენებთ. მაშინვე მოგიტრიალდებიან და გეტყვიან — **„ხელშეკრულებაში ხომ ასე წერია? თქვენ თვითონ არ მოაწერეთ ხელი? კარგად უნდა წაგეკითხათ!“**

მოკლედ, ეს ცნობილი ხრიკია, რომელსაც ბანკირები თუ მზღვეველები იყენებენ და რომელზეც საშუალო სტატისტიკური 10 მოქალაქიდან 8 ისე წამოეგება ხოლმე, როგორც მდინარის ღორჯო ჭიაყელიან ანკესს.

კონკრეტული შემთხვევაც, რომელზეც ახლა ვწერთ, სწორედ ამ „ოპერიდან“ არის — **ერთი კეთილი და პატიოსანი კაცი, რომლისთვისაც არათუ სამართლებრივ-მარკეტინგული, არამედ ყოფითი ვირეშმაკობანიც კი სრულიად უცხო ხილი გახლავთ, „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ წვრილშრიფტიან ხელშეკრულებაზე ისე მოსრიალდა, როგორც რომ იური ნიკულინის გმირი — ბანანის ქერქზე ცნობილ რუსულ კომედიაში „ბრილიანტის ხელი“.**




საქმე ის არის, რომ **უჩა აბესაძეს,** რომელსაც საკუთარი ავტომობილი **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში“** აქვს დაზღვეული, ამა წლის 27 თებერვალს თბილისში ამოვარდნილმა ქარიშხალმა მანქანის მარცხენა კარი მოუგლიჯა. დაზარალებულმა ავტომფლობელმა მომხდარი შემთხვევის თაობაზე მაშინვე აცნობა სადაზღვევო კომპანიას, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც სტიქიური მოვლენის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასაც ითვალისწინებს. **მოქალაქე აბესაძე, რომელიც „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფს“ კეთილსინდისიერად უხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყოველთვიურ თანხას — 35 დოლარის ეკვივალენტს ლარში, ბუნებრივია, ელოდებოდა, რომ კომპანია ავტომანქანის შესაკეთებელ თანხას ჩაურიცხავდა,** მაგრამ აი, სწორედ აქ ამოყო რქები წვრილშრიფტიანი ხელშეკრულების დეტალებში ჩამალულმა ეშმაკმა.

კერძოდ, **სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ მძღოლს განუცხადეს, რომ ძლიერი ქარის მიერ მისი ავტომობილის კარის მოგლეჯა „სადაზღვევო რისკად“ ვერ ჩაითვლება და ზარალი ვერ აუნაზღაურდება, რადგან 2022 წლის 27 თებერვალს თბილისში ქარის სიჩქარე წამში 25 მეტრს არ აღემატებოდა.**

**ეს დაახლოებით იგივეა, სისხლის სამართლის კოდექსში რომ ეწეროს – მკვლელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მკვლელად, თუ ადამიანს 3 ტყვიით მოკლავს, მაგრამ ერთი ტყვიით თუ მოკლა, მკვლელი არ გამოდისო!**

— **ეს როგორ,** — გაოცდა მოქალაქე აბესაძე, — **ისეთი ძლიერი ქარი იყო, მანქანის კარი გამოღებისთანავე მოგლიჯა და რა მნიშვნელობა აქვს, წამში რამდენი მეტრის სიჩქარით ქროდა?**

— **როგორ თუ მნიშვნელობა არა აქვს,** — უპასუხეს საკუთარ კლიენტს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფიდან“, — **ხელშეკრულებაში წერია, რომ ზარალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ ქარის სიჩქარე წამში 25 მეტრს აღემატება, ხოლო 27 თებერვალს, როცა ქარმა თქვენი ავტომობილის კარი მოგლიჯა, თბილისში ქარის სიჩქარე წამში 22 მეტრი იყო!**

აი, ნამდვილი მახე!

აი, საბედისწერო 3 მეტრი წამში!

აი, წამში 3-მეტრიანი იურიდიული შულერობა!

მერე რა, თუ ქარის სიჩქარე — **წამში 22 მეტრი** — საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ავტომობილის კარი მოეგლიჯა? **ხელშეკრულების მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ ავტომანქანის კარს, სულ მცირე, წამში 25-მეტრიანი ქარი მოგლეჯს!**

თავისუფლად შეიძლებოდა, იმავე ავტომობილს იმავე სიჩქარით მქროლავი ქარის მიერ მოგლეჯილი ხე დასცემოდა და მძღოლიან-მგზავრებიანად გაეჭყლიტა, მაგრამ „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ ზარალს მაინც არ აანაზღაურებდა, რადგან მანქანის მძღოლიან-მგზავრებიანად გაჭყლეტა გამოიწვია ქარმა, რომელიც **წამში 22 მეტრის სიჩქარით** ქროდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სიჩქარეს 3 მეტრით ჩამორჩებოდა.

ეს დაახლოებით იგივეა, სისხლის სამართლის კოდექსში რომ ეწეროს — **მკვლელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მკვლელად, თუ ადამიანს 3 ტყვიით მოკლავს, მაგრამ 1 ტყვიით თუ მოკლა, მკვლელი არ გამოდისო!** ან უფრო მსუბუქი მაგალითი მოვიხმოთ და წარმოვიდგინოთ — სის-

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

N 12/1-215      10 03 2022წ.

ს.ს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“-ს
გენერალურ დირექტორს
**ბ-ნ არჩილ მორჩილაძეს**

ბატონო არჩილ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-სა და თქვენს შორის, 2022 წლის 09 მარტს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ ფმ-1/220 ხელშეკრულების თანახმად, ქ. თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებითა და სინოპტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ 2022 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა **საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა - ძლიერი ქარი (ქარიშხალი),** მაქსიმალური სიჩქარით **- 22 მ/წმ-ში.**

პატივისცემით,
სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი      **თეიმურაზ მთივლიშვილი**

დ. აღმაშენებლის გამ. 150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Tel.: +995 32 2439503 Fax: +995 32 2439502

# სანამ დააზღვევდეთ!

## „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში" უნდა იცოდნენ, რომ კლიენტებთან ურთიერთობა მხოლოდ ხელშეკრულებაში გაპარებული ეშმაკური პუნქტებითა და მეტრწამებით კი არა, დაუწერელი მორალური და სამართლიანი წესების საწყაოთიც იზომება!

ხლის სამართლის კოდექსი ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში რომ თვლიდეს დაზარალებულად, თუ მას ტვინის შერყევა თავში ორი აგურის ჩარტყმით მიაღებინეს, მაგრამ, თუ იგივე ტრავმა თავში ერთი აგურის ჩარტყმით მიაყენეს, დაზარალებულის სტატუსს ვერ იღებდეს!

საბედნიეროდ, სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი აბსურდული რამეები არ წერია, მაგრამ წერია **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის" წვრილშრიფტიან ხელშეკრულებაში,** რომელსაც **უჩა აბესაძის** მსგავსი წესიერი და მიმნდობი ადამიანები ჩაკირკიტების გარეშე აწერენ ხელს.

მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება — **სადაზღვევო კომპანიამ როგორ გაზომა და საიდან დაადგინა, იმ კონკრეტულ დღეს თბილისში ქარი რა სიჩქარით ქროდაო?** საქმე ის არის, რომ „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფმა" **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოდან"** გამოითხოვა ცნობა 27 თებერვალს თბილისში ქარის სიჩქარის შესახებ, იქიდან კი პასუხად მიიღო: **„ქ. თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით და სინოპტიკური სიტუაციის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა — ძლიერი ქარი (ქარიშხალი) მაქსიმალური სიჩქარით — 22 მ/წმ-ში".**

მიაქციეთ ყურადღება — 2022 წლის 27 თებერვალს თბილისში დაფიქსირებული ქარი, მისი სიჩქარიდან გამომდინარე, „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ **კვალიფიცირებულია როგორც ქარიშხალი და საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა.**

მიუხედავად იმისა, რომ **მოქალაქე აბესაძის** ავტომობილი **საშიშმა მეტეოროლოგიურმა მოვლენამ — ქარიშხალმა** დააზიანა და **საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენას — ქარიშხალს** წამში 22 მეტრის სიჩქარითაც იმავე ზიანის მოტანა შეუძლია, რასაც წამში 25 მეტრის სიჩქარით მოიტანდა, **სადაზღვევო კომპანიამ საკუთარ კლიენტს ზარალი მაინც არ აუნაზღაურა და ხელშეკრულებაში ჩადებულ ეშმაკურ პუნქტზე მიუთითა.**

**ასე აღმოჩნდა გაბმული „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის" სამართლებრივ ხაფანგში მოქალაქე უჩა აბესაძე, რომელსაც საშიში მეტეოროლოგიური მოვლენის — ქარიშხლის მიერ დაზიანებული ავტომობილის შეკეთება საკუთარი სახსრებით მოუხდება, წვრილი შრიფტით დაბეჭდილი 11-გვერდიანი სადაზღვევო ხელშეკრულების სახით კი ფარატინა ფურცლებიღა შერჩება ხელთ.**

ბუნებრივია, **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფს"** სამართლებრივ პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ, რადგან მას **წვრილშრიფტიანი ხელშეკრულების დეტალებში ჩამალული პატარ-პატარა ეშმაკუნები** უმაგრებენ ზურგს, მაგრამ შევახსენებთ, რომ **იურიდიული ფანდების გარდა არსებობს მორალური და სამართლიანი მიდგომები,** რომლებიც ნებისმიერი კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციას განსაზღვრავენ!

დიახ, **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში"** უნდა იცოდნენ, რომ კლიენტებთან ურთიერთობა მხოლოდ ხელშეკრულებაში გაპარებული ეშმაკური პუნქტებითა და მეტრწამებით კი არა, **დაუწერელი მორალური და სამართლიანი წესების საწყაოთიც იზომება!**

**რაც შეეხება ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს, მათ ვურჩევთ, გულდასმით წაიკითხონ ხელშეკრულება, რომელსაც ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიასთან, მათ შორის, „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფთან" გააფორმებენ, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთან საქმის დაჭერა საერთოდ მოუნდებათ მას შემდეგ, რაც წინამდებარე წერილში მოთხრობილ ისტორიას წაიკითხავენ.**

ასე რომ, საქართველოს მოქალაქენო, იყავით ყურადღებით, რათა არ აღმოჩნდეს, რომ დაზღვევაში გადახდილი ფული წამში 25 მეტრზე ნაკლები სიჩქარის ქარს გაატანეთ!

***ჯაბა ხუბუა***

აი ჯი ჯი
საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

## აი, ნამდვილი მახე! აი, იურიდიული შულერობა წამში 3 მეტრის სიჩქარით!

აი ჯი ჯი
საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

17 03 2022
N 17-03/109

ბატონ უჩა აბესაძეს
პირადი ნომერი: 01019052419

ბ-ნო უჩა,

2022 წლის 27 თებერვალს თქვენს მიერ გაცხადებული შემთხვევა განხილულ იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევის N 030452 პოლისისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევის საერთო პირობების ფარგლებში.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, როდესაც გამოაღეთ ავტომობილის კარი მარცხენა მხარეს, ის მოგლიჯა ქარმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი"-მა მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომლის 2022 წლის 10 მარტის N 12/1-2/5 წერილის თანახმად, „2022 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა - ძლიერი ქარი (ქარიშხალი), მაქსიმალური სიჩქარით - 22 მ/წმ-ში.

განგიმარტავთ, რომ N 030452 სადაზღვევო პოლისისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევის საერთო პირობების 3.1 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო რისკებს განეკუთვნება:

1. ავტომობილის ძარის დაზღვევა
2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა
3. ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;
4. ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;
5. სხვადასხვა საგნის დაცემით;
6. სტიქიური მოვლენა - წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
7. მინების, სარკეების, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული აზიანება ან/და ქურდობა;
8. მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით
9. წინამდებარე რისკებით გამოწვეული სატრანსპორტო საშუალებების ან/და მისი ნაწილ(ებ)ის, აქსესუარების დაზიანება ან განადგურება;
10. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-3 პირის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე ზიანის დადგომა;
11. უბედური შემთხვევის შედეგად მძღოლის და/ან მგზავრის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე ზიანის დადგომა.

აშკარაა, რომ თქვენს მიერ 2022 წლის 27 თებერვალს გაცხადებული შემთხვევა არ წარმოადგენს N 030452 დაზღვევის პოლისითა და დაზღვევის საერთო პირობებით განსაზღვრულ სადაზღვევო რისკს, ვინაიდან 2022 წლის 27 თებერვალს დაფიქსირებული ქარის მაქსიმალური სიჩქარე შეადგენდა 22 მ/წმ-ს, ხოლო დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო რისკს წარმოადგენს ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით. შესაბამისად, თქვენს მიერ გაცხადებული შემთხვევა არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი" მოკლებულია შესაძლებლობას აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

პატივისცემით
გენერალური დირექტორი
არჩილ მორჩილაძე

ს.ს. „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი" INSURANCE GROUP OF GEORGIA JSC 405206566




## რედაქციისაგან:

**„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის"** წერილი, რომელმაც **მოქალაქე აბესაძე** ხახამშრალი დატოვა, 2022 წლის **17 მარტით** თარიღდება. მიაქციეთ ყურადღება: ზუსტად 63 წლის წინათ, 1959 წლის **17 მარტს,** მისდამი გამოჩენილი უსულგულობის გამო, თბილისში, „ლეჩკომბინატის" ფანჯრიდან გადმოხტა პოეტების მეფე **ბალაკტიონი,** რომელიც ერთ-ერთ თავის შედევრში წერდა — **როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვაო...** **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის"** წერილს, რომელიც **ქარისაგან არმიტოვებულ მოქალაქეს ზამთართან და ქართან** ბედის ანაბარა ტოვებს, ხელს აწერს **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის"** გენერალური დირექტორი არჩილ **მორჩილაძე** და ერთ დროს იმედიანი დამზღვევიც იძულებულია, ამ განაჩენის **მორჩილი** იყოს! რაც შეეხება „ასავალ-დასავალის" რედაქციას, **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფისადმი",** ალბათ, იმედით აღსავსე სხვა დამზღვევებისაგან განსხვავებით, ჩვენი თითოეული მუშაკის სუბიექტური აზრია, არასოდეს დავაზღვიოთ ქონება **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში",** რადგან **უშუალოდ ჩვენთვის** „აი ჯი ჯი"-ს, იგივე **„საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის"** რეპუტაცია უკვე ქარმა წაიღო!



გიორგი მამაცაშვილი

# ფრთხილად, გალაკტიონის მკვლელი ცოცხალია!




***ახლაც მარტია.***
***ახლაც წვიმიანი, ტალახიანი და მღვრიე მარტი დგას. ათი დღის უკან, სამოცდასამი წლის წინაც, მოღუშული მარტი იდგა. ბევრს არ გახსენებია. ომის განგაშს აყოლილ საზოგადოებას 2022 წლის 17 მარტს გალაკტიონი არ გახსენებია. არც სიუჟეტები მოუმზადებიათ და არც საღამოები გაუმართავთ მისი ხსოვნისათვის პატივის მისაგებად. რა თქმა უნდა, მრგვალი თარიღი არ არის, მაგრამ მას არც მრგვალი თარიღები ხიბლავდა და არც იუბილეები. მისი დაბადების დღისთვის არაა აუცილებელი მრგვალი თარიღი. „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“— მისი სიტყვებია და არც „ვარდისფერ გზის“ დასანახად გვჭირდება თარიღთა დამრგვალება.***
***დიახ, ძვირფასო მკითხველო!***
***საქართველოში აპრილიც გალაკტიონისაა და მაისიც, ივნისიც და აგვისტოც...***
***სტატისტიკას არ ექვემდებარება მისი არც დაბადება და არც სიკვდილი.***

**რეზო ესაძის** უკანასკნელ ფილმშიც ასეა მისი პორტრეტი დახატული.

ერთ კადრში მიდის გალაკტიონი პურის საყიდლად განუყრელი პორტფელით.

რიგია. რიგში დგება. მერე ლექსს ამბობს. თავისებურად, ინტონაციებით. და უჩინარდება მარად ცოცხალი და მარტოსული. უჩინარდება და შორიდან უყურებს ყველაფერს.

მარტოა ხალხში, როგორც გემი „დალანდი“ ზღვაში — ფილმიდან „ამარკორდი“ ...

მას ვერ ამჩნევენ და თუ ამჩნევენ წამიერად და აღარც ახსოვთ.

ახლაც არავის გახსენებია სამოცდასამი წლის წინანდელი ტალახიანი მარტი.

●

**იყო 1959 წლის 17 მარტი...**

გალაკტიონს შალვა დადიანის დაკრძალვაზე სურდა წასვლა, თუმცა, საავადმყოფოში დაწოლას აიძულებენ.

მისთვის „ლეჩკომბინატში“ ადგილი ვერ მოინახა. პალატები გადავსებული იყო.

საათნახევარზე მეტხანს მთავარი ექიმის მისაღების სავარძელში იჯდა და ელოდა რიგს.

**მაგრამ იმ დღეს გალაკტიონი აუცილებლად უნდა დაეწვინათ საავადმყოფოში!**

მესამე საწოლი, როგორც იქნა, ჩაამატეს მეხუთე ნომრით დანომრილ პალატაში, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ „ლუქსში“ აწვენდნენ.

პალატამდე დამლაგებელმა ააცილა.

არ დაწვა.

დერეფანში მოუხშირა სიარულს.

**იმ დღეს გალაკტიონი აუცილებლად უნდა დაეწვინათ საავადმყოფოში!**

ხუთი საათისკენ ნერვული განყოფილების გამგის კაბინეტში მესამედ და უკანასკნელად შედის. იხდის საავადმყოფოს ხალათს. მაგიდაზე უბისა და შემნახველი სალაროს წიგნაკებს, სიგარეტ „რეკორდს“, ასანთის კოლოფსა და ფანქარს დებს. ხალათს სკამზე ჰკიდებს. სკამს ფანჯარასთან დგამს...

**იმ დღეს გალაკტიონი აუცილებლად უნდა დაეწვინათ საავადმყოფოში!**

●

„ლეჩკომბინატში“ შესვლისას რამდენიმე მწერალმაც ნახა. ზოგი თბილად მიესალმა, ზოგმაც სალმის ღირსად არ ჩათვალა.

მწერალთა ნაწილმა 1959 წლის 17 მარტს ზურგი აქცია გალაკტიონს.

გალაკტიონს მერეც ბევრჯერ აქცია ზურგი საქართველომ!

ახლაც, ამ ათიოდე დღის წინაც, ბევრს არ გახსენებია და ყოველი მსგავსი არგახსენებით ხელმეორედ ვკლავთ მას.

„ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორის **ლაშა ნადარეიშვილის** ლექსის სტრიქონები მახსენდება უნებურად, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის მკვლელობას რომ ეხმიანება:

მზეს
ღრუბელს მიუტანს
ადრე თუ გვიან
ქარბორია.
ფრთხილად! —
ეს იუდას
ძველისძველი
ამბორია!!!
ტაძრისკენ სავალი
მრევლს ნუთუ
გზებიც
არევია?!
ფრთხილად! —
აქ მრავალი
შაჰის და ყაენის
ჰარემია!!!
მარტყოფის ველი
წითლად
ანთებული
მოცხარია...
**ფრთხილად! —**
**კირიონის**
**მკვლელი**
**ცოცხალია!!!**

საუბედუროდ, გალაკტიონის შემთხვევაშიც ასეა. ისიც ხომ პატრიარქი იყო.

**ფრთხილად, გალაკტიონის მკვლელი ცოცხალია!**

ასე იყო ორიათასშვიდშიც... გალაკტიონის სახლი გაქურდეს და მისი განუყრელი ხელჯოხი მოიპარეს.

უნივერსიტეტშელახული, სამშობლოწართმეული და ეკლესიებდანგრეული ქვეყნის იმდროინდელ კულტურის მოამაგეებს, რა თქმა უნდა, ყურიც არ შეუბერტყავთ.

მაშინ დავწერე: მთაწმინდას ხოხვითა და მეტანიით გარს უნდა უვლიდეს კულტურის მინისტრი ** გოკა გაბაშვილი**-მეთქი, მაგრამ სად ჰყავდა იმ დროს ქვეყანას პატრონი...

მაშინ **ზაზა ბურჭულაძის** პროზა და **იოსებ ქაქალაშვილის** პოეზია იყო მთავარი საფიქრალი **საკაშვილ-ბოკერიას გაბაშვილისთვის!**

დიახ, იმ დღიდან გალაკტიონის სახლის ქურდიც ცოცხალია და მისი მკვლელებიც ყოველდღე დაიარებიან ჩვენ სიახლოვეს.

●

გალაკტიონის მკვლელები ვახსენე და არცთუ შემთხვევით...

**„გულში დაგროვდა ზიზღი**
**და ბნელში ღამის ბინდი,**
**არ მეშინია სისხლის,**
**არც თვითმკვლელობა მინდა“.**

ესეც გალაკტიონია.

და რა მნიშვნელობა აქვს, ფანჯარა საკუთარი ხელით გამოაღო თუ ღია დახვდა.

**„იმ დღეს „ლეჩკომბინატის“ მეოთხე სართულის ფანჯარასთან მდგარი გალაკტიონი არავის დაუნახავს.**

**იმ დღეს მას შალვა დადიანის დაკრძალვაზე უნდოდა წასვლა.**

**მაგრამ იმ დღეს გალაკტიონი აუცილებლად უნდა დაეწვინათ საავადმყოფოში!**

●

ახლაც მარტია.

ახლაც წვიმიანი, ტალახიანი და მღვრიე მარტი.

ათი დღის უკან, სამოცდასამი წლის წინაც, მოღუშული მარტი იდგა.

სამოცდასამი წლის შემდეგ გალაკტიონის სიკვდილი ბევრს აღარ გახსენებია.

და, სამწუხაროდ, ყოველი მსგავსი არგახსენებით ხელმეორედ ვკლავთ მას.

**ფრთხილად, გალაკტიონის მკვლელი ცოცხალია!**

## კვირგვინოსნები

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



**პუტინი** ვერ აცნობიერებს, რომ საცხოვრებელი კორპუსების, სამშობიარო სახლებისა თუ მარიუპოლის თეატრისათვის ნასროლი ჭურვები ხვდება **ტოლსტოის, ჩეხოვს, მენდელეევს,** ყველაფერს, რითიც რუსი ხალხი ცივილიზაციის ისტორიაში შევიდა. **ოპოზიციის რევანშისტულმა ნაწილმა თავი უნდა დაანებოს საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციის,** აღვირახსნილი ცილისწამების, ქვეყნის მოსახლეობის შეურაცხყოფისა და **არასაარჩევნო გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდების ამორალურ მცდელობას.**

„კვირის პალიტრა“

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



**უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, პირველი ბზარი მაშინ გაუჩინეს,** როდესაც **სააკაშვილით** დღისით, მზისით, დემონსტრაციულად შეუნგრიეს სახელმწიფო საზღვარი.

„იმედინიუსი“

**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*



დღეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, რომ **საქართველო გონივრულად მოქმედებს. ოპოზიცია სამარცხვინოდ იქცევა!**

„კვირის პალიტრა“

**ევგენი ჟუკოვი**
*უკრაინის საპატრულო პოლიციის უფროსი*



**ომის შემდეგ ჩვენ ჩავალთ ნატოში და ვასწავლით, როგორ უნდა ომი.**

„TV პირველი“



## რევაზ მიშველაძე

# გალაკტიონის სიკვდილი

# ႱႠႱႠႬႤႴႱႢ ႢႱႩႠႱႼႴႰႠႰႸ

*1959 წლის 17 მარტი.*

*გუშინ დალია.*

***ორმოცი დღე იწვა საავადმყოფოში — 19 იანვრიდან 5 მარტამდე.***

***ორმოცი დღე „მკურნალობდნენ“, არიგებდნენ, მოძღვრავდნენ, უთვალთვალებდნენ, ალკოჰოლის (როგორც ამბობდნენ) საწინააღმდეგო წამლებს ასმევდნენ.***

***ბოლოს მოსწყინდა.***

***შესძულდა ყველა წამალი და პირობა დადო, რომ აღარ დალევდა.***

***თითქოსდა ამ პირობას ელოდნენო, გამოწერეს.***

***როგორ მონატრებია თავისი ბინა, მაგიდა, საწერკალამი...***

***მარტოობა — ასე სანატრელი რომ გაუხადეს ამ ბოლო დროს.***

***არა და კაცი მარტოობისთვის იყო დაბადებული.***

*გუშინ დალია.*

***გვერდით ოთახში ჩურჩული მოესმა. ვიღაცამ კარი გააღო და მაშინვე მიხურა. კედლისკენ შებრუნდა და თავზე საბანი წაიხურა.***

*გუშინ დალია.*

***ქვეყანა არ დაუქცევია. თუთუნს ვიყიდიო, ძმისშვილს დაუბარა, ქუჩა გადაჭრა, ჯიხურს ეცა — „ორასი ძამიკო!“, დაუსხეს. მოუხედავად გადაჰკრა. მობრუნდა და დარცხვენილი ბავშვივით ჩაჯდა მანქანაში.***

— დალიე, ბიძია?

*შემობრუნდა და ხაზგასმით, ლამის დამარცვლით აუწყა:*

**— კი ბიძია, დავლიე.**

— ვარგა მერე ასე, ბიძია?

*არ გაეპასუხა.* **„რა ვარგა და რა არ ვარგა, ბიძაშენმა უკეთ იცის და საერთოდ...“** *ამის მსგავსი რაღაც ჰქონდა მომდგარი ენაზე, მაგრამ არ თქვა.*

*სკამისკენ ხელი გაიწვდინა. საათს დახედა. ცხრა სრულდება.*

*საათი ბალიშქვეშ შეჩურთა.*

*ვიღაც შემოვიდა.*

**„ნოდარი იქნება, ნინა ვერ გამიბედავს... ახლა დაიწყება ბუნაგიდან ჩემი გამოტყუება...“**

— ბიძია!

*არ გადმობრუნებულა, არც საბანი გადაუძვრია.*

— ბიძია!

**— ჰო.**

— უნდა წამოხვიდე.

**— სად ნოდარ, სად?**

— საავადმყოფოში, დაგვპირდნენ.

**— რას დაგვპირდნენ, ნოდარ, რას?**

— მერე ადგილი აღარ იქნებაო.

**— სად არ იქნებაო ჩემი ადგილი, ძამიკო, აქ ჩემს სახლში?**

— საავადმყოფოში, ბიძია.

**— ხომ ვიყავი საავადმყოფოში. გაძლებ შენ — ჯანმრთელი კაცი, იქ ორი თვე? მე გავძელი. ძამიკო. ავადმყოფმა კაცმა. ახლა დასვენება მჭირდება. დავისვენებ ცოტას, მოვმაგრდები და წავალ.**

— უნდა მორჩე, ბიძია. ბოლომდე უნდა მორჩე.

**— თუ არ ვიყავი მორჩენილი, რატომ გამომწერეს?**

— გენდნენ, ბიძია.

**— დიდი მადლობა ნდობისათვის, უფროსებო, გავამართლებ ამ ნდობას!**

— უნდა წამოხვიდე, ბიძია. მერე გვიანი იქნება.

**— საქმეები? თქვენ რას დაეძებთ ჩემს საქმეებს. მკურნალობის დრო მაქვს ახლა მეე? თავზე რომ ვადგივარ, მაშინაც არაფერი შველის მეორე ტომს.**

— მორჩები და მიხედავ.

**— მერე კაცმა არ იცის, რა მოხდება. ლაპარაკია, შეიძლება მთლად დახურონ სახელგამი.**

— ნუ გეშინია, არ დახურავენ. შენთვის გეუბნები, უნდა წამოხვიდე, ბიძია.

**— ძამიკო, რას გადამეკიდეთ, რა გინდათ. ამ სახლში ერთი კუთხე არ მეკუთვნის?**

— ყველაფერი გეკუთვნის და ყველაფერი შენია, მაგრამ ცუდად ხარ, უნდა იმკურნალო, ბიძია.

*საბანი გადაიძრო, ნოდარს შეხედა. ერთხანს კუშტად უმზერდა, უეცრად ფანჯრისკენ გაექცა თვალი და თითქოს გამოსავალი იპოვაო:*

**— ხომ ხედავ, რა უჟმური ამინდია. ასეთ ამინდში შეიძლება გარეთ გასვლა? ხვალ წავიდეთ, ნოდარ, ხვალ, ძამიკო. დღეს ისედაც ვერ ვარ კარგად. წელი მტკივა. პაპიროსიც გამითავდა, ხვალ „რეკორდს“ ვიყიდი...**

*თითქოსდა ევედრებოდა, ხავსს ებღაუჭებოდა, არ უნდოდა წასვლა.*

— ხვალ ადგილი არ ექნებათ, ბიძია. ქვეყნის ავადმყოფებია. ყველას „ლეჩკომბინატში“ უნდა მოხვედრა.

*... მარჯანიშვილის თეატრის გვერდითა სადარბაზოდან ორნი გამოვიდნენ.*

*ბიძა-ძმისშვილი ლამის ერთი სიმაღლისანი იყვნენ.*

*გალაკტიონს ფართხუნა, ნაცრისფერი „პლაში“ ეცვა. უქუდოდ იყო, ხელში თავისი განუყრელი, გაცვეთილ-დაძენძილი, ორგასაღებიანი პორტფელი არ ეჭირა.*

*ჯერ თეატრისკენ წავიდნენ, მერე გამობრუნდნენ და ხიდთან გაჩერდნენ.*

*ტაქსმა დაამუხრუჭა.*

**— წადი ახლა შენ, ბიძიკო, შენს საქმეებზე. მე თვითონ მივალ საავადმყოფოში. რა გაყოლა მინდა, ყველა მიცნობს.**

*ნოდარმა იცოდა, რასაც ნიშნავდა, „მე თვითონ მივალ“.*

— დაჯექი ბიძია, დაჯექი.

*წინა კარი გაუღო, თვითონ უკან დაჯდა.*

*გალაკტიონი უკმაყოფილოდ შემოტრიალდა.*

**— ტყვილად ცდები, ძამიკო. მისასვლელი ვიყავი ერთ ადგილზე. მე თვითონ მივიდოდი და დავწვებოდი. ყველა მიცნობს.**

*ნოდარმა მძღოლს ჩაულაპარაკა:*

— ჭავჭავაძეზე, „ლეჩკომბინატში“.

*... მთავარი ექიმის მოსაცდელში.*

**— არ ექნებათ ადგილი, ძამიკო. ტყვილად მოვედით. შენ აქ მომიცადე, მე შევალ და ვკითხავ შალვას. უნდა დაგვერეკა. ხვალ გაეწერებიან ავადმყოფები. ხვალ უნდა მოვსულიყავით...**

— ჰყავს ვინმე? — *ჰკითხა მდივან გოგონას ნოდარმა. პასუხს არ დაელოდა* — დამელოდე, ბიძია, ამ წუთში გამოვალ.

*„ამ წუთში“ საათზე მეტხანს გაგრძელდა. გალაკტიონი ცმუკავდა. ვერ ისვენებდა, წამდაუწუმ საათს დასცქეროდა.*

*დაახლოებით თერთმეტ საათზე, მოსაცდელში მწერლები შემოვიდნენ:* ***ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია, ელიზბარ უბილავა, მამია ასათიანი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა...***

*ირაკლიმ მაშინვე შენიშნა. ხელგაწვდილი წავიდა. გალაკტიონი თავმჯდომარეს წამოუხტა და დიდი ხნის უნახავივით გადაეხვია.*

**ირაკლი:** რამ შეგაწუხა, გალაკტიონ?

**გალაკტიონი: ვერ ვარ კარგად, ძამიკო. გული მაწუხებს, ვწვები.**

**ირაკლი:** ეგ კარგად გადაგიწყვეტია. დაწექი, დაწყნარდი, დაისვენებ, თავს მოუარე.

*სხვა მწერლები მთავარი ექიმის კაბინეტში შემწკრივდნენ.*

**— თქვენ... აქ... ძამიკო?**

*ირაკლიმ განზე გაიხედა.*

— საწყალი შალვას ამბავს გაიგებდი.

**— არ ვიცი?**

— წუხელის გარდაიცვალა.

**— რას მელაპარაკები?!**

*ირაკლიმ კარებისკენ გააბიჯა.*

— გინახულებთ. კარგად, გალაკტიონ.

**— კარგად, კარგად ძამიკო.**

*ხუთიოდე წუთში მწერლები იმავე თანმიმდევრობით გამოვიდნენ. წინ ირაკლი მიუძღოდათ. ნოდარმა მდი-*




*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## კვირგვინოსნები



**ოლექსი არესტოვიჩი**
*უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი*

აქტიური საომარი მოქმედებები **არაუგვიანეს 2-3 კვირაში** შეწყდება.

„რეზონანსი“



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

როდემდე **უნდა ვითმინოთ დემოკრატიის სახელით ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები?** სახელმწიფოს ცეცხლს გრანტიჭამია არასამთავრობოები უხსნიან.

„იმედინიუსი“



**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*

**ნაცები ორმაგი აგენტები არიან,** რომლებიც საქართველოს ინტერესების, მისი მთლიანობის, ერთობის, კეთილდღეობის საზიანოდ, **რუსეთსაც ემსახურებიან და დასავლეთსაც.**

„საერთო გაზეთი“



**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

ნაციონალებს **უკრაინელი ხალხის ტრაგედიის ხარჯზე** ხელისუფლებაში მობრუნება სურთ.

„ახალი თაობა“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**შეიძლება, ნატოს წევრობის პროცესი დროში გაიწელოს,** მაგრამ ქვეყანამ საერთაშორისო დონეზე პოზიცია არ უნდა შეცვალოს — **საქართველო ნეიტრალიტეტზე საუბარს არ და ვერ დაიწყებს.**

„ახალი თაობა“



**გიორგი ხელაშვილი**
*პარლამენტარი*

მოგიწოდებთ პასუხისმგებლიან პოლიტიკოსებს, **ნუ აჭყვებით ნაციონალურ მოძრაობას** და ნუ დაიწყებთ ნეიტრალიტეტის ზონდირებას საქართველოში.

„აიპრესი“



რევაზ მიშველაძე

# გალაქტიონის სიკვდილი

## [illegible]

დასაწყისი მე-11 გვერდზე

*ვანს ჰკითხა, მოადგილის კაბინეტი საით არისო.*

**— ხომ გეუბნებოდი ნოდარ, დღეს ჩვენთვის არ ეცლებათ-მეთქი. ცუდი დღეა, საწყალი შალვა... ვერ მოურჩენიათ... სხვას ყველას არჩენენ... შალვა ვერ მოურჩენიათ. სად მიდიხარ?**

— მოადგილეს ელაპარაკა. ადგილს მოძებნიან.

**— არ შეიძლება ხვალ მოვიდეთ-თქო? კითხე ერთი. ხვალ იქნება ადგილები, ვიცი მე.**

— ამ წუთში შემოვალ. აქ იჯექი, ბიძია.

*უნდოდა, **შალვა დადიანისთვის** შეევლო თვალი, მაგრამ მწერლები უკან არ გამობრუნებულან. ჩანს, სხვა კარებიდან წაასვენეს ცხედარი.*

*მოსწყინდა მოსაცდელში ჯდომა.*

*გარეთ გამოვიდა და ვესტიბიულში დააბიჯებდა.*

*წვერს ხელით ივარცხნიდა.*

*ჯიბიდან რამდენჯერმე ამოიღო „რეკორდი“, პაპიროსს თავი მოუსრისა. პირში ჩაიდო, მაგრამ გადაიფიქრა და კვლავ კოლოფში ჩააბრუნა.*

*პირველ საათზე ჩამოვიდა ლიფტით ნოდარი.*

— მეშვიდე პალატაში დაგაწვინეს.

**— მარტო ვიქნები?**

— ორი ავადმყოფია. კაი ხალხიაო. მალე საშუალება გვექნება და გადავიყვანთო.

**— ზღაპარია, ეგ ამბავი. არავინ არსად არ გადამიყვანს. რა საჩქარო იყო, ძამიკო, ერთი მითხარი. მოვიდოდით ხვალ ადამიანურად, წესიერად. უნდა ვაწუხო ახლა უცნობები.**

— კაი ხალხიაო. გაეხარდებათო გალაქტიონის გაცნობა. შენც გაერთობი ცოტას.

**— მშვენივრად ვერთობი მე ჩემს სახლში, ძამიკო.**

— კაი ახლა, ბიძია. მთლად ბავშვად ნუ გადაიქცევი. შენც უნდა შეგვიწყო ცოტა ხელი. შენს თავს შენ თუ არ მიხედე, ექიმი ღმერთი კი არაა.

*გასახდელთან მივიდა, შემობრუნდა.*

**— როდის დაგაწვენთო?**

— ამ წუთში ექთანი ჩამოვა.

**— აქ მომიცადე, ქვევით ჩავალ. საქმე მაქვს.**

— სად ქვევით?

**— ბუფეტში.**

— რა გინდა ბუფეტში?

**— საპონს ვიყიდი.**

— საპონიც ჩაგიდვა ბიცოლამ და კბილის ჩოთქიც. ვიცი მე, რაზეც მიდიხარ.

**— რაზე მივდივარ?**

— ვიცი მე.

**— არაყს რა უნდა ბუფეტში, ძამიკო.**

— ვიცი მე. არ ჩახვალ ქვევით შენ, ბიძია.

*სინამდვილეში ნოდარმა არაფერი იცოდა. გალაქტიონის ძმისშვილს ეგონა, „ლურჯა ცხენების“ ავტორი ბუფეტში არყის დასალევად ჩადიოდა. არადა, საავადმყოფოს ბუფეტში არაყი მართლაც არ იყიდებოდა. გალაქტიონს სარდაფში ნაცნობი ცეცხლფარეში ჰყავდა. აი, სად ეგულებოდა ნოდარის ბიძას არაყი.*

*ორის ნახევარზე საავადმყოფოს ხალათში გამოწყობილი გალაქტიონი სანიტარმა ქალმა ლიფტით მეოთხე სართულზე აიყვანა. ნოდარმა ტანსაცმელი წამოიღო და წამოვიდა.*

*ორადგილიან მეშვიდე პალატაში გალაქტიონს შეზლოგინი ჩაუდგეს.*

*ერთ-ერთი ავადმყოფის მეუღლემ ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა.*

— როგორ შეიძლება! ჯერ ერთი, ეს პალატა ერთი ავადმყოფისთვისაა განკუთვნილი. თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ისეთი ვიწროა! ორი ავადმყოფი წევს, მესამის ჩამატება რაღა უბედურებაა! გული აწუხებს ჩემს ქმარს. არ ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი?!





— **ქალბატონო...** გალაქტიონს რაღაცის თქმა სურდა.

— მე თქვენთან არა მაქვს, ბატონო საქმე. თქვენ ავადმყოფი ხართ და, რასაკვირველია, როგორც ყველას, ადგილი გეკუთვნით. მე იმათზე ვამბობ... ბოლოს და ბოლოს, სინდისიც კარგი საქონელია, რამდენჯერ ვთხოვე, გადაიყვანეთ ჩემი ქმარი ცალკე ნომერში-მეთქი. არ ეკუთვნის? ვისა აქვს მეტი დამსახურება. ჩამომითვალონ ერთი. ვინ გააკეთა ჩემს ქმარზე მეტი ამ ქვეყნისთვის. ამისთვის იომა, ამისთვის იშრომა? თქვენ გგონიათ, არა აქვთ ადგილები? ნახევარი საავადმყოფო ცარიელია. ყველაფერი ვიცი მე!

*ამ უკანასკნელ წინადადებაში ავადმყოფის მეუღლე მართალი იყო.* ***საავადმყოფო კომბინატში ძლიერთა ამა ქვეყნისათვის გამზადებული ლუქსები საიმედოდ იყო ჩარაზული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმხანად ჯანმრთელად იყვნენ.***

*გალაქტიონმა შეზლოგინზე სათვალე და ბლოკნოტი დადო.*

*იმწამსვე ბლოკნოტი აიღო, ხალათის ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა.*

*ორიდან ექვს საათამდე ვესტიბიულში ბოლთას სცემდა.*

*თავის პალატაში არ შებრუნებულა და არც აპირებდა.*

*პალატაში ახლობელთაგან არავინ აჰყოლია.*

*არც მერე მოუკითხავს ვინმეს.*

**ძმისშვილი შინ ათ საათზე დაბრუნდა.**

**გალაქტიონი კი მეოთხე სართულიდან, ნევროპათოლოგ პონდოევის კაბინეტის ფანჯრიდან გადახტა 1959 წლის 17 მარტს, ზუსტად 6 საათზე.**

*ფანჯარასთან „ვენური სკამი“ მიიდგა და გადახტა.*

*ფანჯრის რაფაზე ფეხის კვალი ვერ აღმოაჩინეს.*

*როგორც ჩანს, სკამიდან პირდაპირ გადაფრინდა. გადაეშვა ძირს. არც ხელგაშლილი წასულა თავდაღმა და არც ფეხზე დამდგარს უფრენია ბეტონის ასფალტამდე. დაეცა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. მთელი ტანით დაეცა. ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და გულ-ფილტვები ელენთიანურთ დახეთქილი.*

**1959 წლის 16 აპრილს მეუღლემ თბილისის პროკურორს განცხადებით მიმართა:**

> **„... გალაქტიონ ტაბიძის მეუღლე და ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. რისთვისაც გთხოვთ, გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა შემნახველი წიგნაკი დამიბრუნონ.**
>
> გალაქტიონ ტაბიძის ქვრივი ნ. ტაბიძე“.

**თხოვნა შეუსრულეს.**

ნინო ტაბიძის ხელწერილი №71.

> **„1959 წლის 21 აპრილი, ქ. თბილისი. ნინო სიმონის ასულმა ტაბიძემ მივიღე ჩემი მეუღლის — გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძის შემდეგი ნივთები:**
>
> 1. შემსალაროს წიგნაკი, სალაროს №3575, ანგარიშის ნომერი 94170, 26 295 მან. და 46 კაპ-ის ნაშთით.
> 2. ფული ორასოთხმოცდაერთი მანეთი.
> 3. უბის წიგნაკი ალფაბეტით, სხვადასხვა ჩანაწერებით.
> 4. ლექსი „ია სოვეტსკი რაბოჩი. კომმუნისტ“. რუსულად ხელის მოწერა ალექსი პეტრეს ძე ზაკომოლდინი.
> 5. ცხვირსახოცი ყავისფერი ნაპირებით.
> 6. გ.ვ.ტაბიძის შრომის უუნაროობის ფურცელი, სერია 7201, 089933, 19 იანვრიდან 16 მარტამდე.
> 7. ცნობა, რომ ტაბიძე მკურნალობს „ლეჩკომბინატში“.
> 8. სათვალე გამჭვირვალე გაყოფილი მინებით.
> 9. „რეკორდის“ კოლოფი სამი პაპიროსის ნამწვითა და სამი მოუწეველი პაპიროსით.
> 10. შავი უბრალო ფანქარი 7 სმ-ის სიგრძის.
> 11. სავარცხელი, ტარიანი, ყავისფერი.
> 12. ორი თითბერის გასაღები, ერთ-ერთი რკინის ენით, შეკრული ქაღალდის კანაფით.
> 13. სამი ყუთი ასანთი.
>
> **აღნიშნული ნივთები და ფული მივიღე ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელ სიმონიშვილისაგან“.**

## კვირგვინოსნები

**რაულ ჩილაჩავა**
*მწერალი, დიპლომატი*



ოკუპირებული ქვეყანა ვართ, ყურის ძირში დგას რუსული ტანკები და **არ გვაქვს არავითარი გარანტია, რომ რუსეთი უკრაინის კვალდაკვალ ჩვენ არ გაგვიხდის სამიზნედ.** ცუდად მაქვს წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობა სანქციების საკითხებში, როცა მას არავითარი ბერკეტი არ გააჩნია მათ განსახორციელებლად. **ეს იქნება, უბრალოდ, ეპატაჟი და ცუდის მეტს არაფერს მოუტანს საქართველოს.**

„TV იმედი“

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



ნატო არ გახდება **უკრაინის ომის** მონაწილე მხარე.

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



ჩვენი გაცხადებული პოლიტიკაა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა **მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით** აღდგეს.

„იმედინიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე*



რაც ომი დაიწყო **1 გრამი რძე არ შესულა რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან,** მაშინ, როდესაც **ევროპაში რუსეთიდან მილიარდობით ევროს ოდენობის გაზი გაედინება.**

„ინტერპრესნიუსი“



მურმან ლებანიძე

# იყო ცხრაას ორმოცდა-ცხრამეტი წლის ტალახი




ყვავილების მდინარეს
კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი
და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე
მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი —
მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ,
შუბლიც სტკიოდა —
მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი,
ხნიერი და ძლიერი.

რაღაც პათეტიკური მას
სიკვდილშიც დაჰკრავდა,
იწვა,
როგორც ყოველთვის,
ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა,
ეს მზე ოქროცურვილი —
იყო ეს ყველაფერი
მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო!
რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, —
მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს
რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი,
სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად შემოვლებული
შეჩოჩქოლდნენ დროშები,
უცბად
მამადავითის ბჭესთან
შედგნენ მგოსნები:

კონსტანტინე-ბატონთან
ლეონიძეც იქ იდგა.
„რა ჰქნა?“ —
უმისამართოდ
ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?“ —
ახლა ირაკლიმ
თქვა და თავი დახარა, —
იმ დღეს ავად მენიშნა
ეს ამდენი ჭაღარა...

სდუმდნენ
დიდოსტატები,
იდგნენ
მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთაწმინდას
საუკუნის სამკალი.

წინ გვიძღოდა
სიკვდილით
სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი
და სიკვდილშიც
პირველი.

იყო
ცხრაას
ორმოცდაცხრამეტი
წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი
წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამხარ მიწაში
იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი
უძველესი კრამიტი.

რაღაც პათეტიკური
მას სიკვდილშიც
დაჰკრავდა,
იწვა,
როგორც ყოველთვის,
ახლაც არვის არ ჰგავდა.

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც
მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა,
საქართველომ იცოდა.

## კვირგვინოსნები

**მარკ რუტე**
*ნიდერლანდების პრემიერი*



ევროკავშირის ქვეყნები კვლავ დიდწილად დამოკიდებული არიან **რუსულ ნავთობსა და გაზზე** და მოკლე დროში მასზე უარს ვერ იტყვიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ანჯეი დუდა**
*პოლონეთის პრეზიდენტი*



**საქართველო ძალიან მნიშვნელოვანია,** ვიმედოვნებ, ერთ დღეს გახდება **ევროკავშირისა** და **ნატოს** წევრი.

„პირველი არხი“

**ჟოზეფ ბორელი**
*ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი*



ეს უკვე ომიც აღარაა. **ეს ქვეყნის მასობრივი განადგურებაა, რაც ომის წესებსაც აღარ ექვემდებარება.** ომსაც აქვს წესები და კანონები.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გულბაათ რცხილაძე**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



მოვუწოდებ ხელისუფლებას, **გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა,** რომ აღიკვეთოს იმ ნაძირალების მოღალატური და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომლებიც **საქართველოს ომისკენ უბიძგებენ.**

„საერთო გაზეთი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**კონსტიტუციაში არის ჩანაწერი ნატოში გაწევრიანების შესახებ.** ხელისუფლების ყველა შტო ყველაფერს უნდა აკეთებდეს ამ ვალდებულების შესასრულებლად.

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**სააკაშვილის ირგვლივ მე ვერ გავერთიანდები.**

„პირველი არხი“

***ნაცმოძრაობის პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციის კამპანიას გაასკეცებული მონდომებით ეწევა, ყველანაირად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მოკავშირე და პუტინის მეგობარია.*** *სწორედ ამ კამპანიის ფარგლებში* ***სააკაშვილის სექტის „პროპაგანდონებმა“*** *კიდევ ერთხელ წამოსწიეს მათ მიერვე ადრეც რამდენჯერმე შემოგდებული თემა, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ კრემლს იმ ქართველი ვეტერანების სიები და პერსონალური მონაცემები გადასცა, რომლებიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდნენ. უფრო კონკრეტულად, ნაცპროპაგანდა ამაში საქართველოს ვეტერანების* ***საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს ირაკლი შიხიაშვილს*** *ადანაშაულებს, ბრალმდებელთა შორის ყველაზე აქტიური კი* ***ერთი უხსენებელი დედაკაცი ბრძანდება, რომელსაც თავი ჟურნალისტად გამოუცხადებია, მცირეტირაჟიან ქაქისფერ გაზეთს რედაქტორობს და დღენიადაგ ნაცტელევიზიების ეთერშია გამოდგმული,*** *რათა სააკაშვილის სექტისათვის მიუღებელ ადამიანებს ტალახი ესროლოს და ცილისწამების ლაფში ამოსვაროს.* ***ამ ჟურნალისტურმა გვამმა*** *რამდენიმე დღის წინათ საკუთარი საინფორმაციო სააგენტოსა და „ფეისბუქის“ მეშვეობით მორიგჯერ დააყენა სუნი — რუსეთს, რომელსაც შიხიაშვილმა ქართველი ვეტერანი მეომრების სიები გადასცა, დღეს უკრაინაში მებრძოლ ქართველ სამხედროებზე ნადირობა აქვს გამოცხადებულიო!* ***სწორედ ამ თემით დავიწყეთ ინტერვიუ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ყოფილ უფროსთან, თბილისის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარესა და ამჟამად პოლიტიკური პარტია „ქართული მარშის“ ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი შიხიაშვილთან:***

# ირაკლი შიხიაშვილი:

# ვერაფრით დავიჯერებ იმ ქართველის პატრიოტობას, დღეს ვაჟკაც უკრაინელ მებრძოლებს რომ ადიდებს, ხოლო მე, ქართველ მეომარს,



## რომელიც აფხაზეთში 13 თვე და 13 დღე ვებრძოდი რუსეთს და რუსების მიერ ნასროლი ოთხი ტყვიითა და ნაღმის სამი ნამსხვრევით მიღებულ ჭრილობებს დავატარებ, რუსეთუმეს მეძახის!

— პირდაპირ ვაცხადებ: სანამ ქვეყანაში ცილისწამების გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაწესდება, ზნეობისგან დაცლილი პოლიტიკური და ჟურნალისტური გვამები დეზინფორმაციის გავრცელებას არ მოიშლიან. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა არარსებული თემით ცდილობენ ჩემ დისკრედიტაციას და კაცს, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ ყველა ომში ვიბრძოდი, სამშობლოს ღალატის ტოლფას სიბინძურეს მაბრალებენ.

**— პირდაპირ გკითხავთ — ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან, რომლის ხელმძღვანელიც თქვენ იყავით, რაიმე ფორმით გაჟონა თუ არა ქართველ ვეტერანთა სიებმა და პირადმა მონაცემებმა?**

— სრული პასუხისმგებლობით გიცხადებთ — **ასეთი რამ არ მომხდარა!** ჯერ ერთი, 2013 წელს ვიყავი არა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, არამედ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ვეტერანების ვერც პერსონალურ და, მით უფრო, ვერც სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან წვდომა ვერ მექნებოდა.

2015 წელს, როცა უკვე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი გახლდით, დავიწყეთ მუშაობა პროექტ „გეორგიაზე“, რომლის ფარგლებშიც ვეტერანებისათვის სპეციალური პლასტიკური ბარათები უნდა დაგვემზადებინა, რათა მათ სურსათის, საწვავისა და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის შეძენისას, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას ექსკლუზიური ფასდაკლებით ესარგებლათ. ამ საქმეში გვეხმარებოდნენ ჩვენი პარტნიორი ებრაელი ინვესტორები, რომლებთან ერთადაც დავაფუძნეთ კომპანია **„საქართველო ვეტერანებისთვის“.**

სწორედ ებრაელ ინვესტორებს მივაწოდეთ 14 ათასამდე ვეტერანის პერსონალური ინფორმაცია — სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი და საცხოვრებელი მისამართი — რათა მათთვის ფასდაკლების პლასტიკური ბარათები დაემზადებინათ. ბუნებრივია, ჩვენი ებრაელი პარტნიორებისათვის ვეტერანთა პერსონალური მონაცემების გადაცემა თითოეული მათგანის თანხმობის საფუძველზე მოხდა, სხვაგვარად ჩვენს სამსახურს ამის უფლება კანონით არც ჰქონდა.

**— ე.ი. თქვენ მიერ ებრაელი ბიზნესპარტნიორებისათვის გადაცემული ვეტერანთა მონაცემები მათი საბრძოლო წარსულის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ შეიცავდა და არ იყო იდენტიფიცირებული, რომელი მათგან სად და როდის იბრძოდა?**

— კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებ — **ჩვენ მიერ ებრაელი პარტნიორებისათვის კანონის სრული დაცვით გადაცემული მონაცემები შეიცავდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გავცემთ მაშინ, როცა ბანკიდან სესხი გამოგვაქვს ან რაიმე ნივთს განვადებით ვყიდულობთ.** რომელ საიდუმლო ინფორმაციაზეა საუბარი ან რუსეთი საერთოდ რა შუაშია? გაოგნებული ვარ, სადამდე შეიძლება მივიდეს ამ ცილისმწამებელთა გარყვნილი ფანტაზია!

სამწუხაროდ, ჩვენი პროექტი იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის **გიორგი კვირიკაშვილის** დიდი მეცადინეობით ჩავარდა, რის შემდეგაც ებრაელმა ბიზნესპარტნიორებმა 14 ათასამდე ვეტერანის პერსონალური მონაცემები დალუქული სახით დაუბრუნეს ჩვენს სამსახურს.

**— თუ არ ვცდები, სასამართლო დავაც გქონდათ იმის გამო, რომ მავანნი ბრალს გდებდნენ — რუსეთს ქართველი ვეტერანი მეომრების სიები გადასცაო!**

— დიახ, სასამართლოში ვუჩივლე ნაციონალური მოძრაობის წევრს **მეგი გოცირიძეს** და ვინმე **გიორგი ხიზანიშვილს,** რომლებიც ჩემ წინააღმდეგ ბინძურ კამპანიას აწარმოებდნენ. მათ გვერდით ედგა ცნობილი ცილისმწამებელი არსება (ლაპარაკია თვითგამოცხადებულ ჟურნალისტ ელისტრაკო კილაძეზე (რედ.), რომელიც უსირცხვილოდ იძახდა — მტკიცებულებები მაქვს, რომ შიხიაშვილმა ვეტერანთა პირადი მონაცემები რუსებს გადასცაო, მაგრამ სასამართლო სხდომა როცა დაინიშნა, მან განაცხადა — იმის გამო, რომ **მეგი გოცირიძემ** ადვოკატად ჩემი პირადი მტერი **ირაკლი ზაქარეიშვილი** აიყვანა, ჩემ ხელთ არსებულ ინფორმაციას სასამართლოში არ წარვადგენო! არადა, პირადად მე მოვუწოდებდი ამ ცილისმწამებელს, სასამართლოს წინაშე გაემჟღავნებინა ის „მტკიცებულებები“, რომლითაც იმუქრებოდა, მაგრამ, რაც ბუნებაში არ არსებობს, საიდან უნდა ჰქონოდა?

**— მეგი გოცირიძესთან თქვენი სასამართლო დავა რა შედეგით დასრულდა?**

— სასამართლომ დაადგინა, რომ ცილს მწამებდნენ და ჩემი მხრიდან არანაირ უკანონობას, გადაცდომასა და დანაშაულებრივ გულგრილობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა, კანონის სიმახინჯემ აქაც იჩინა თავი — მოსამართლემ გოცირიძეს ჩემთვის ბოდიშის მოხდა არ დააკისრა, რადგან მე, როგორც პოლიტიკოსს, თურმე, თმენის ვალდებულება გამაჩნია. **კი მაგრამ, რამდენი უნდა ვითმინო და როდემდე უნდა ვითმინო? შეიძლება, ასე დაუსრულებლად გრძელდებოდეს ადამიანის შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა სიტყვის თავისუფლებას ამოფარებული უპასუხისმგებლო მამაძაღლების მხრიდან?**

ცოტა ხნის წინათ ჩემთან „მთავარი არხის“ ჟურნალისტი თენგიზ გოგოტიშვილი მოვიდა — რუსულ საიტებზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართულმა მხარემ რუსეთს ქართველი ვეტერანების სიები გადასცაო და მაჩვენა სოციალური ქსელებიდან ამოკრეფილი მასალა, რომლის მიხედვითაც ვეტერან მებრძოლებს „ფეისბუქში“ დარქმეული ჰქონდათ ე.წ. ნიკნეიმები — **„ვახტანგ გორგასალი“, „გიორგი სააკაძე“, „არსენა მარაბდელი“** და ა.შ. გოგოტიშვილს ვკითხე — კი მაგრამ, რუსებს **„ვახტანგ გორგასლის“, „გიორგი სააკაძისა“** და **„არსენა მარაბდელის“** საიდუმლო მონაცემები გადავეცი-მეთქი? თვითონაც მიხვდა, რომ სისულელესთან ჰქონდა საქმე და ხმა აღარ ამოუღია.

**შეხედეთ, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე რა ხდება „ფეისბუქში“, „ტიკტოკსა“ და სხვა სოციალურ ქსელებში — სამხედრო ფორმაში გამოწყობილ იარაღიან ტიპებს თავიანთი ფოტოები და ვიდეოები აქვთ გამოფენილი, არც სახეს მალავენ და არც სახელსა და გვარს. ადამიანი ომში იბრძოდეს და თან იპრანჭებოდეს, „სელფების“ გადაღებითა და ინტერნეტში გამოფენით იყოს დაკავებული, დღემდე არასოდეს მინახავს.**

**— უკრაინაში მიმდინარე სამხედრო ომის კვალდაკვალ, საქართველოში ფიცხელი პოლიტიკური ომია გაჩაღებული და ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა, უნდა გამოაცხადოს თუ არა ქართულმა სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი, ანუ საკუთარი ნებით უნდა თქვას თუ არა უარი ნატოსკენ სწრაფვაზე?**

— საქართველო არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაწევრიანდეს არცერთ სამხედრო ბლოკში, უნდა გამოვაცხადოთ სამხედრო მიუმხრობლობა და დავიწყოთ დიპლომატიური მუშაობა იმისათვის, რომ მთელმა მსოფლიომ ნეიტრალურ სახელმწიფოდ გვაღიაროს. რუსეთსაც იქით უნდა შევთავაზოთ, რომ აღიაროს საქართველოს ნეიტრალიტეტი, ოღონდ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, ანუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაციის გათ-

## „რუსეთს იქით უნდა შევთავაზოთ, რომ აღიაროს საქართველოს ნეიტრალიტეტი, ოღონდ, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით!“

## კვირგვინოსნები

**თემო გოცაძე**
*საქართველოს სახალხო მხატვარი*



**ღარიბაშვილის მოვალეობაა,** ქვეყანაში პროდუქცია იყოს, ეკონომიკური განვითარება არსებობდეს, სამუშაო კლიმატი იყოს და არეულობა არ იყოს. **ამ ამოცანას ჯერჯერობით ასრულებს და, თუ ასრულებს, რატომ უჩხიკინებენ?** დეგენერატი უნდა იყო, რუსეთთან ომი მოგინდეს, როცა იცი, რომ ატომი აქვს ხელში. **ვინ არიან ეს ბინძურები და ავადმყოფები?** ტყუილია ეს, რომ **სააკაშვილი** უკრაინას სჭირდება. **სააკაშვილი უკრაინაში ახლა არევ-დარევდა ყველაფერს. სააკაშვილი არსად არ უნდა წავიდეს, ის არის დამნაშავე, მისჯილი აქვს, მოიხადოს სასჯელი.** სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო, ახლა რუსეთს აღებული ექნებოდა საქართველო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**24 თებერვლის შემდეგ სამყარო შეიცვალა!** ომის დროს ყველაზე სერიოზულ კრიმინალებსაც კი ათავისუფლებდნენ ტყვეობიდან და უშვებდნენ ფრონტზე. **24 თებერვლის მერე მე სააკაშვილს აუცილებლად შევიწყალებდი.**

„ახალი თაობა“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



რა უნდა გამოიძიოს პროკურატურამ? **რატომ მივწერეთ წერილი რუსეთის პრეზიდენტს, რომ ომი არ გვინდა?** დააკვირდით: ომი არ გვინდა, მშვიდობა გვინდა! ამას ეხება წერილი და ამის გამო ვინმემ გამოძიება უნდა დაიწყოს?! ახლა ეს სასაცილო არაა?!

„აიპრესი“

ვალისწინებით. მართალია, რუსეთი დიდია და ბევრი რაკეტა აქვს, მაგრამ პრობლემები და გასაჭირიც არ აკლია და გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა აუცილებლად დასჭირდება. ამასთან, ჩვენი ნეიტრალიტეტის გარანტორები უნდა გახდნენ გაერო და მსოფლიო თანამეგობრობა, მაგრამ მანამდე ჩვენ თვითონ უნდა გავიაზროთ და მერე მათაც გავაგებინოთ, რა როლი და ფუნქცია ექნება საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე.

**— და მაინც, საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბარს პროდასავლური თუ ფსევდოპროდასავლური ძალები რუსეთუმეობად მიიჩნევენ!**

— მინდა, რომ საქართველოში არ იდგეს არცერთი უცხო ქვეყნის ჯარი და **ეს არის პრორუსობა?** მინდა, რომ ჩემს ქვეყანას კარგად დალაგებული ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან! **ეს არის პრორუსობა?** მინდა, რომ საქართველო, როგორც ნეიტრალური სახელმწიფო, კავკასიის რეგიონის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად იქცეს! **ეს არის პრორუსობა?**

**— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ახლა ნაციონალური მოძრაობისა და მისი პროპაგანდისტული რუპორების მხრიდან დიდ პოლიტიკურ წნეხს განიცდის იმის გამო, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა?**

— ვაკვირდები, რომ დღეს თბილისსა და მთელ საქართველოში ძალიან მოდური გახდა უკრაინის დროშის ფრიალი და ამ დროშის ფერებში გადაწყვეტილი სხვადასხვა ატრიბუტიკით სიარული, ტრენდულია შეძახილი — „დიდება უკრაინას!“ კი მაგრამ,

**უკრაინელი მებრძოლების სიმამაცითა და ვაჟკაცობით რომ აღფრთოვანებაში მოვდივართ, როგორ მოვექეცით თავის დროზე და როგორ ვექცევით დღესაც იმ ვაჟკაც ქართველ მებრძოლებს, რომლებმაც აფხაზეთში რუსების წინააღმდეგ 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით იბრძოლეს?**

იმის ნაცვლად, რომ ეს ბიჭები გულში ჩაეხუტებინათ და გმირებად ეღიარებინათ, ციხეში გაისტუმრეს — კრიმინალები არიანო! ვინმეს უფიქრია და მოუკითხავს, ეს ბიჭები როგორ ცხოვრობენ? ზოგს თვალი არა აქვს, ზოგს თირკმელი არა აქვს, ზოგს ფილტვი არა აქვს, ზოგს ხელი არა აქვს, ზოგს ფეხი არა აქვს, სამსახური არა აქვს და ოჯახი შიმშილით უკვდება... **ერთი მეომარი მყავდა — ვახო რაზმაძე, მეტსახელად „ჯადოს“ ვეძახდით, მამაც და შვილიც საოპერაციო ჰყავდა და უსახსრობისა და უმწეობისაგან იმ ზომამდე მივიდა, რომ ავტომანქანის აკუმულატორის „კისლატა“ დალია, 6 თვე საშინელი წამებით ებრძოდა სიკვდილს.** ამაზე არავინ ფიქრობს და არავის სტკივა გული, სამაგიეროდ, ტანსაცმელს იხევენ — ვაიმე, უკრაინელები რა მაგრად ომობენო!

**ვერაფრით დავიჯერებ იმ ქართველის პატრიოტობას, დღეს ვაჟკაც უკრაინელ მებრძოლებს რომ ადიდებს, ხოლო მე, ქართველ მეომარს, რომელიც აფხაზეთში 13 თვე და 13 დღე ვებრძოდი რუსეთს და რუსების მიერ ნასროლი ოთხი ტყვიითა და ნაღმის სამი ნამსხვრევით მიღებულ ჭრილობებს დავატარებ, რუსეთუმეს მეძახის!**

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო ერთადერთი სწორი და გონივრული გადაწყვეტილება — ქვეყანა რუსეთის სამხედრო აგრესიის საფრთხის ქვეშ რომ არ დააყენა! თუ გვინდა, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ, სხვა გზა, უბრალოდ, არ გვაქვს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## ნანა ლორთქიფანიძე:

# ციხიდან სააკაშვილის გამოსვლა სიზმარშიც რომ ვნახო, გავგიჟდები!



*„მოვუწოდებ ხელისუფლებას, უკან არ დაიხიოს, კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატოს თავისი პოზიცია და დაიცვას ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება!“* ***— აცხადებს ცნობილი მსახიობი, გიგა ლორთქიფანიძის ქალიშვილი ნანა ლორთქიფანიძე და გმობს ნაციონალური მოძრაობის სურვილს რუსეთ-უკრაინის ომში ჩაბმასთან დაკავშირებით:***

— 2012 წელს, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა და ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაცია გამოაცხადა, ერთ-ერთი ვიყავი, ვინც ეს მისაღებად მივიჩნიე და ქვეყნის არევას, ისევ დათმობა ვამჯობინე. რა თქმა უნდა, არ დამვიწყებია, რომ ესენი დამნაშავეები იყვნენ, რომლებიც თავიდან ჩუმად იყვნენ, ეშინოდათ, მერე კი გათამამდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ — პოლიტიკურად გვდევნიანო. დღემდე არ ჩერდებიან, უკვე შეუძლებელია ამის ატანა და მოსმენა. **ახლა კი ამათ თავნებობას ხელისუფლება ბოლოს თუ არ მოუღებს, მაშინ ამას ხალხი გააკეთებს!**

**— ხალხის სახელით ლაპარაკობს სააკაშვილიც, რომელსაც იმედი აქვს, რომ სტრასბურგის სასამართლო გაამართლებს და საპყრობილეს თავს დააღწევს...**

— ციხიდან სააკაშვილის გამოსვლა ცხადად კი არა, სიზმარშიც რომ ვნახო, გავგიჟდები, მის გამოსვლებს არც ვუსმენ და არც ვუყურებ. **ჩემს პროტესტს ერთი რამ იწვევს — რისთვის ტარდება ეს პროცესები, სადაც კონკრეტულ საქმეს კი არ იხილავენ, არამედ ნაპრეზიდენტალის დეკლარაციებს ისმენენ და სასამართლო დარბაზში მიტინგის გამართვის საშუალებას აძლევენ?!**

უპატიებელია ისიც, რაც გასულ კვირას უგულავამ **კახი კალაძის** მისამართით იკადრა, ვგულისხმობ მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ შეურაცხმყოფელ პოსტს... ასე რომ, სააკაშვილიდან დაწყებული, უკანასკნელ ნაცამდე ამათი გამოსწორება შეუძლებელია, ყველაფერზე ხელს მოაწერენ, ოღონდაც სარგებელი ნახონ. უკრაინელი ხალხის ტრაგედიასაც წინ იფარებენ და სოლიდარობის დროშით მათ ტრაგედიას თავიანთ პარტიულ ინტერესებში აქცევენ.

**— სააკაშვილის თანამოაზრე ქალბატონებმა ხატია დეკანოიძემ და ელენე ხოშტარიამ უკრაინიდან განცხადებები გააკეთეს, რითიც ხელისუფლების დისკრედიტაციას შეეცადნენ...**

— **ხოშტარია და დეკანოიძე ჩემთვის ქალბატონები არ არიან, ქალი რომ ნაგვის მანქანაზე ახტება და ქუჩაში „სვისტოკით“ ირბენს, ის ქალბატონია?** რომელი ქალბატონი დაჯდება სხვის ტელევიზიაში და ომის დროს ინტერვიუს მისცემს საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, როგორც ეს ხატია დეკანოიძემ გააკეთა, თითქოს ჩვენი ქვეყანა „შავ ხვრელებს“ ეძებს და უკრაინელების დასახოცად იარაღის შექმნა-შეძენაზე ზრუნავს?! **დეკანოიძეს ან შვილები არ ჰყავს ან მშობლები? მაგათ გმირობა ის ჰგონიათ, რაც სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩაიდინა, როცა მიწაზე იხოხა და ჰალსტუხი შეჭამა.**

**— უკრაინელი რადის წევრები სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ, რუსებთან ომში დიდი გამოცდილება აქვსო...**

— მიწაზე ხოხვის გამოცდილება ვის სჭირდება?!

**სააკაშვილმა 100 ქართულ სოფელს, რომელიც რუსების ხელში აღმოჩნდა, ქვა-ღორღი უწოდა და ახლა უკრაინის გადარჩენა უნდა?**

თბილისიდან 40 კილომეტრზე რუსის ჯარი მოიყვანა, ხალხი ლტოლვილად აქცია და კიდევ დიდგულზეა, რომ ქვეყანას უფრო ძლიერად გამოუთხაროს ძირი. ეს უნდა გაითვალისწინონ უკრაინელებმა!

**— არადა, სამართლიანობის აღდგენას უწოდებენ სააკაშვილის გათავისუფლებას...**

— **ვისთან ერთად უნდა აღვადგინო სამართლიანობა, გირგვლიანის მკვლელებთან ერთად?** ან რატომ არის „ქართული ოცნება“ ამათთან სულ თავის მართლების რეჟიმში?

**— ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმშია რუსეთისათვის სანქციების არდაწესების გამოც...**

— ცდილობენ ომში საქართველოს ჩათრევას, ქვეყნის არევა უნდათ და სათავეში ისევ სააკაშვილის მოყვანა, მზად არიან გვამებზე სასიარულოდ და ამაში უკრაინას იყენებენ. **უკრაინის მთავრობის შეფასებისაგან თავს შევიკავებ — ქვეყანა ომშია, მაგრამ ვერ გავიგე, რა უნდა იქ ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, რატომ იყო თავშეფარებული დამნაშავე მეგის ქარდავა ან „კილერას“ — ალექსანდრე მუხაძეს — რატომ მისცეს ლტოლვილის სტატუსი, ხოლო „ბოროტა“ — გია ლორთქიფანიძე უკრაინის კონტრდაზვერვის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს?!** ახლა, რადგან „კილერასა“ და „ბოროტას“ უნდათ, ამ ომში იმიტომ უნდა ჩაერთოს ჩვენი ქვეყანა? როცა დრო მოვა, ღიად დავსვამ კითხვას, ჩვენმა მეგობარმა ქვეყანამ რატომ შეიფარა ეს კრიმინალები და რატომ დასვა თანამდებობებზე.

**— საქართველოში უკრაინიდან ასობით ლტოლვილი ჩამოვიდა, ლტოლვილები არიან რუსეთის ფედერაციიდანაც...**

— სოლიდარობას გამოვხატავ უკრაინელების მიმართ, მაგრამ ხელს ნუ უშლიან მთავრობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად ყველაფერს აკეთებს. ოპოზიციას, რომელიც თავს იკლავს უკრაინის მხარდაჭერაზე, ერთი თეთრიც არ შეუტანია მის დასახმარებლად გახსნილ ანგარიშზე, სადაც პარლამენტარები თანხებს რიცხავენ. აი, ეს არის ამათი ნამდვილი სახე! რაც შეეხება ქუჩაში რუსების გამოჩენას, დაუშვებელია, ვინმემ მათ ქვების სროლა დაუწყოს და უღირსად მოექცეს, ეს არც პოლიტიკურ დივიდენდებს მოგვიტანს და არც ადამიანურობის ჩარჩოებში ჯდება. საქართველომ ამ სამხედრო დაპირისპირების ტრაგედია ღირსეულად უნდა გადაიტანოს!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**„სააკაშვილმა 100 ქართულ სოფელს, რომელიც რუსების ხელში აღმოჩნდა, ქვა-ღორღი უწოდა და ახლა უკრაინის გადარჩენა უნდა?“**

## კვირგვინოსნები

**გრიგოლ ვაშაძე**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



**დიახ, ამ ხელისუფლებამ გადადგა ძალიან სწორი ნაბიჯები, რასაც გადადგამდა საქართველოს ყველა პატრიოტული ხელისუფლება.** პირველი, უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას გენერალურ ასამბლეაზე **დაუჭირა მხარი;** რუსეთის ფედერაციის გარიცხვას ევროპის საბჭოდან **დაუჭირა მხარი;** დიდი ბრიტანეთის ინიციატივას, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ აღძრულიყო საქმე იმის გამო, რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით უკრაინის წინააღმდეგ აგრესია, **დაუჭირა მხარი.** არ ვთქვათ ეს? **ანუ ვთქვათ, რომ ეს არ გაუკეთებია საქართველოს ხელისუფლებას?! მაპატიეთ და ხომ იდიოტიზმია?!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



ჩვენ რომ გვყავდეს **ადეკვატური ხელისუფლება,** უკრაინაში დიდი ხნის წინ ჩავიდოდნენ.

„კვირის პალიტრა“

**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება,** მას საქართველოსთვის არ ეცლება, **თუ გაიმარჯვებს,** მისი მადა გაცილებით დიდი იქნება და ამ შემთხვევაში **საქართველოში სამხედრო ოპერაცია არც კი დასჭირდება.**

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



დღეს უკრაინას მიხეილ **სააკაშვილი სჭირდება** — სააკაშვილი იქნებოდა **იდეოლოგიური ბომბი რუსეთის წინააღმდეგ.**

„პალიტრანიუსი“



# ზურაბ ხუბულაშვილი: სირცხვილია ზელენსკის გმირობაზე საუბარი მაშინ, როცა 9 ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი, 100 ათასი მოწამე, ჟიული შარტავა და გიორგი ანწუხელიძე გვყავს!




*დღეს რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყოს, დავიღუპებოდით! —* ***აცხადებს ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტპატიმარი ზურაბ ხუბულაშვილი და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა საქართველოში ახალი საომარი ფრონტი არ გაიხსნას:***

— დღეს ერთადერთი დანიშნულება აქვს ნაციონალურ მედიას — **როგორმე გამოიწვიოს ხელისუფლება და საქართველო ომის მეორე პოლიგონად აქციოს.** პრესის ძირითადი ნაწილი ხალხის ზომბირებაზე მუშაობს. მათი შიშით ადამიანები ქუჩაში ვეღარ შეკრებილან. თუ დაინახეს გარეთ გამოსული გულანთებული ახალგაზრდობა, მაშინვე მიუცუცქდებიან, ჯერ „სირცხვილია“ და მისი მსგავსი სამარცხვინო ორგანიზაციები დაამუშავებენ, მერე ნაცები და მათი სატელიტი ტელევიზიები მიიპატიჟებენ. ისე წარმოაჩენენ, თითქოს ეს მთელი ახალგაზრდობისა და მოსახლეობის აზრი იყოს... **ღმერთმა დაგვიფაროს, ახალი თაობა, რომელმაც მომავალში ამ ქვეყნის ბედი უნდა განსაზღვროს, ისე ფიქრობდეს, როგორც ტვინგამოღრეცილი ნაციონალური მოძრაობა.** ამჟამად ახალი დირექტივა აქვთ მიღებული — **ნეიტრალიტეტის თემის გამარგინალება.** თუ ვინმე ამ თემაზე სიტყვას დაძრავს, მაშინვე მოღალატედ რაცხავენ.

**— თქვენი აზრით, სწორია ნეიტრალიტეტზე დადებით კონტექსტში საუბარი?**

— განა ახლა ნეიტრალიტეტი არ გვაქვს? ვართ რომელიმე ბლოკის წევრი? ერთადერთი, რაც ჩრდილოატლანტიკურ ბლოკთან და ევროკავშირთან გვაკავშირებს, არის საქართველოს კონსტიტუცია, სადაც ხაზგასმით წერია, რომ ევროკავშირის წევრობა გვსურს. სხვა რა საერთო გვაქვს მათთან?!

**უკრაინა ომშია ჩართული, განადგურებულია ქალაქები და როცა იმათ არ ულებენ კარს, ჩვენ ვინ მიგვიღებს ნატოში?!** როდემდე უნდა ვიცხოვროთ ილუზიებში?! კარგით, ვთქვათ, მოხდა სასწაული და გვითხრეს, გიღებთო, მზად არიან ნატოში მიღების საფასურად აფხაზეთი და სამაჩაბლო დათმონ?

**— რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად ბევრმა გამოთქვა მოსაზრება — სწორედ ახლა გაჩნდა შანსი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისო...**

— 2008 წლის ომის ვითომ გენერლები რომ გამოჰყავთ — **უნდა მოვემზადოთ ომისთვისო** — ეს არის პროვოკაციული განცხადებები. რისთვის უნდა მოვემზადოთ, კიდევ ერთი ძმათამკვლელი ომი გავაჩაღოთ და წაგებულ ომში ძველებურად ამოვწყვიტოთ ახალი თაობა?!

**აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიანო, რომ ვამბობთ, ეს ძმები უნდა დავიბრუნოთ იარაღის ძალით?!** 3-მილიონიანი საქართველო ვეღარ გაუძლებს კიდევ ერთ ომს, ეს იქნება ამ ქვეყნის გენოციდი. არც აფხაზეთში უნდა შევიდეთ და არც სამაჩაბლოში, თუ ჭკუით ვიმოქმედებთ, მოვა დრო და თვითონ მოვლენ ისინი ჩვენთან!

გავუსწოროთ სიმართლეს თვალები — **ეს არ არის ომი მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას შორის, ეს არის რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის გავლენებისთვის ბრძოლა. ძალიან დასანანია ამ ომში დაღუპული თითოეული ადამიანი, მითუმეტეს, ქართველი.**

**— თქვენი აზრით, არ უნდა წავიდნენ ომში მოხალისეებად?**

— ეს მათი პირადი არჩევანია, მთავარია, ოფიციალური ხელისუფლება იდგეს თავის სიმაღლეზე და არ წამოეგოს ნაციონალების პროვოკაციას, რომლის მიზანიც საქართველოში მეორე ფრონტის გახსნაა.

**უკრაინაში გარდაცვლილი ერთ-ერთი ქართველი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ჩამოასვენეს საქართველოში, ჩემი ახლობელია. პატივს ვცემ მის არჩევანს, გული მეწვის ოჯახის საცოდაობით, თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ომი არ არის!**

9 აპრილის შემდეგ ყველა ომში მაქვს ნაბრძოლი, აფხაზეთში სიკვდილს თვალებში ჩავხედე, არასოდეს დამიხევია უკან ჩემი ქვეყნის გამო, მაგრამ რა მივიღეთ შედეგად — ნატოს ღია კარი? **მთელი ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის დაშლამ წაიღო და გავიდა ამასობაში ცხოვრება!** ახლა ისევ ომისკენ გვიბიძგებენ, აღარ დამთავრდა დასავლეთისა და რუსეთის ძიძგილაობა. მალე საქართველო შეიძლება გაგვიხდეს დასაცავი, ერთი სიცოცხლე გვაქვს და ჩვენი ქვეყნისთვის შევინახოთ.

## „ერთი დღით ჩამსვას სააკაშვილთან საკანში, რომ პირში მივახალო, როგორ პირობებში გამატარებინა უდანაშაულო კაცს საუკეთესო წლები!“

**— ისინი ფიქრობენ, რომ უკრაინაში საქართველოს ბედიც წყდება...**

— ხელისუფლების გულშემატკივარი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად სწორია — მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ომი თავიდან ავიცილოთ. **პირდაპირ ვამბობ — დღეს რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყოს, საქართველო ახლა ომის ქარცეცხლში იქნებოდა.**

არ მახსენდება მსგავსი მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი, როგორც ახლა ჩვენ გამოვხატავთ უკრაინელების მიმართ. ასეულობით ქართველი ომობს უკრაინაში, არცერთი სოფელი, სკოლა და საბავშვო ბაღი არ დარჩენილა, საიდანაც მათ დასახმარებლად ფუთები არ გაგზავნილა. მთელი გულით თანავუგრძნობთ, ამ დროს კი რა ხდება? უკრაინის ხელისუფლება იქიდან თავლაფს გვასხამს. ზელენსკის მარჯვენა ხელმა **არახამიამ** ისიც კი განაცხადა — მრცხვენია, ქართველი რომ ვარო!

**— ანუ ზელენსკის ჩვენი დროების გმირად არ განიხილავთ?!**

— იმ ზელენსკიმ, რომლის ქებაშიც არის დღეს საქართველო, ახლახან ის ადამიანი დანიშნა კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ, ვინც 26 მაისის დარბევის ოპერაცია ჩაატარა და დამიჭირა, ვის კისერზეც არის 26 მაისის ღამით სახურავზე შემოდებული 2 გვამი. **გია ლორთქიფანიძეს** რომ კაცი დააწინაურებს, იმას არც ჩვენი ქვეყნისთვის უნდა კარგი და არც თავისი ქვეყნისთვის. იქ ჰყავს **ზურაბ ადეიშვილიც,** რომლის შედგენილი სიითაც დაგვიჭირეს სუყველა. **დაიჯერო, 50-მილიონიან უკრაინაში ადეიშვილზე და ლორთქიფანიძეზე უკეთესი ადამიანები ვერ იპოვეს?!**

ამ ყველაფერს ერთი რეჟისორის ხელი ეტყობა. როგორც ჩანს, სააკაშვილსა და ზელენსკის ერთი პატრონი მართავს, უბრალოდ, ჩვენთან ოპოზიციაში არიან, იქ — ხელისუფლებაში. ფართოდ გაახილეთ თვალები და დაინახეთ რეალობა. **ზელენსკი ჩვენი მეგობარი არ არის და არც არასდროს ყოფილა. გაიხსენეთ, რა დღეში იყო 2008 წელს, როგორ დარბოდა საქართველოს დროშით ხელში სცენაზე და დასცინოდა ქართველ ხალხს**. საქართველოს გმირები არ უკვირს, სირცხვილიც კი არის ზელენსკის გმირობაზე საუბარი მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას 9 ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი, 100 ათასი მოწამე, ჟიული შარტავა და გიორგი ანწუხელიძე ჰყავს.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოვეგოთ ნაცმედიის ხელოვნურად შექმნილ პროვოკაციებს, მათი ყალბი გმირების მოწოდებებს, ხომ ხედავთ, საწყალი ბიჭების ჩამოსვენებაც კი სათავისოდ გამოიყენეს, პოლიტიკურ პიარად აქციეს... სამწუხაროა, რომ 9 წლის წინ შეიცვალა ხელისუფლება და დღესაც ნაციონალებისგან თავის დაცვაზე გვიწევს საუბარი, რა საკითხზეც არ უნდა ვისაუბროთ, ბოლოს მაინც სააკაშვილამდე მივდივართ.

**— რას ეტყოდით სააკაშვილს, ახლა თქვენ წინ რომ იდგეს?**

— სააკაშვილს არა, ღარიბაშვილს ვეტყოდი — ერთი დღით ჩამსვას სააკაშვილთან საკანში, რომ პირში მივახალო, როგორ პირობებში გამატარებინა უდანაშაულო კაცს საუკეთესო წლები, როგორ გვაწამებდა მისი სანაქებო რეჟიმი. მახსოვს, როცა ციხეში მიმიყვანეს, ტუალეტის ქაღალდი არ იყო და წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როცა 6-კაციან საკანში 40 კაცი ვისხედით.

სასჯელი, რომელიც სააკაშვილს აქვს მისჯილი, მიზერულია იმასთან შედარებით, რასაც იმსახურებს. მთავარია, ის, როგორც პოლიტიკოსი, დასრულდა, თუმცა, **ასევე უნდა დავუსვათ წერტილი მის პოლიტიკურ მიმდევრებსაც, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ასვენებთ გამჩენი** და ქვეყნის ამოყირავებას ცდილობენ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**შალვა ხაჭაპურიძე**
*ადვოკატი*



**არ გვყავს ჯარი, არ გვაქვს ფული,** არაფრის თავი ჩვენ არ გვაქვს, ბრძოლა ჩვენ არ შეგვიძლია და **ვართ მათხოვრები.**

„ახალი თაობა“

**თენგიზ ფხალაძე**
*ევროპის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მკვლევარი*



შეიძლება გქონდეს **არაქართული გვარი** და იყო **ყველაზე მეტი ქართველი** და შეიძლება გქონდეს **ქართული გვარი** და **არაფერი არ გქონდეს საერთო ქართულთან.** ვერანაირ ბმას ქართულ გვარსა და პუტინისთვის სიმღერას შორის ვერ ვხედავ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ძალიან ვნერვიულობ ჩვენს ხელისუფლებაზე. **გადართავენ მოსკოვზე** — რუსები იგებენ. გამოფენენ წითელ დროშას. **გადმორთავენ დასავლეთზე** — აგებენ. გამოფენენ ლურჯ-ყვითელს. ვინმე ღვთისნიერმა ან ერთი გაუთიშეთ, ან — მეორე.

„ალია“

*რა კარგი მახსოვრობა აქვთ ამ ჩვენს უცხოელ მეგობრებს — თოთხმეტი წლის შემდეგ ახლა გაახსენდათ, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველო მარტო, პირისპირ შეატოვეს რუსეთს, რომელმაც ისე გადასანსლა საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი, ხმა-კრინტი არავის დაუძრავს.*

# რა სინდისით ვთხოვთ ოკუპირებულ და ალყაში მოქცეულ ქვეყანას ისეთ ომში ჩაებას, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაშლითა და დანგრევით დამთავრდება?



## ვახტანგ ხარჩილავა

# საქართველოს დრო აუცილებლად დადგება, მაგრამ ამ დრომდე როგორმე ცოცხლებმა უნდა მივაღწიოთ!

მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველაფერი დამთავრდა, როცა რუსეთმა დასახულ მიზანს მიაღწია, აი, მერე ჩამობრძანდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების პირველი პირები და 12 აგვისტოს „თავისუფლების მოედანზე" გამართულ გრანდიოზულ კონცერტს შეუერთდნენ, **სადაც სააკაშვილთან ერთად „გამარჯვება" იზეიმეს, ოღონდ დღემდე ვერავინ გაარკვია, რა გამარჯვებას ზეიმობდნენ კონცერტის მონაწილეები, მაშინ, როცა ბრძოლის ველზე ჯერ კიდევ დაუმარხავი ქართველი ბიჭების ცხედრები ეყარა, კოდორის ხეობა, სამაჩაბლო თავის ახალგორიანად, უკვე ოკუპირებული იყო, ხოლო თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში რუსეთის ჯარი იდგა.**

ყველა ნორმალურ ადამიანს, ვისაც ეს „კონცერტი" უნახავს, დღემდე კოშმარული სიზმარივით ახსოვს ის გამაოგნებელი „სანახაობა", რაღაცნაირი კონვულსიური როკვა და ღრიანცელი ეგზალტირებული მასისა, სცენაზე კი სააკაშვილი და მისი ამფსონები გაბადრული სახეებითა და გაბრწყინებული თვალებით.

— **ჩვენი მეგობარი პრეზიდენტები რომ ჩამოვიდნენ, მაგალითად, იუშჩენკო, მაგან გადაარჩინა საქართველო,** — აცხადებენ ნაციონალები.

სიცრუეა ეს — **საქართველო კი არა, სააკაშვილი გადაარჩინა მაშინ დასავლეთმა,** სააკაშვილი, რომელმაც, როგორც მალევე გაირკვა, თავისი წინდაუხედავი და ავანტიურისტული ქმედებებით გარკვეული ბიძგი მისცა რუსეთს, საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა განეხორციელებინა.

**სწორედ სააკაშვილის გადარჩენას ზეიმობდნენ 12 აგვისტოს „თავისუფლების მოედანზე" შეკრებილები.**

ამ საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელმა ოპოზიციამ, რომელმაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეაჩერა ბრძოლა სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან ეს, ოპოზიციის აზრით, რუსეთის წისქვილზე დაასხამდა წყალს, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა სააკაშვილის გადადგომას. **ამ ამბების შემდეგ კიდევ ხუთი წელი იბოგინა სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე და ამ ხუთი წლის განმავლობაში იმდენი ზიანი მიაყენა ქვეყანას საქართველოს დამზიანებელი რუსეთის სასარგებლოდ, იქნებ, ჯობდა, 2008 წელსვე ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისთვის.**

●

ხომ ამდენი საშინელება დაგვატეხა თავს 2008 წელს რუსეთმა, უძველესი ქართული რეგიონები დამოუკიდებელ „სახელმწიფოებად" გამოაცხადა, შიგ რუსული სამხედრო ბაზები განალაგა, მაგრამ არც სანქციები დაუწესებია ვინმეს მოძალადისთვის, არც ზედმეტი საყვედური უთქვამს, ის კი არა, ევროსაბჭომ ისეთი რეზოლუცია მიიღო, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ომი რუსეთმა კი არა, საქართველომ დაიწყო.

**რატომ ავიწყდებათ ეს ამბავი ვიღაც-ვიღაცებს, ვინც დღეს დაჟინებით გვთხოვს, შევუერთდეთ სანქციებს და ღიად დავუპირისპირდეთ რუსეთს. არადა, ჩვენ ხომ ოკუპირებული ქვეყანა ვართ, ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, ალყაში ვყავართ რუსეთს მომწყვდეული.**

ნუთუ არ იცით ეს, პატივცემულო მეგობრებო დასავლეთიდან? და თუ მართლაც არ იცით, ყურადღებით მიმოიხედეთ და დარწმუნდებით, რომ ოკუპაციას გადარჩენილი დანარჩენი საქართველოც ალყაშია და საკმარისია მცირედი გაფართხალება და ერთ დღეში მოგვგუდავენ რუსები და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრულ კონტროლს დაამყარებენ. **ეს გინდათ, რომ მოხდეს თქვენ, ალყაში მოქცეულ ქვეყანას რუსეთთან ახალი ომისკენ რომ გვიბიძგებთ?**

კი მაგრამ, რა ხეირი აქედან ან ნატოს, ან ამერიკას, ან ევროკავშირს?

●

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ჩვენს მეგობრებს დასავლეთიდან კარგი მახსოვრობა ჰქონიათ და თოთხმეტი წლის წინათ საქართველოს რომ არ დაეხმარნენ, დღეს გაახსენდათ, თუმცა, როგორც ჩანს, მათი მახსოვრობა უფრო შორს ვერ მიდის და ის აღარ ახსოვთ, რა ტრაგედია დატრიალდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში.

არადა, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ გასული — **სულ რაღაც ოცდაათი წელია!**

ტანჯვითა და წვალებით მოპოვებული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გარედან მართულმა ძალებმა ერთ წელიწადში საქართველოში **იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი გზით, დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით არჩეული ხელისუფლება, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აიძულეს, ქვეყნიდან წასულიყო.**

ამ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მთელი ცინიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ **ეს ყველაფერი მისი უდიდებულესობის — დემოკრატიის სახელით გაკეთდა, ვითომ გამსახურდია დიქტატორი იყო და ბანდიტებმა დიქტატორი დაამხეს და ქვეყანაში დემოკრატია დაამყარეს.**

მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულ პრეზიდენტ გამსახურდიას მოსაკლავად გამოეკიდნენ. მანამდე არ მოისვენეს, სანამ სამეგრელოს ერთ მიყრუებულ სოფელში არ მოკლეს, თუმცა, ხმა დააგდეს — ჩვენ კი არ მოგვიკლავს, თვითონ მოიკლა თავიო.

ამ ამბების პარალელურად საქართველო ისევ და ისევ **რუსების მიერ პროვოცირებულ ქართულ-აფხაზურ ომში იბრძოდა,** იბრძოდა მარტო, თითქმის შიშველი ხელებით, მაგრამ მაინც 13 თვე გაუძლო რუსული სამხედრო ტექნიკით კბილებამდე შეიარაღებულ ე. წ. ჩრდილოკავკასიელ კონფედერატებს და რუსულ საჯარისო ნაწილებს.

**10 000 მშვიდობიანი მოქალაქე და 3 000-მდე მეომარი შეეწირა ამ ომს, 300 000 ქართველი მშობლიური სახლ-კარიდან გამოყარეს და ლტოლვილებად აქციეს.**

ეს იყო ქართველების წინააღმდეგ მიმართული ნამდვილი **გენოციდი,** მაგრამ მაინც „არსაიდან ხმა, არსით ძახილი" — არავინ გამოგვესარჩლებია, არავის დაურისხებია განგაშის ზარები საერთაშორისო ტრიბუნებიდან.

**1989 წლის 9 აპრილიდან 2008 წლის აგვისტოს თვემდე, ანუ თითქმის 19 წელი, ეს პატარა ქვეყანა, საქართველო, სულ ომში იყო უზარმაზარ რუსულ იმპერიასთან და აი, ასეთ ქვეყანას, რომელმაც ჯოჯოხეთის გზა გამოიარა, რა სინდისით და რა ნამუსით გეუბნებიან საყვედურს ვიღაც-ვიღაცები, რომლებსაც რატომღაც ძალიან უნდათ, ისევ დაგვატაკონ რუსეთს და საქართველო საომარ პლაცდარმად აქციონ.**

საქართველო ნახევარი უკრაინისხელა უკრაინა ხომ არ არის, ერთი მტკაველის დადება ქვეყანაა, სადაც ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები საქართველოსთვის სრული კატასტროფით, სრული გაპარტახებითა და განადგურებით დამთავრდება.

ვთქვათ პირდაპირ და ღიად — **ეს იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის დასასრული.**

ამიტომაც აბსოლუტურად სწორია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია, **არ შეუერთდეს სანქციებს, არ მისცეს რუსეთს საბაბი, კვლავ განაახლოს გასული საუკუნის 90-ან წლებში დაწყებული და ჯერაც დაუმთავრებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ.**

ჯერ საქართველოს დრო არ დამდგარა, მაგრამ ეს დროც აუცილებლად მოვა, ოღონდ იმ დრომდე როგორმე ცოცხლებმა უნდა მივაღწიოთ.








**ეს გინდათ, რომ მოხდეს თქვენ, ალყაში მოქცეულ ქვეყანას რუსეთთან ახალი ომისკენ რომ გვიბიძგებთ? კი მაგრამ, რა ხეირი აქედან ან ნატოს, ან ამერიკას, ან ევროკავშირს?**

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით **საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა** — ცხინვალში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარდგენილი 370 საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა.

„ინტერპრესნიუსი"

**ეკა გიგაური**
*„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" ხელმძღვანელი*



**რუსეთი ომს აგებს უკრაინაში,** იქ არ ყოფნის რესურსი, ამიტომ ვერ დაიწყებს ყველა მიმართულებით საომარ მოქმედებებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს შესაძლებლობის ფანჯარა გამოვიყენოთ, **ვაჩვენოთ დასავლეთს, რომ მათ გვერდით ვართ.**

„პირველი არხი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**დღეს ქვეყანაში არცერთი ნიშანი არ არის, რომ რევოლუცია მოხდეს.**

არ მესმის ხელისუფლების, როდესაც რომელიმე ოპოზიციონერზე ამბობს, **მეხუთე კოლონას** წარმოადგენსო. თუ **მეხუთე კოლონას** წარმოადგენს, დაიჭირე!

„ახალი თაობა"

**ზაზა ფირალიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ზედმეტი სიფრთხილით თავი ისე არ უნდა დავიბეჩაოთ, რომ ჩვენთვის ანგარიშის გაწევა აღარავის მოუნდეს. **არ ვლაპარაკობ მოვლენებში ცეცხლოვანი ჩართვის აუცილებლობაზე,** ეს ისეთივე დამღუპველი იქნება, როგორიც — გასუსვა.

„კვირის პალიტრა"



# გრიშა ონიანი: ეს სტალინის კი არა, პუტინის რუსეთია!

*საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე **გრიშა ონიანი** უკანასკნელ ხანს კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია — 2022 წლის 16 მარტს ტელეკომპანია „ჯორჯიან ტაიმსის“ პროგრამაში „ჩაი“ სტუდიაში მოწვეულ **გრიშა ონიანს** წინ დაუსვეს ნაცსექტანტი **ირაკლი ჩხვირკია**, ხოლო მაგიდაზე დაუდეს უშველებელი საშაქრე. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩხვირკიამ იმდენი ჩხრიკა, რომ ბატონმა გრიშამ საშაქრეს ხელი წამოავლო და ოპორტუნისტს შიგ თავში სთხლიშა... ამის შემდეგ ონიანმა ჩხვირკიას კეთილებიც მოუკითხა. მომხდარის კვალდაკვალ ქვეყნის ნომერ პირველი სტალინელი უკრაინაში ატეხილ ომსაც ეხმიანება:*

— 16 მარტს ტელეკომპანია „ჯორჯიან თაიმსის“ პირდაპირ ეთერში ნაცაქტივისტ **ირაკლი ჩხვირკიას,** რომელმაც სტალინსა და მთელ საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენა, თავში საშაქრე ვთხლიშე და დედაც ვაგინე. **ეჭვგარეშეა, რომ ნაცმოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს, ხოლო ჩხვირკიასნაირი ავადმყოფები, რომლებსაც ქართველი ერისგან უფრო დიდი საშაქრე მოხვდებათ თავში, ფიქრობენ, რომ ორ ფრონტზე — უკრაინასა და საქართველოში რუსეთი დამარცხდება!** მე კი მიმაჩნია, რომ რუსეთი, რომელიც ჯიუტად დგას მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, არ ეყრდნობა ისეთ სუსტ რესურსებს, რომ უკრაინასა და საქართველოს ორ ფრონტზე ვერ გაუძლოს. კარგად გავიხსენოთ ის ამბავი, ჩვენი ჯარის ნაწილები თავისი გენერალური შტაბითა და მთავარსარდლით სრულ კოლაფსში რომ ჩავარდნენ, როცა რუსებმა გორში კასეტური ბომბები ჩამოაგდეს. საფიქრებელია, რომ ასეთი კასეტური ბომბები რუსეთს საკმარისად მოეპოვება და ამიტომ თავში საშაქრეჩარტყმულ ჩხვირკიასა და მისთანა მოღალატეებს ქვეყანას ნუ გადავაყოლებთ!

**— ბატონო გრიშა, უკრაინაში ატეხილი ომის ფონზე რა დარჩა იმ რუსეთისგან, რომელიც სტალინმა დატოვა?**

— დე გოლი ამბობდა — **„სტალინის რუსეთი სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია!“** არადა, რუსებმა იმდენი ქნეს, რომ პლანეტაზე არსებულ ომებს შორის ყველაზე დიდ ომში გამარჯვება ამერიკასა და ევროპას დოლარებზე მიჰყიდეს! რუსეთის აღიარებული სირცხვილია **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიას. ისიც დოკუმენტური მასალებით არის დამტკიცებული, რომ **ლენინი და ტროცკი,** რომელთაგან ერთი გერმანიიდან შემოვიდა დალუქული ვაგონითა და ფინანსებით, ხოლო მეორე — ამერიკიდან, მსოფლიო რევოლუციის ხანძრის გასაჩაღებლად იყვნენ მოვლინებული. **რუსი ხალხი მათ ხელში უნდა ქცეულიყო ფიჩხად, რომელსაც სწორედ მსოფლიო რევოლუციის კოცონს შეუკეთებდნენ.** მანიაკალური მიდრეკილებებით გამორჩეული ეს ორი ეშმაკეული რუსი ხალხის მიმართ საშინელ სიძულვილს ავლენდა. **სწორედ რუსი ერისადმი ლენინისა და ტროცკის ასეთმა სატანისტურმა დამოკიდებულებამ შექმნა დედამიწის ერთ მეექვსედზე დანაღმული ველი, რასაც სრულიად უდანაშაულო ადამიანები და ხალხები დღემდე ეწირებიან.**

რევოლუციის შემდგომ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოწყობაზე ლენინსა და ტროცკის როგორც ანგლოსაქსებისგან, ისე მასონთა გაერთიანებული ლოჟებისგან სათანადო ინსტრუქციები ჰქონდათ მიღებული. **სტალინი ქვეყნის მოწყობის საკითხებში ლენინსა და ტროცკის ტურუხანსკის გადასახლებიდანაც კი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა.** მათ შორის ეს დაპირისპირება 1917 წლის აპრილიდან პეტროგრადშიც გაგრძელდა. 1917 წლის აპრილიდან იმავე წლის 25 ოქტომბრამდე, რევოლუციის დაწყების დღემდე, **სტალინმა** ასზე მეტი მნიშვნელოვანი მასალა გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე, რომელიც **ლენინისა და ტროცკის** მიერ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხებს ეძღვნებოდა, მაგრამ **ლენინის** ავტორიტეტმა **სტალინის** პოზიცია იმხანად გადაწონა, ხოლო ლენინ-ტროცკის მოღალატეობრივი საქმიანობით ყველაზე პირველებმა ფინელებმა ისარგებლეს და დატოვეს რუსეთი. ფინეთს მიჰყვა უკრაინა და ბალტიისპირეთისა და კავკასიის რესპუბლიკებიც. აღნიშნული შეცდომის გამოსწორებას ცოტა სისხლი როდი დასჭირდა. **სწორედ ამ შეცდომის გაგრძელებაა დღევანდელ უკრაინაში ატეხილი შემაძრწუნებელი ომი, რომელიც თავში საშაქრეჩარტყმულ ჩხვირკიასა და მისთანების ჭკუაზე თუ ვიარეთ, საქართველოსაც აუცილებლად გადაუვლის!** მეჩვენება, რომ პუტინსა და სააკაშვილს ერთი სკოლა აქვთ გამოვლილი — დამარცხების გამარჯვებად გამოცხადება და ტაშ-ფანდურის გამართვა!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სტალინის რუსეთი უკრაინაში მარცხდება?**

— ეს სტალინის კი არა, **პუტინის რუსეთია.** სტალინის რუსეთი არასოდეს არავისთან დამარცხებულა! დიახ, რუსეთი უკრაინში მარცხდება! ყოველგვარ უგუნურებასა თუ თავხედობას აჭარბებდა მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე გამართული 200-ათასიანი მასკარადი, რომელიც უნიჭობის, უსირცხვილობის, შავის თეთრად წარმოჩენის ზეიმი უფრო იყო. ომის დროს მთავარსარდალი უნდა იდგეს არმიასთან და არა ლამაზმანებთან. გამარჯვების პარადზე 1945 წლის 24 ივნისს თავსხმა წვიმაში 7 საათის განმავლობაში იდგა უმაღლესი მთავარსარდალი მავზოლეუმის ტრიბუნაზე და მარშლის ქუდის კეპიდან წვიმის ნაკადი მოჩქეფდა. სტალინისგან განსხვავებით, 2022 წლის 18 მარტს პუტინს საზეიმო ნამდვილად არაფერი ჰქონდა, ვინაიდან ერთი გასროლით მოკლული ოცდაერთი მშვიდობიანი მოქალაქის ცხედარი უკრაინაში ჯერ კიდევ დაუსაფლავებელი იყო. **იმის ნაცვლად, რომ შავარშიიანი დროშები დაეხარათ კრემლის ქონგურებზე, იმ დღეს ლუჟნიკის სტადიონზე 100 ათასი დროშა საზეიმოდ ფრიალებდა.** საოცარი ის იყო, რომ უკრაინასთან ომის დაწყება რუსი ადმირალის **უშაკოვის** დაბადების დღეს დაემთხვა, რომელიც არცერთ ბრძოლაში არ დამარცხებულა. ზეიმის კულმინაცია ის იყო, როცა პუტინმა გამოაცხადა — ასე ერთიანი და მონოლითური ხალხი, არმია და ხელისუფლება ჯერ არასდროს ყოფილაო! მე კი მეჩვენება, რომ რუსეთს არ ჰყავს მებრძოლი ახალგაზრდა არმია და არა აქვს ცოცხალი ძალის რეზერვი, რომ არაფერი ვთქვათ არმიის ლოჯისტიკაზე. **როგორც ტანკებზე, ისე ზარბაზნებთან შუახანს გადაცილებული მოხალისეები დგანან, ხოლო ამ დროს საავადმყოფოებში დაჭრილ ახალგაზრდა კურსანტებს სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯილდოებს აძლევენ.** რუსეთი აგებს არამარტო ბრძოლის ველზე, არამედ იდეოლოგიურ ფრონტზეც...

**— დააკონკრეტეთ!**

— დიდ სამამულო ომში, 1941-1945 წლებში, იმ უმარტივესი კინოაპარატურით, რომელიც იმხანად არსებობდა, გადაიღეს 2 ათასი კილომეტრი კინოფირი, რომელიც ნიურნბერგის პროცესზე დოკუმენტურ მტკიცებულებად წარადგინეს. ამ კინოფირის გადაღებას კინოჟურნალისტთა 3 ათასზე მეტი წარმომადგენელი შეეწირა. **უკრაინაში თითქმის ერთი თვე სრულდება ომის დაწყებიდან და დღევანდელი ტექნიკის ეპოქაში არცერთი დამაჯერებელი კინოკადრი არ არის გადაღებული ბრძოლის ველზე.** მთავარსარდალი ვლადიმერ პუტინი კი ამ დროს ხან — განმარტოებით, ხან — საკონცერტო სცენაზე და ხანაც კრემლის კაბინეტში პოზიორობს. ეკრანზე კი ყოველ წუთს გადის რეკლამა, რომ მალე ვნახავთ რუსეთის იმპერიის სიძლიერეს კინოფილმში „ელიზავეტა“. **ვის აინტერესებს კულულებიანი მამაკაცების ბუზმენტიან კოსტიუმებში პრანჭვა-გრეხა?! რა პატრიოტული გრძნობის აღმძვრელია იმ კულულებიანი კაცების თმების ყურება, რომელშიც ჩაბუდებული ტილების დასახოცი ხის ჩხირები დღესაც შემონახულია პეტერბურგის პეტერგოფის სასახლე-მუზეუმში?!**

გაეროს წევრი 200 ქვეყნიდან პუტინმა თავის მომხრედ ვერ გაიხადა ვერც დიდი და ვერც პატარა ქვეყანა მაშინ, როდესაც ამერიკისა და ინგლისის წაქეზებით რუსეთზე ცეცხლითა და მახვილით წამოსული ჰიტლერი, სტალინმა თავისივე წამქეზებლების ხელით დაამარცხა. აკი,

**„იმის ნაცვლად, რომ შავარშიიანი დროშები დაეხარათ კრემლის ქონგურებზე, იმ დღეს ლუჟნიკის სტადიონზე 100 ათასი დროშა საზეიმოდ ფრიალებდა!“**



პუტინი ლუჟნიკის სტადიონზე გამართულ კონცერტზე. 2022 წლის 18 მარტი.







**„ჩხვირკიასნაირი ავადმყოფები, რომლებსაც ანი ქართველი ერისგან უფრო დიდი საშაქრე მოხვდებათ თავში, ფიქრობენ, რომ ორ ფრონტზე – უკრაინასა და საქართველოში რუსეთი დამარცხდება!“**

# «სასაცილოა, როცა პუტინი სტალინის როლს არ აღიარებს!»

ამბობდა კიდეც ინგლისის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი:** *„სტალინი თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა!“* დიახ, სტალინმა კარგად იცოდა, რომ მისი ომისდროინდელი მოკავშირეები იმ ომის წინააღმდეგობის მოკავშირეები იყვნენ, რომელიც თვითონ გააჩაღეს ჰიტლერის ხელით. აკი, ამერიკის პრეზიდენტმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმა** თავისი შვილის ელიოტის შეკითხვას — „მამა, ომში რატომ არ ვებმებით?“ — ასე უპასუხა: *„ჩვენ სათადარიგო მოთამაშეები ვართ და სათადარიგო სკამზე ვზივართ. ძირითადი მოთამაშეები რუსები და გერმანელები არიან. ჩვენ მათ გარედან ვუყურებთ. რომელი გუნდიც დაიღლება და რესურსი გამოელევა, მის ნაცვლად შევალთ მოედანზე და დაღლილ გუნდს ადვილად მოვუგებთ!“* სწორედ ამ პრინციპით მიჰყავდათ თამაში მოკავშირეებს, რასაც კარგად ხვდებოდა სტალინი და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების დღიდან პრინციპულად მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას.

სამწუხაროდ, **რუზველტი** ვერ მოესწრო ომის დამთავრებას და 1945 წლის 12 აპრილს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მის მაგივრად პრეზიდენტის სავარძელში ჩაბრძანებული **ჰარი ტრუმენი** ჩერჩილთან ერთად გაპრეზიდენტების დღიდანვე ამუშავებდა საბჭოთა კავშირის 20 დიდი ქალაქის ატომური იარაღით დაბომბვის გეგმას. ეს გეგმა თანდათან „დაიხვეწა“ და ბოლოს 105 საბჭოთა ქალაქის დაბომბვამდე მივიდა.

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, 1945 წელს სტალინმა შური უკრაინისთვისაც იძიაო!**

— სტალინმა მთელი ევროპა მოიცვა პირველხარისხოვანი საშუალო და მძიმე ტანკებით. ბელადმა გასაიდუმლოებული ბრძანებაც გასცა, რომლის თანახმადაც წითელი არმია ანგლოსაქსების ყურემდე უნდა გასულიყო, რათა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთი ატომური ბომბის ჩამოგდების მომენტიდან მთელი ევროპა რუსული ტანკების მუხლუხების ქვეშ მოქცეულიყო! **ასეთი ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა 1945 წლის ბოლოდან 1949 წლის ბოლომდე, ვიდრე ტრუმენისეულ „კომბალს რუსი ბიჭებისათვის“ სტალინმა გაორმაგებული სიძლიერის როგორც ატომური, ისე წყალბადის ბომბი არ დაუპირისპირა.**

ამ ყველაფრის ფონზე სამარცხვინოა, როცა დღეს ვლადიმერ პუტინი გენერალ უშაკოვის გმირობით აშინებს მსოფლიოს და ამ დროს მსოფლიო პროგრესული კაცობრიობის დამცველი ფარი და ხმალი — სტალინი იქვე კრემლის კედელთან განისვენებს. დიახ, **სასაცილოა, როცა პუტინი სტალინის როლს არ აღიარებს!** რაც შეეხება სტალინსა და უკრაინას, სტალინის როლი უკრაინის ევროპის უდიდეს ქვეყნად აღიარებასა და რუსი ხალხის „დიდ რუს ხალხად“ ქცევაში განუსაზღვრელია. შვიდჯერ ნაპატიმრალი სემინარიელისთვის ეს ძირითადი საქმიანობა იყო... იმ საერთაშორისო ტერორისტული შეთქმულების განეიტრალება, რომელიც დასავლეთმა ანტანტის ხელით ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ დაგეგმა, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა. პრაქტიკულ საქმიანობას მოკლებული და ადვილად გადასაბირებელი **ლენინი** ხშირად არათუ პოსტრევოლუციის ბელადად, არამედ მეხუთე ბორბლად გადაიქცეოდა ხოლმე. აი, სწორედ ასეთ დროს რუსეთს მხსნელად მოევლინა პოლიტიკური ბრძოლის ველზე ეულად დარჩენილი **სტალინი,** რომელიც ებრძოდა არამხოლოდ ტროცკიზმს, კავკასიელ და უკრაინელ ნაციონალისტებს, კოლჩაკს, დენიკინსა და იუდენიჩს, არამედ — თვით ლენინს. **სწორედ სტალინმა გამოსტაცა ხელიდან ლენინს სამხრეთ რუსეთი, როდესაც არ დაემორჩილა არც მას, არც მის სამხედრო მინისტრ ტროცკის და ჩრდილოეთ კავკასია და ცარიცინი კატასტროფისაგან იხსნა.**

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— 1918 წლის დასაწყისში გერმანელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ უკრაინისთვის და მის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან ომზე გადავიდნენ. „ჩრდილში“ მყოფმა სტალინმა, როგორც ხშირად შენიშნავენ უახლოესი ისტორიის მკვლევარები, 1918 წლის 21 თებერვალს დეპეშა გაუგზავნა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამდივნოს. სტალინი წერდა — *„გერმანელებმა აიღეს დვინსკი, როვნო, მინსკი, ვოლმარი, ჰაპსალი. მოიწევენ პიტერისა და კიევისკენ. ცხადია, ლაშქრობის მიზანი არის არამხოლოდ დაპყრობა, არამედ, უწინარესად, რევოლუციისა და მისი მონაპოვრის ჩახშობა. სახკომსაბჭომ გადაწყვიტა, წინააღმდეგობა გაუწიოს პიტერიდან, მოახდინოს მუშა-მოსახლეობის, აგრეთვე, ბურჟუაზიის მობილიზაცია; ამასთანავე, თუ ბურჟუაზიის წარმომადგენლები არ მოისურვებენ სანგრების თხრას, ძალით გაიყვანოს ისინი და მუშების კონტროლით ათხრევინოს სანგრები. ამხანაგების საერთო აზრი არის ის, რომ თქვენ, კიეველები, ვალდებულნი ხართ, ერთი წუთიც არ დაკარგოთ და ასეთივე წინააღმდეგობა გაუწიოთ მტერს კიევის დასავლეთით, მოახდინოთ მთელი ცოცხალი ძალების მობილიზაცია, დადგათ არტილერია, გათხაროთ სანგრები, გარეკოთ ბურჟუაზია მუშების კონტროლით სასანგრო სამუშაოებზე, გამოაცხადოთ საალყო წესები და იმოქმედოთ სისასტიკის ყველა წესის მიხედვით. საერთო დავალებაა, შევაკავოთ გერმანელთა ბანდები, დავიცვათ პეტროგრადი და კიევი, რადაც უნდა დაგვიჯდეს. მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე შეიძლება თქვენ გეჩვენებათ. ჩვენთვის უეჭველია, რომ გერმანელთა ბანდებს სურთ, გაისეირნონ პიტერიდან კიევამდე და მხოლოდ ამ დედაქალაქებში გამართონ მოლაპარაკება ზავის შესახებ!“*

სტალინის ბრძანების გამოსვლიდან მეორე დღეს გერმანელებმა მართლაც წარმოადგინეს ზავის პირობები, რის გამოც სტალინი უშუალოდ დაუკავშირდა უკრაინის სახალხო სამდივნოს და გააცნო ზავის პუნქტები!

**— მაინც როგორი იყო ეს პუნქტები?**

— აი, გერმანელების მიერ წარმოდგენილი ზავის ერთ-ერთი, კერძოდ, მეოთხე პუნქტი: *„რუსეთი დაუყოვნებლივ დებს ზავს უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან. რუსეთის ჯარები და წითელი გვარდია დაუყოვნებლივ ტოვებენ უკრაინასა და ფინეთს, რუსეთის სამხედრო გემები (შავი ზღვისა და სხვა) დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნან რუსეთის ნავსადგურებში და დატოვებული იქნან იქ საყოველთაო ზავის დადებამდე ან განიარაღებული იქნან!“*

ამ და სხვა პუნქტების შესახებ სტალინის რეაქცია ასეთი იყო — *„პირობები წარმოუდგენლად მხეცურია. ვფიქრობთ, რომ პუნქტი უკრაინის შესახებ მოასწავებს არა ვინიჩენკოს ძალაუფლების აღდგენას, რომელიც თავისთავად ღირებულებას არ წარმოადგენს გერმანელებისთვის, არამედ ფრიად რეალურ ზემოქმედებას ჩვენზე, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჩვენ და თქვენ დავთანხმდეთ, მივიღოთ ძველი რადის ხელშეკრულება ავსტრია-უნგრეთთან, ვინაიდან გერმანელებს სურთ არა* ***ვინიჩენკო,*** *არამედ ფაბრიკატების გაცვლა პურსა და მადანზე. ახლანდელ მდგომარეობას, შემოტევასა და ჩვენი ჯარების გამოქცევას ასე ვაფასებთ: იმპერიალისტები რომ დავამხეთ, დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის ნელი ტემპის, ჩვენი ჯარების მერყეობისა და გერმანელ იმპერიალისტთა უმაგალითო მტაცებლობის გამო, დროებით კლანჭებში ჩავუვარდით უცხოეთის იმპერიალიზმს, რომლის წინააღმდეგაც ახლავე უნდა ვამზადოთ ძალები სამამულო ომის მოსაწყობად, დასავლეთში რევოლუციური ძალების ამოძრავების იმედით, რაც, ჩვენი აზრით, გარდაუვალია. მოსამზადებლად საჭიროა მინიმალური შესვენება, რომელიც შეიძლება მხეცურმა ზავმაც კი მოგვცეს. არამც და არამც არ შეიძლება, შევიქმნათ ილუზიები. გამბედაობა უნდა გვეყოს, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ, რომ დროებით მოვექეცით გერმანული იმპერიალიზმის კლანჭებში. სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც დღეს, ღამის 3 საათზე, გადაწყვიტა, დადოს ზავი მხეცურ პირობებში და სახკომსაბჭოს დაავალა, გაგზავნოს დელეგაცია ბრესტში, რაც მოხდა კიდეც დღეს.* ***მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება. ჯერჯერობით კი ვემზადოთ და კვლავ ვემზადოთ გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ წმინდა ომისთვის!“***

**— ანუ ის, რაც 1945 წელს გერმანიაში მოხდა, ეს იყო**

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*

## „სტალინის რუსეთი არასდროს არავისთან დამარცხებულა!“



**სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე. 1945 წლის 24 ივნისი, გამარჯვების პარადი.**




## „სამარცხვინოა, როცა დღეს ვლადიმერ პუტინი გენერალ უშაკოვის გმირობით აშინებს მსოფლიოს და ამ დროს პროგრესული კაცობრიობის დამცველი ფარი და ხმალი – სტალინი იქვე კრემლის კედელთან განისვენებს!“





# გრიშა ონიანი: ომის დროს მთავარსარდალი უნდა იდგეს არმიასთან და არა ლამაზმანებთან!

*დასაწყისი მე-18 გვერდზე*

დასაწყისი მე-18 გვერდზე

**სტალინის შურისძიება ბრესტის საშინელი და მართლაცდა მხეცური ზავის გამო?**

— დიახ, ეს იყო სტალინის შურისძიება, რომელიც 1945 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ბელადმა ბერლინის გარშემო საბჭოთა არმიის საუკეთესო საჯარისო შენაერთები განალაგა. მსხვილკალიბრიანი არტილერიითა და ლეგენდარული „კატიუშით" ალყაშემორტყმული ბერლინის პერიმეტრის თითოეულ კილომეტრზე 270 ერთეული ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპი იდგა, რომლებიც საომარი თეატრის სცენის გასანათებლად და მოწინააღმდეგის დასაბრმავებლად 3000 ერთეული უძლიერესი პროჟექტორით იყო ზურგგამაგრებული. პარამეტრზე, აგრეთვე, განლაგებული გახლდათ ლეგენდარული ლელიუშენკოსა და რიბალკოს სატანკო არმიები. **ათასობით ბომბდამშენი ელოდა ბრძანებას ჰაერში ასაჭრელად. სათვალთვალო პუნქტებიდან კი ჟუკოვი, კონევი და როკოსოვსკი დურბინდებით აკვირდებოდნენ, როგორ ცურავდა ბერლინი გამდნარი ფოლადის ზღვაში. ასე იძია სტალინმა შური უკრაინისთვის გერმანელ დამპყრობლებზე 25 წლის შემდეგ.**

**— რა მოხდა უკრაინაში, ვის კისერზეა ეს უბედურება?**

— 2014 წელს ჯონ ქერის, ვიქტორია ნულანდის, ქეთრინ ეშტონის, მანუელ ბაროზოსა და სხვათა მიერ კიევის მაიდანზე მიტანილი საბურავების შავი ბოლი დღემდე აწევს მაიდანს და მთელ უკრაინას. ცეცხლის ალში გახვიეს ისრაელი და პალესტინა, ლიბია და სირია, ავღანეთი და ერაყი... დენთის კასრზე დასვეს დედამიწა.

**ვინ არის ის,** ვინც ანათემას გადასცა მთელი მსოფლიო? **ვინ არის ის,** ვინც სასაკლაოებად გადააქცია ქვეყნები? **ვინ არის ის,** ვინც თავის ნებას თავს ახვევს ადამიანებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში? **ვინ არის ის,** ვინც ანგრევს სარწმუნოებას და ქვეყანაზე აფუძნებს ცხოველურ ინსტინქტსა და სიმახინჯეს? **ვინ არის ის,** ვინც იპყრობს კოსმოსს და ამარცხებს ადამიანურ მორალს? **ეს ამერიკაა, თავისი გამოჩერჩეტებული ბებერი ევროპითა და ევროპელებით!**

ნუთუ დაბრმავდა სრულიად მსოფლიო და ვერ ხვდება, როგორ მოაწყო ამერიკამ გეოპოლიტიკური კატასტროფა მე-20 საუკუნის ბოლოს და როგორ გახდა იგი მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი? ნუთუ მსოფლიო საზოგადოებრიობის მეხსიერებიდან ამოიშალა შანტაჟი და ცრუ ბრალდება ერაყის მიმართ, რომელსაც შუამდინარეთის უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის მოსპობა და ჰუსეინისა და მისი ოჯახის განუმეორებელი სისასტიკით ამოწყვეტა მოჰყვა? **რით, რომელი საზომით შეიძლება გაიზომოს და აიწონოს ის დანაშაული, რომელიც ამერიკელებმა ლიბიისა და მისი ლიდერის მუამარ კადაფის მიმართ ჩაიდინეს?** აყვავებული ქვეყანა, რომელიც თავისი ცხოვრების გზით მიდიოდა, კანიბალიზმში დააბრუნეს. ან რა დამართეს **სერბეთს** 1999 წლის აღდგომას, როცა მისი დედაქალაქი ბელგრადი ცეცხლის ალში გახვიეს, შემდეგ კი ძირძველი და ისტორიული მიწა — კოსოვო ჩამოაჭრეს და სეპარატისტ ალბანელებს გადასცეს?! **უკრაინაზე თავდასხმაც ხომ ამერიკელი და ევროპელი ადამიანის მსგავსი ცხოველების მხეცური ინსტინქტია, რომლებსაც სურთ, ხელში ჩაიგდონ უზარმაზარი რესურსი და ამით მუცელი ამოიყორონ. თუმცა, ევროპის შუაგულში დანთებული ხანძარი ისე იოლად არ ჩაქრება — ეს არც კოსოვოა და არც — ალბანეთი.**

**— რაც უკრაინაში ხდება, ყველაფერი დასავლეთის ბრალია და პუტინი და რუსეთი არაფერ შუაშია?**

— ამით დავიწყე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ დე გოლის სიტყვებს — **„სტალინის რუსეთი სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია!"**

მსოფლიომ დაინახა და იცის, როგორ გადაუხადა სამაგიერო ძველი და ახალი უკრაინის დანგრევისთვის სტალინმა გერმანელებსა და ჰიტლერს, მაგრამ არ ვიცით, როგორ, როდის და ვინ გადაუხდის სამაგიეროს თანამედროვე უკრაინის დანგრევისთვის ვლადიმერ პუტინს, ამერიკასა და ევროპას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## შარლ დე გოლი: სტალინის რუსეთი სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია!



***ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი უკრაინაში ატეხილ ომთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების ზომიერ და გაწონასწორებულ პოზიციას იწონებს და აცხადებს, რომ დღეს საქართველოს უჩნდება უნიკალური შანსი, აღიდგინოს თავისი ისტორიული ფუნქცია და მთელი კავკასიის გამაერთიანებლად გამოვიდეს:***



# გოჩა ძასოხოვი: რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება უკრაინასთან მიმართებაში აკეთებს, ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება!

— დღეს მსოფლიოში იმდენად მძიმე პოლიტიკური ვითარებაა, არ გამოვრიცხავ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხელახალი ტერიტორიული გადანაწილების პროცესი დაიწყოს. უფრო მეტსაც გეტყვით, ვშიშობ, სამხედრო-პოლიტიკურმა ავანტიურამ, რომელიც უკრაინაში დაიწყო, თვით რუსეთის რღვევაც არ გამოიწვიოს!

**— ბატონო გოჩა, რა გაძლევთ ამ განცხადების საფუძველს?**

— ის ნაბიჯი, რომელიც პუტინმა უკრაინაში გადადგა, დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ გადაწყვეტილებაზე. პუტინი სულ ამბობდა და დღესაც ამბობს — მე არ მინდა, რომ უკრაინიდან წამოსული ნატოს რაკეტა კრემლს 4 წუთში დაეცეს, ამიტომ არ დავუშვებ უკრაინის ნატოში შესვლასო! **შე დალოცვილო, შენ თუ დიდი პოლიტიკოსი ხარ, რატომ წაიყვანე საქმე ისე, რომ უკრაინა შენკენ კი არა, ნატოსკენ იხედება?** რატომ ვერ მოაგვარე ძმასთან კონფლიქტი, რატომ ვერ გამონახე საერთო ენა უკრაინასთან? უკრაინა, ბელარუსი და რუსეთი ხომ ყველანი კიევის რუსეთიდან მოდიან?

**— როგორ აფასებს რუსული ელიტა უკრაინის ომს?**

— რუსეთში არსებობს „ოფიცერთა ასოციაცია", სადაც უჭკვიანესი და დამსახურებული ხალხია გაერთიანებული. რუსული სამხედრო-პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ვისაც კი ჭკუა მოეკითხება და უკრაინაში ატეხილი ომის წინააღმდეგია, შეეცადა, თავისი აზრი პუტინისთვის სწორედ ამ „ოფიცერთა ასოციაციის" საშუალებით მიეწოდებინა. გამოვიდა ერთ-ერთი ცნობილი გადამდგარი გენერალი და მიმართა პუტინს — **უკრაინის ომი რუსეთს დაღუპავსო,** მაგრამ არავინ მოუსმინა. უფრო მეტიც, „ოფიცერთა ასოციაციამ" პუტინს შესთავაზა — **თუ იძულებული ხარ, ომი დაიწყო, იმისათვის, რომ ისტორიამ არ გაგასამართლოს, გადადექი და უკრაინაში სისხლი არ დაღვაროო!** ყველა ეს ინფო-




**„ცხინვალელი თემურ ცხოვრებოვი დანარჩენ საქართველოსთან საცხოვრებლად ემზადება!"**

## «პუტინი რუსულმა

## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*პარტია „კანონი და სამართლის" ლიდერი*



**უჰანიაც** რუსეთის იყო და **ბურჯანაძეც... შევარდნაძის** დამსახურებაა, რომ დასავლეთის ტიპი — **სააკაშვილი** ამჯობინა.

„ჯორჯიან თაიმსი"

**უჩა ზაქაშვილი**
*სამართლის სპეციალისტი*



ადგილობრივი მოსახლეობისთვის **გართულდება უძრავი ქონების შესყიდვა, რადგან ძალიან გაძვირდება.** ჩემი ვარაუდით, 20-25 პროცენტით მოიმატებს ფასი.

„რეზონანსი"

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას" დამფუძნებელი*



**სააკაშვილი დევნილობის მთელი 9 წელი ითხოვდა მისი ჩამოსვლის მოთხოვნით გრანდიოზული აქციების გამართვას** — ვუხსნიდით, რომ ეს შეუძლებელია, რომ ხალხს მისი საკითხი არ ანაღვლებს, სხვა თემები ანაღვლებს. **2019 წელს მის სახელს ვერ ახსენებდნენ აქციებზე** — უბრალოდ შეუძლებელი იყო, ტალახს ესროდნენ. ყველა მოღალატედ შეგვრაცხა, ვინც რეალობის ახსნას ცდილობდა, მისი მანქურთებიც აიყოლია, დაგვბლოკა, მტრებად გამოგვაცხადა, ტალახს გვესროდა, ცილს გვწამებდა — ცოდვას სჩადიოდა! ჰოდა, აი, ახლა დედამისს ეს უკვირს! **დიახ, ქალბატონო გიული** — ჩვენ ვუხსნიდით, რომ ქართველ ხალხს ის არ უნდა და მოღალატეებს გვიწოდებდა. ახლა ზის იქ, სადაც ზის — მე ის პოლიტიკურ პატიმრად არ მიმაჩნია და როცა ჩემი ნება იქნება, აუცილებლად გავათავისუფლებ, მაგრამ **ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი ზნედაცემული შვილი ძალაუფლებას არ შეეხოს.**

„ალია"

**მამა ნექტარიოს მჭედლიძე**
*უკრაინაში მოღვაწე დეკანოზი*



დღეს გადავაწყდი „ნიუსს", სადაც ეწერა, **თითქოს მე რუსებმა უკრაინაში მომკლეს.** უბრალოდ, სირცხვილია ხალხო, საქართველოში დედა და დები მყავს. ვერ ვხვდები, ეს სიბოროტე რად გინდათ, რა სარგებელს მოგიტანთ?! **ცოცხალი ვარ და ღმერთის მადლით კიდევ ვიცოცხლებ.**

„ალია"

რმაცია დაიბლოკა და არ გავრცელდა, რადგან სახელმწიფო აპარატმა ამისათვის ყველაფერი გააკეთა.

**— კი მაგრამ, რატომ დაიწყო პუტინმა უკრაინაში ომი? ეგონა, რომ კიევს სამ დღეში აიღებდა და მერე დასავლეთს ულტიმატუმს წაუყენებდა?**

— ვლადიმერ პუტინი რუსულმა სპეცსამსახურებმა შეცდომაში შეიყვანეს და თავს მოახვიეს აზრი, თითქოს ბლიცკრიგი, რომელიც უკრაინაში, ყველაზე უარეს შემთხვევაში, ორი კვირა გაგრძელდებოდა, იქნებოდა „ყირიმი-2"! მოგეხსენებათ, რუსეთმა უკრაინას ყირიმი, ფაქტობრივად, უპრობლემოდ წაართვა და არც ყირიმელ თათრებს, არც უკრაინელებსა და არც საერთაშორისო თანამეგობრობას არაფერი ჰკითხა.

**— სწორია თუ არა საქართველოს პოლიტიკა, როცა უკრაინის ომში პირდაპირ არ ვერთვებით?**

— ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი არ ვარ, ასეთ სიტუაციაში ჩვენი მეფეები ყოველთვის დანის პირზე გადიოდნენ. ალექსანდრე მეორემ კახეთის სამეფო სცილასა და ქარიბდას შორის გამოატარა და სანამ შაჰ-აბასის მიერ გადაჯიშებული და მოწამლული თავისი შვილი, ურჯულო კონსტანტინე-მირზა გამოჩნდებოდა, თავისი წილი საქართველო შეინახა.

**გიორგი ბრწყინვალეს ერთი ომი არ გადაუხდია, ქვეყანა ისე გააერთიანა. მტერ ჩობანნოინს ემეგობრებოდა და ამით გადაარჩინა საქართველო, ხოლო, როცა გაძლიერდა, მონღოლები კინწისკვრით გაყარა საქართველოდან.**

მოკლედ, იმდენი პრობლემა გვაქვს, საკუთარ თავს უნდა მივხედოთ... ისე კი, უკრაინას მოსკოვიდან არ გამოუწვევია თავისი ელჩი, როცა რუსეთმა ყირიმის ოკუპაცია მოახდინა და ჩვენ რას გვერჩოდა, ვერ გავიგე!

**— რასაც დღეს ჩვენი ქვეყანა უკრაინისთვის აკეთებს, 2008 წელს უკრაინის ხელისუფლებამ იმის ნახევარი მაინც გააკეთა ჩვენთვის?**

— დღეს სამი საელჩო და საკონსულოა დარჩენილი უკრაინაში და აქედან ერთი საქართველოს ეკუთვნის. თუ ვინმემ 2008 წელს რამე გამოგვიგზავნა და დაგვეხმარა, ყველაფერში ფული გადავიხადეთ; ჩვენი თავი გაგვჭირვებია, მაგრამ ათეულათასობით ტონა ჰუმანიტარულ ტვირთს უკრაინაში ვაგზავნით, ჩვენი ბიჭები უკრაინაში სისხლს ღვრიან და მეტი რაღა გავაკეთოთ? თქვენს შეკითხვაზე ჩემი პასუხი ასეთი იქნება — **რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება უკრაინასთან მიმართებაში აკეთებს, ზომიერების ფარგლებში ჯდება და ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება!**



**„სააკაშვილი თავის სექტასთან ერთად ჩამოყალიბდა მავნებლად და ინტრიგანად, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ებრძვის!"**

**— რა ხდება ცხინვალში? ამბობენ, რომ ქალაქში პანიკაა, რადგან რუსებმა თავიანთი მხარდამჭერები უკრაინაში წაასხეს და ცხინვალი დაუცველია!**

— რუსებმა თავიანთი მხარდამჭერებიც წაასხეს და ის ე.წ. „აპალჩენცებიც" წაიყვანეს, რომლებიც საზარბაზნე ხორცად არიან განწირული. დარწმუნებული ვარ, ცხინვალის მოსახლეობის, სულ მცირე, 70 პროცენტი სრულებითაც არ არის მოწადინებული, უკრაინაში ოსებმა იომონ! **უკრაინელებს ოსებისთვის არაფერი დაუშავებიათ. რაც რუსებმა ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს გაუკეთეს, ღმერთმა ბუმერანგივით უკან დაუბრუნა!**

**— ცხინვალიდან სამხედრო ტექნიკაც გაყვანილია?**

— დიახ, ცხინვალიდან რუსული სამხედრო ტექნიკა, პრაქტიკულად, გაყვანილია! ერთ-ერთი სერიოზული დანაყოფი რამდენიმეათასიანი კონტინგენტით უკრაინაშია გადასროლილი. რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ უკრაინას სწრაფად დააჩოქებდა. ახლა პუტინი ცდილობს, უკრაინას ხერსონი, ნიკოლაევი და ზაპოროჟიე ჩამოაჭრას, თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რუსეთს ესეც აღარ გამოუვა, რადგან უკრაინელებმა ნელ-ნელა შეტევაზე გადასვლა დაიწყეს და სოფლებს იბრუნებენ. **რაც შეეხება ცხინვალში დარჩენილ საცოდავ ოსებს, ესენი არიან პუტინის მძევლები, რომლებიც იძულებული არიან, ჩავიდნენ უკრაინაში და რუსეთს ასე დაუმტკიცონ ერთგულება!** სხვა გზა იმათ არა აქვთ... მაგრამ უკრაინაში ატეხილი ომის ფონზე ცხინვალში ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო. იქ არის ერთი განათლებული კაცი **თემურ ცხოვრებოვი,** რომელიც უნივერსიტეტშიც კითხულობდა ლექციებს და დანარჩენ საქართველოსთანაც აქვს კავშირები. მან წამოაყენა ძალიან საინტერესო იდეა —

**ცხინვალის სტატუსი ქართველებმა და ოსებმა დავაკონსერვოთ, ერთად ვიცხოვროთ, ეკონომიკური ურთიერთობები გავაღრმაოთ, ჩატეხილი ხიდები გავამრთელოთ და მერე ყველაფერს დრო გამოაჩენსო!**

ეს ჩვენი იდეაა და ძალიან გამიხარდა, რომ ამ იდეამ იბარტყა... ერთი სიტყვით, ცხინვალელი **თემურ ცხოვრებოვი** დანარჩენ საქართველოსთან საცხოვრებლად ემზადება!

**— თემურ ცხოვრებოვს ცხინვალში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს?**

— როგორც ჩანს, ამ იდეას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს! აშკარაა, რომ უკრაინაში რუსეთის კატასტროფული მარცხისა და ჩავარდნის ფონზე ცხინვალში ხალხი ამ საკითხზე ფიქრობს და მსჯელობს. ოსებმა კარგად იციან, რომ რუსებს ისინი სჭირდება მხოლოდ სიტუაციის ასარევად, რათა ოსები, ქართველები, ინგუშები და აფხაზები ერთმანეთს შეაჟლიტოს და კავკასიაში თავის იმპერიულ მიზნებს მიაღწიოს!

**— ცხინვალში პანიკაა და ქართველების შეჭრის ეშინიათ?**

— პანიკას ვერ დავარქმევდი, მაგრამ შიშით ეშინიათ! ეს შიში განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჰააგის ტრიბუნალმა **მინძაევი, გუჩმაზოვი** და ძმანი მათნი სამხედრო დამნაშავეებად გამოაცხადა. სადაც კი ხმა მიმიწვდება, ყველას ვეუბნები, რომ მათი შიში უსაფუძვლოა და საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს არავითარი ძალისმიერი ღონისძიებების გატარებას! ფაქტი ერთია — **თუ საერთაშორისო საზოგადოებამ და ევროპამ არ გცნეს, ოთხი-ხუთი გაუბედურებული სახელმწიფოს მიერ ცხინვალის „დამოუკიდებლობის" აღიარება არაფერს ნიშნავს.** ისიც ფაქტია, რომ, თუ რუსეთის აღორძინება უწერია, ეს მხოლოდ პუტინის წასვლის შემდეგ მოხდება! მას არა აქვს იმის რესურსი, უკრაინაში მომხდარის შემდეგ ქვეყანა ფეხზე დააყენოს. **სანამ პუტინი პრეზიდენტი იქნება, დასავლეთი რუსეთს ამ ჯოჯოხეთურ სანქციებს არ მოუხსნის!**

**— ასეთ სიტუაციაში საქართველომ რა პოზიცია უნდა დაიჭიროს?**

— საქართველომ არავის მხარეზე არ უნდა იომოს და შეინარჩუნოს მკაცრი ნეიტრალიტეტი. თანაც საქართველოს უჩნდება უნიკალური შანსი, აღიდგინოს თავისი ისტორიული ფუნქცია და გამოვიდეს მთელი კავკასიის გამაერთიანებლად. ეს უნდა იყოს ისეთი კავკასია, სადაც დაცული იქნება ყველა ერის ღირსება, უფლება, თავისუფლება და იზეიმებს მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა.

**— კი მაგრამ, ამოდენა იმპერიაში უშიშროების სამსახურები მკვდარი იყო? პუტინმა არ იცოდა, რომ უკრაინაში პურით, მარილითა და ბალალაიკით არ დახვდებოდნენ?**

— პუტინს უკრაინაში ბლიცკრიგი თავადაც სურდა, მაგრამ ამერიკელებმა შეიტყუეს. არადა, მას უკრაინაში ზუსტად ისე უნდოდა საქმის დალაგება, როგორც ყაზახეთში დაალაგა, როცა ნაზარბაევს ექსტრემისტები აუმხედრა... თუ რუს ხალხს სიბრძნე აქვს, უკრაინასთან ომი სასწრაფოდ უნდა გააჩეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიღუპება. ის 30-40 კაცი, რომლებმაც პუტინის გარშემო მილიარდები დააგროვეს, დღეს გაცამტვერებული არიან, ამას კი დიდი დაპირისპირებები მოსდევს. ამიტომ, თუ ასე გაგრძელდა, არ გამიკვირდება, რუსეთში სასახლის კარის გადატრიალება მოხდეს. თუმცა, არსებობს იმის ალბათობაც, რომ პუტინმა ჩვენს მეზობლებს — „კადიროველებს" კავკასიაში სიტუაცია აარევინოს!




რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი ალექსანდრე ბორტნიკოვი და ვლადიმერ პუტინი

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# სპეცსამსახურებმა შეცდომაში შეიყვანეს!»

## კვირგვინოსნები

**გია კაჭარავა**
*პროდიუსერი, რეჟისორი*



2012-ში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ კულტურის სამინისტროში **თეა წულუკიანის** მოსვლამდე არაფერი შეცვლილა, ისევ წინა ხელისუფლება დარჩა, **ძირგამომთხრელი საქმიანობა** აქამდე რჩებოდა,რასაც ერქვა **სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დივერსია.**

„საერთო გაზეთი"

**ანტონ პლესნოი**
*საქართველოს ძალოსანთა ნაკრების უკრაინელი წევრი*



**მე არ ვანსხვავებ უკრაინელებსა და ქართველებს!** მხარდაჭერა ჩემი მეორე სამშობლოდან ძალიან ძლიერი და მნიშვნელოვანია ჩემთვის და უკრაინისთვის. **საქართველო, შენ ჩემი სულის ნაწილი ხარ!**

„კვირის პალიტრა"

**ვლადიმერ ჩოკაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



კარგი იქნება, **ლევან ხაბეიშვილი** საკუთარი გუნდის მილიონერი წევრებით დაინტერესდეს, 2003 წლამდე **ცალ-ცალი კალოშით** რომ ჩამოვიდნენ თბილისში, ვის წაგლიჯეს და ბიუჯეტიდან როგორ მოიპარეს იმდენი ფული, რომ **გაქცეულები 10 წელია, საზღვარგარეთ უზრუნველად ცხოვრობენ და აქ დარჩენილები 10 წელია, უმუშევრები დღემდე ფუფუნებაში არიან!**

„ალია"

**ოთო აბესაძე**
*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*



სასწრაფო **საგადასახადო ლიბერალიზაციაა** საჭირო. რამდენი პროგნოზი გითხარით და რომელი არ გამართლდა? ყველა გამართლდა. **ვიძახდი, 4 ლარი გახდება ბენზინი, გააუქმეთ ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი-მეთქი, ხომ გახდა 4 ლარი?!**

„ალია"

# სვიმონ მასხარაშვილი: ეს ფრე განსაზღვრა სტალინის ერთმა სიტყვამ – «მორჩა! პატი!»



***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის აზრით, ვლადიმერ პუტინისგან განსხვავებით, რომელიც რუსეთის, როგორც ნაციზმის დამსამარებლის იმიჯის დამკვიდრებას ცდილობს, დიდმა სტალინმა საერთაშორისო პოლიტიკაში მუხრუჭის ფასი იცოდა:***

— ქართველების, როგორც ნიჭიერი და მამაცი ნაციის შესაძლებლობებითა და უნარებით ერთ-ერთი პირველი ირანის ავადსახსენებელი შაჰი **აბას პირველი** დაინტერესდა. როცა ის ქართველთა კეთილგონიერებაში დარწმუნდა, „შაჰისევანი“, ანუ „შაჰის მეგობართა“ კლუბიც კი შექმნა, სადაც ძირითადად სწორედ ქართველები გააერთიანა. მან მიზანმიმართულად დაიწყო ქართველების დანიშვნა უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ თანამდებობებზე. საბოლოოდ ამ ყველაფერმა ის შედეგი გამოიღო, რომ აბას პირველის ყიზილბაშური ირანის ხერხემალს ქართველები წარმოადგენდნენ. **სტალინის მმართველობის წლებშიც საბჭოთა კავშირის ხერხემალს სწორედ ქართველები ქმნიდნენ! როგორც კი ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა ამ ხერხემალს ნგრევა დაუწყეს და საბჭოთა უშიშროებისა და სამხედრო-პოლიტიკური ელიტის რიგები ქართველებისგან გაწმინდეს, საბჭოთა კავშირი დაინგრა.**

საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა — ვერცერთმა ბირთვულმა სახელმწიფომ ვერ მიაღწია წარმატებას იმ ომში, რომელსაც ის ბევრად უფრო სუსტი და სამხედრო თვალსაზრისით განუვითარებელ სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებდა! ფიგურალურად თუ ვიტყვით, ჯიბის დანისა და ატომური ბომბის დაპირისპირების დროს, როგორც წესი, იმარჯვებს ჯიბის დანა!

**— ბატონო სვიმონ, დაასახელეთ ომები, სადაც ჯიბის დანამ ატომურ ბომბს აჯობა!**

— ეს ომებია: **კორეის ომი,** რომელიც 1950-1952 წლებში მიმდინარეობდა; **ვიეტნამის ომი,** რომელიც რეალურად 1954 წელს დაიწყო და გაგრძელდა 1975 წლამდე, ვიდრე პარიზში ზავი არ გაფორმდა; 1979-1989 წლების **ავღანეთის ომი; რუსეთ-საქართველოს ომი; ამერიკა-ერაყის ომი; ამერიკა-ავღანეთის ომი და რუსეთ-უკრაინის ომი.**

რუსეთ-საქართველოს ომი დღესაც გრძელდება, რადგან ჩვენ შორის საზავო ხელშეკრულება არ არსებობს. **ვიტოვებ იმედს, რომ შესაძლოა, რუსეთ-საქართველოს შორის დღემდე შეუწყვეტელი და, ფაქტობრივად, დაკონსერვებული ომი შესაძლოა, ზუსტად იმ სცენარით დასრულდეს, როგორც ეს ვიეტნამში მოხდა.** მოგეხსენებათ, 1968 წელს ვიეტნამში ყველანაირი საბრძოლო მოქმედება შეწყდა და ამერიკის შეერთებული შტატები დაეპატრონა ქვეყნის უმდიდრეს სამხრეთ რაიონებს. მთელი შვიდი წელი ქვეყანაში ტყვია არ გავარდნილა, ყველაფერი დასრულებული იყო, მაგრამ 1975 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საიგონი დატოვა და ვიეტკონგელებმა მთლიანად დაიკავეს მთელი ქვეყნის ტერიტორია. მოკლედ, ყველა ამ ომში ბირთვული სახელმწიფოები დამარცხდნენ.

**მართლაც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კისერი მოიტეხა ვიეტნამში; ფაქტობრივად, დამარცხების ტოლფასი იყო მისი გამოსვლა ერაყიდანაც და ავღანეთიდანაც, ხოლო საბჭოთა კავშირი დაშალა და დაანგრია ავღანეთის ომმა, რომელშიც კრემლი შეიტყუეს.**

ერთადერთი ომი, რომელიც ფრედ დასრულდა, იყო კორეის ომი...

**— ვისმა პოზიციამ განსაზღვრა ეს ფრე?**

— ეს ფრე განსაზღვრა სტალინის ერთმა სიტყვამ — **„მორჩა! პატი!“** მოგეხსენებათ, **„პატი“** საჭადრაკო ტერმინია, როცა მეფეს წასასვლელი არსად აქვს, მაგრამ მას არც „ქიში“ აქვს გამოცხადებული. როგორც ცნობილია, კორეა დიდი ხნის განმავლობაში იაპონიის მიერ იყო ოკუპირებული და ჩინეთის იმპერიის მხრიდანაც განიცდიდა დიდ შევიწროებასა და ჩაგვრას... საერთოდ, კორეელები თურქულ-ალტაურ ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამ ბოლო დროს სამხრეთ კორეაში ძალიან მატულობს ქრისტიანთა რიცხვი. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის განადგურების შემდეგ კორეის ჩრდილოეთ ნაწილში კომუნისტების გავლენა გაიზარდა, რასაც 1949 წლიდან შეუქცევადი ხასიათი მიეცა, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან ჩინეთის სათავეში სწორედ კომუნისტები მოვიდნენ, ხოლო **ჩან კაიში** ტაივანში გაიქცა, სადაც ამერიკის პროტექტორატის ქვეშ ცალკე სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სწორედ იმავე 1949 წელს ამერიკამ დაკარგა ჰეგემონობა ბირთვული იარაღის ფლობაზე და ატომური ბომბი საბჭოთა კავშირმაც შექმნა. ძალიან მალე, ჩინელების მხარდაჭერით, ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაში შეიჭრა და ასე დაიწყო კორეის ომი. ამ შეჭრისა და თავდასხმის მოტივი აბსოლუტურად ლეგიტიმური ჩანდა — **„ერთი ერი — ერთი სახელმწიფო!“** ცხადია, შეერთებული შტატები ჩრდილოელებისთვის სამხრეთ კორეის დათმობას არ აპირებდა. გენერალმა **დუგლას მაკარტურმა** მძლავრი კონტრშეტევით ჩრდილოელები სამხრეთიდან გაყარა და ამერიკელები ჩინეთის საზღვრამდე მოვიდნენ. ამას მოჰყვა ჩრდილოელთა საპასუხო იერიში და საბოლოოდ კორეა 38-ე პარალელის გასწვრივ გაიყო — ზემოთ ჩრდილოეთი, ხოლო ქვემოთ — სამხრეთი.

**— როგორც ცნობილია, ამ ომს დუგლას მაკარტურისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.**

— **გენერალი მაკარტური,** რომელიც იაპონიაზე გამარჯვების დიდების შარავანდედით იყო მოსილი, ამერიკის პრეზიდენტი ვერ გახდა, რადგან ამერიკელებმა მიიჩნიეს, რომ კორეის ომი მან წარუმატებლად ჩაატარა. პრეზიდენტი გახდა გენერალი **დუაიტ ეიზენჰაუერი** — მოკავშირეთა ჯარების სარდალი ევროპაში. აი, ასეთ სიტუაციაში, როცა სტალინს კორეის ომში ჩათრეული ჰყავდა ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინელებისა და კორეელების ხარჯზე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, ბელადი გამოვიდა ზავის ინიციატივით და განაცხადა — **„მორჩა! პატი!“** სტალინს შეეძლო, კორეის ომში გამოეცადა ბირთვული ბომბი, შეეძლო, ეს ომი ჩინელებისა და კორეელების მეშვეობით უსასრულოდ გაეჭიმა, მაგრამ ეს არ გააკეთა...

**— რატომ?**

— სტალინი ასე იმიტომ მოიქცა, რომ კორეის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — სამ მეოთხედზე მეტი ამერიკის მხარეს იყო. მიუხედავად იმისა, რომ კორეის ომში სტალინს ჰქონდა სტრატეგიული უპირატესობა და შეეძლო, ამერიკელები კორეიდან გაეყარა, მოცემულ სიტუაციაში კომუნისტურ ბანაკს სათანადო მხარდაჭერა მაინც არ გააჩნდა და გამორიცხული იყო, ბელადს კორეელთა უმრავლესობის გული მოეგო. **ბელადმა ძალიან კარგად იცოდა, რომ, თუ მოსახლეობის მხარდაჭერა არ გაქვს, ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებ და შიშველ სამხედრო ძალას ვერ დაეყრდნობი!** გარდა ამისა, არის სიტუაცია, როცა ომის გაგრძელება ორივე მხარისთვის დამაზარალებელია. სტალინი საერთაშორისო პოლიტიკაში არათუ ვინმეს განადგურების, არამედ ბალანსის პოლიტიკის მომხრე იყო. 1952 წლის ოქტომბერში, პარტიის მე-19 ყრილობაზე, თავის უკანასკნელ გამოსვლაში ბელადმა აღნიშნა, რომ თვითონ ერებში უნდა დაიბადოს ნაციონალური, პატრიოტული და სოციალური სოლიდარობის საკითხები!

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პუტინის პოლიტიკა უკრაინის მიმართ როგორ უნდა შეფასდეს?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებს ვიეტნამში უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული 500-ათასიანი არმია ჰყავდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. წმინდა ელენეს კუნძულზე, გადასახლებაში მყოფმა ნაპოლეონმაც აღიარა, რომ მისი ყველაზე დიდი და საბედისწერო შეცდომა იყო 1808 წელს ესპანეთში შეჭრა, სადაც 250-ათასიანი არმია მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ერთ ადგილზე მიაჯაჭვა. ეს უზარმაზარი არმია ნაპოლეონის ხელში იქნებოდა ნამდვილად დამანგრეველი ძალა და იმპერატორი, დიდი ალბათობით, აღარც მწვავე მარცხს იწვნევდა 1813 წლის ოქტომბერში და აღარც ვატერლოოს საშინელ ფინალს 1815 წლის 18 ივნისს. რომ არა ესპანური კამპანია, არც ავსტრიის აჯანყება მოხდებოდა 1809 წელს და არც რუსეთში ნაპოლეონის განცდილი კატასტროფა 1812 წელს. **ავღანეთში ამერიკამ საბჭოთა კავშირს ხაფანგი დაუგო, ხოლო ახლა იმავე ამერიკამ პუტინი უკრაინაში შეიტყუა.** ამერიკამ იმდენი მოახერხა, რომ მთელ უკრაინასა და მსოფლიოში აბსოლუტურად ანტირუსული განწყობაა. რუსეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეომება თვით ხარკოვის მოსახლეობაც კი, რომლის აბსოლუტური უმრავლესობაც ეთნიკური რუსია. **პუ-**

## „კაცობრიობის ისტორიაში არ მახსენდება დამპყრობელი ძალა, მოწინააღმდეგის დედაქალაქამდე მისულიყოს, დედაქალაქი ვერ აეღოს და მერე არ დამარცხებულიყოს!“



## „ამერიკამ პუტინი უკრაინაში შეიტყუა!“

## კვირგვინოსნები

**ლაშა ონიანი**
*რეჟისორი*



როცა გინდა, ამოიცნო, თუ როგორი ქვეყანაა ის, სადაც იმყოფები, პირველ რიგში, ბავშვებს და მოხუცებს უნდა დააკვირდე. **თუ ბავშვები სუფთად გამოიყურებიან, თუ მოხუცებს არ აკლიათ კბილები, საზოგადოებაში გამოსასვლელად სათანადოდ არიან ჩაცმული და მოვლილები,** ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ზრუნავს თავიანთ მოქალაქეებზე და ბედნიერად ცხოვრობენ.

„თბილისელები“

**ზაზა ბუაძე**
*უკრაინაში მოღვაწე რეჟისორი*



**მე ვარ ქართველი, მაგრამ უკრაინელი რეჟისორი.** 15 წელი აქ გავატარე, ვიცხოვრე, ვიშრომე, შევიძინე მეგობრები, კოლეგები, **ჩემი წამოსვლა კი იქნებოდა ყველას და ყველაფრის ღალატი,** უპირველესად, საკუთარი თავის.

„სარკე“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



მიკვირს, **სალომე ზურაბიშვილი** რატომ არ მიდის კიევში.

„ახალი თაობა“

**ხატია დეკანოიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**„ოცნებას“ არ უნდა, რომ პუტინი დამარცხდეს!**

„ახალი თაობა“

**ირაკლი ალადაშვილი**
*ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი*



**პუტინმა** ყველა კონვენციური იარაღი გამოიყენა, დარჩა **ბირთვული შეიარაღება,** რომელიც შეიძლება გამოიყენოს, ამის საფრთხე არის.

„პალიტრანიუსი“



## „ბელადმა ძალიან კარგად იცოდა, რომ, თუ მოსახლეობის მხარდაჭერა არ გაქვს, ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებ და შიშველ სამხედრო ძალას ვერ დაეყრდნობი!“

**ტინმა თავისი გაუაზრებელი ნაბიჯით დაბადა თავისუფლებისთვის მებრძოლი უკრაინელი ერი, რომელსაც მთელი მსოფლიო გულშემატკივრობს.** სტალინური გამოცდილება გვასწავლის, რომ, როდესაც მოსახლეობის ნახევარი მაინც შენი მომხრე არ არის და უცხო ქვეყანაში ჯარით შედიხარ, ომი უკვე წაგებული გაქვს! აი, ეს ვერ გათვალა პუტინმა, რომელსაც ეგონა, რომ უკრაინაში პურით, მარილითა და ბალალაიკით შეხვდებოდნენ, მაგრამ მიიღო იმაზე უარესი, რასაც ყველაზე უფრო კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა.

**— თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ 1944-1947 წლებში, როცა სტალინმა მთელი აღმოსავლეთ ევროპა გააწითლა და ლამის ესპანეთამდე გავიდა, ეს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილიც იყო?**

— რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის უმეტესობას ეს სურდა, იმდენად დიდი იყო სტალინის ავტორიტეტი! უფრო მეტიც, სტალინი, ანუ **„ანკლ ჯო“** (ინგლისურად „ძია ჯო“), როგორც მას ამერიკელები ეძახდნენ, უბრალო ამერიკელებსა და ბრიტანელებს ძალიან უყვარდათ. მას იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ 1945 წელს ომში გამარჯვებულმა ჩერჩილმა არჩევნები წააგო და, ბელადის გავლენით, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში სოციალისტები მოვიდნენ! 1956 წლის ცნობილი ამბების შემდეგ **ნიკიტა ხრუშჩოვი** ლონდონში რომ ჩავიდა, მთელი ლონდონი პლაკატებითა და ტრანსპარანტებით ქუჩაში გამოვიდა — **„საწყალი „ძია ჯო“ ნიკიტა ხრუშჩოვის ხელში!“** სტალინი ხალხს უყვარდა, რადგან ის განმათავისუფლებელი იყო, ხოლო დღევანდელი რუსეთი და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყველას სძულს, რადგან ის ოკუპანტია! აი, ამაშია საქმე.

**— თუ უკრაინაში ატეხილ ომს ისტორიულ პრიზმაში განვიხილავთ, მაშინ რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ?**

— კაცობრიობის ისტორიაში არ მახსენდება დამპყრობელი ძალა, მოწინააღმდეგის დედაქალაქამდე მისულიყოს, დედაქალაქი ვერ აეღოს და მერე არ დამარცხებულიყოს! ვიღაცები აუცილებლად მკითხავენ — სულთანი **სულეიმან სჯულმდებელი** რომ 1529 წელს ვენის კედლებთან დამარცხდა, ამის შემდეგ რატომ არ განადგურდაო? მაშინ რომის საღვთო იმპერიის დედაქალაქი ვენა კი არა, რომი იყო, ხოლო კარლოს მეხუთის დედაქალაქი მადრიდი გახლდათ. ვენა იყო ჰაბსბურგების ერთ-ერთი რეზიდენცია. სულეიმან სჯულმდებელს იმდენი ჭკუა ჰყოფნიდა, რომზე არ წასულიყო, რადგან კარგად იცოდა — თუ რომს ვერ აიღებდა, აუცილებლად დაემხობოდა! დაწყებული ჰანიბალიდან, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის 216 წლის 2 აგვისტოს აპულიაში, კანესთან რომაელთა 90-ათასიანი არმია გაანადგურა და რომისკენ არ დაიძრა, დამთავრებული ჰიტლერით, რომელიც მოსკოვის კედლებთან დამარცხდა, ყველა განადგურდა. ვფიქრობ, ეს პუტინის საუკეთესო ომი არ არის. **ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ რუსეთი, რომელიც აქამდე მსოფლიოს თვალში ფაშიზმისგან განმათავისუფლებლის ტიტულით სარგებლობდა, დღეს გამოცხადებულია აგრესორად!**

## „ჯიბის დანისა და ატომური ბომბის დაპირისპირებისას, როგორც წესი, იმარჯვებს ჯიბის დანა!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



# სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდი!

## *იაგო წულაძე:*



***მაშინ, როდესაც უკრაინის თავზე ბომბები ცვივა და სამყარო მესამე მსოფლიო ომის მოლოდინშია, ძველი თაობის ბევრი წარმომადგენლისგან მოისმენთ სიტყვებს — „ნეტა იმ დროს!“ ის დრო კი საბჭოთა კავშირია, რომელსაც ერთდროულად უამრავი მაქებარი და მაგინებელი ჰყავს. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი იაგო წულაძე, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა წიგნი „საბჭოთა კავშირის დაშლა — მითები და რეალობა“, გარდასულ დღეთა მატიანეს შეულამაზებლად სთავაზობს მკითხველს:***

— ძალიან რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ, როგორც უწმინდესი ბრძანებს, სიმართლე და სიყალბე ერთმანეთს ექიშპება და ადამიანებს მათი გარჩევა უჭირთ. მედროვენი გმირებად წარმოჩინდებიან, ჭეშმარიტი მამულიშვილები კი — უნიათო კაცუნებად!

საქართველოში დაიბადა თაობა, რომელმაც საბჭოთა სინამდვილე და ფაშიზმზე გამარჯვების სიხარული არ იცის, მხოლოდ შეერთებული შტატების პრიზმიდან აფასებს მოვლენებს. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს სიყალბე დღითი დღე ახალ-ახალი ტყუილებით იფუთება.

**— სიმართლე სად გეგულებათ?**

— სტალინის პერიოდში, სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმების ყველა ეტაპზე, ეკონომიკის ზრდასთან ერთად მოსახლეობის კეთილდღეობაც იზრდებოდა. 1941 წელს ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი 11.4 მილიარდ მანეთს შეადგენდა. ომის შემდეგაც სამომხმარებლო კალათა პირდაპირ კავშირში იყო ხელფასების ზრდასთან, უფასო განათლებასთან, უფასო სამედიცინო მომსახურებასთან, პენსიების მატებასთან, უმნიშვნელო კომუნალურ გადასახადებთან. ახალმა თაობამ არც კი იცის, რომ ელექტროენერგიის ღირებულება ყოველ დახარჯულ კილოვატზე 2 კაპიკი იყო, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა კი 5 კაპიკი ღირდა. **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა მოსახლეობა ერთ-ერთ ყველაზე ჯანმრთელ ერად ითვლებოდა, რადგან ხორცი, რძე და სხვა პირადი მოხმარების პროდუქტი ნატურალური იყო და ფასიც — ხელმისაწვდომი,** საშუალო ხელფასი — 350 მანეთი, 1 კილოგრამი ხორცი — 2 მანეთი, პური — 30 კაპიკი... საბედნიეროდ, მართლაც, რომ იტყვიან, **იგრძენით განსხვავება!**

ახლა დოლარი ავიღოთ, რომელიც იმხანად 60 კაპიკის ეკვივალენტი იყო. ხალხი მოუთმენლად ელოდა მარტის დადგომას, რადგან იცოდა, რომ პირველადი მოხმარების საქონელზე მორიგი სტალინური გაიაფება იყო მოსალოდნელი.

1950 წლის 1 მარტს მესამედ გამოცხადდა ფასდაკლება პირველადი მოხმარების საგნებზე — პურ-პროდუქტებზე — 25 პროცენტით, ზეთსა და რძის პროდუქტებზე — 30 პროცენტით, ხორცპროდუქტებზე — 15 პროცენტით. 1952 წლის 31 მარტს კი ფასდაკლება შეეხო არამხოლოდ პირველადი მოხმარების საგნებს, არამედ წიგნებსაც, რესტორნებსაც, სასადილოებსაც, სასტუმროებსაც და ა.შ. ბოლო ფასდაკლება 1953 წელს გამოცხადდა.

**— ანუ სტალინის სიკვდილის წინ?**

— დიახ, მას შემდეგ ქვეყანაში ფასდაკლება აღარ ყოფილა, მეტიც, მოახლოებული დეფოლტი **ხრუშჩოვმა** ფულადი რეფორმით აიცილა თავიდან, რასაც მანეთის გაუფასურება და მოხმარების საგნებზე ფასების არნახული ზრდა მოჰყვა. გაჩნდა დეფიციტი პურზე და გამალებით დაიწყეს სიმინდის მოყვანა კრასნოდარიდან ურალამდე. აი, რატომ აქვს ხალხს ნოსტალგია სტალინის ეპოქაზე. **ადამიანებს არ ეშინოდათ მალაზიაში შესვლის, არ ჰქონდათ იმის შიში, რომ მძინარეს ღამით ბომბის ნამსხვრევი დაეცემოდათ.** სამწუხაროდ, სტალინის წასვლით საბჭოთა ეპოქაც დასრულდა და მისი პირველი მესაფლავე სწორედ ხრუშჩოვი იყო. ჯერ პარტიას შეურყიეს სახელი, შემდეგ სტალინი პიროვნების კულტად გამოაცხადეს, მერე კი საბჭოთა სისტემასაც მიდგნენ. რომ არა სტალინის მიერ შექმნილი ატომური ბომბი, დიდი ალბათობით, საბჭოთა ქალაქებს ფიზიკურადაც გაანადგურებდნენ.

**კოლექტიური დასავლეთი დღესაც აგრძელებს სიყალბის გავრცელებას, როდესაც ისტორიულ ფაქტებს ამახინჯებს და მხოლოდ სტალინის ტირანიას უსვამს ხაზს.** მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს: სტალინი რომ არა, ჰიტლერი მსოფლიოს დააჩოქებდა.

**— საქართველოში დღეს უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია აღმოცენდა, რომლებიც თქვენი აზრების საწინააღმდეგო დებულებებს ქადაგებენ...**

— იმათი უმეტესობა საზღვარგარეთიდან ფინანსდება. როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოზე იმუშავებენ? ხომ ხედავთ, ვიღაც პოლონელი ვიგინდარა გვასწავლის ჭკუას, სტალინის მუზეუმი გააუქმეთო! აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი საუბრის მიზანი არ არის მხოლოდ იმ პერიოდის განდიდება, მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ. **დიახ, სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდი!**

## „აი, რატომ აქვს ხალხს საბჭოთა ეპოქაზე ნოსტალგია!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი როსტომაშვილი**
*მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



1 ტონა არმატურა **700 დოლარი** ღირდა, ახლა კი **1200 დოლარზე** ნაკლებად არ იყიდება, რაც მშენებლობას საგრძნობლად აძვირებს. **100 კვადრატული ბინის შეძენა 100 ათას დოლარზე ნაკლებად ველარ იქნება შესაძლებელი,** ცოტა ხნის წინ კი დაახლოებით 75 ათასი დოლარი ღირდა.

„რეზონანსი“

**ზურაბ ტყემალაძე**
*ბიზნესმენი*



**გაძვირება შეეხება ყველაფერს,** ძალიან მძიმე სიტუაციაა და ეს არ იქნება მოკლევადიანი პერიოდი. **რამეთი რომ დაბალანსდეს მაღალი ფასები, მინიმუმ, ადგილობრივი წარმოება უნდა განვითარდეს,** რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

„რეზონანსი“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



ფასების ზრდა პანიკამ გამოიწვია. **ეს გაზაფხული იქნება ძალიან ძნელი გადასატანი** ყველა წინა წელთან შედარებით.

„ახალი თაობა“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



გენერლებმა **პუტინი** გააფრთხილეს, ომი არ დაიწყოო. ახლა იქ არის ასეთი სიტუაცია, რომ ან **გენერლები გაგუდავენ პუტინს, ან პუტინი დაწყვეტს ყველა გენერალს.**

„ახალი თაობა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ტელევიზიებმა ომიც კი სპექტაკლისა და კონცერტის ნაწილად აქციეს.** ვითარება ისედაც დრამატულია, ჟურნალისტები კი ცდილობენ, საკუთარი დრამა შექმნან.

„კვირის პალიტრა“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2022 წლის №9-13

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

სააკაშვილი თავის მემუარებში მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ გადამწყვეტ და ეპოქალურ პერიოდს — **„ვარდების რევოლუციას“** განსაკუთრებული რუდუნებითა და მონდომებით აღწერს! და, რა თქმა უნდა, ამ მონაკვეთსაც, როგორც სჩვევია, მამალი სიცრუით იწყებს:

***„2001 წლის სექტემბერში იუსტიციის მინისტრის პოსტიდან გადავდექი. კორუმპირებული ხელისუფლების შირმად დარჩენა აღარ შემეძლო“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 60).*

არა, სააკაშვილი მართლა გადადგა იუსტიციის მინისტრობიდან, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ **„კორუმპირებული ხელისუფლების შირმად დარჩენა აღარ შეეძლო“,** არამედ, იმიტომ, რომ თავად ამხილეს კორუფციაში!

დიახ, ეს „კორუფციასთან მებრძოლი მზეჭაბუკი“, მიასკდა თუ არა სამთავრობო ხაზინას, იმ დონემდე ჩაეფლო ჩინოვნიკური განცხრომის ტლაპოში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ვირთხასავით ხვრა დაიწყო!

ალბათ, ბევრს ემახსოვრება მაშინდელი კონტროლის პალატის შეფის **სულხან მოლაშვილის** სკანდალური ოფიციალური დასკვნა, რომლის მიხედვითაც იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონებს ბებიამისის მიერ დანატოვარ მემკვიდრეობასავით განკარგავდა!

მინისტრმა სააკაშვილმა თავისი წიგნიც კი იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტიდან დააფინანსა! არადა, იმ დასავლეთში, რომლის ადეპტობაზეც ასეთი პრეტენზია ჰქონდა სააკაშვილს, მსგავსი შემთხვევა ავტომატურად ნიშნავს პოლიტიკური კარიერის დასასრულს!

აი, ამიტომაც გაიპარა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრობიდან ასეთი ურცხვი ტყუილით — **იმდენად სუფთა და კამკამა ვიყავი, კორუმპირებული ხელისუფლების შირმად ველარ დავრჩებოდი!** და როდესაც ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, როგორი არაადამიანური სისასტიკით იძია შური სააკაშვილმა სულხან მოლაშვილზე, ყველამ კარგად იცის!

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს იმ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე საეტაპო მოვლენას — ჟურნალისტ **გიორგი სანაიას** მკვლელობას და ამასთან დაკავშირებულ სახალხო მღელვარებას:

***„ყველა უბედურების განსახიერებად შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე ითვლებოდა.*** *ჟვანია გამოვიდა ინიციატივით:* ***თუ წავიდოდა თარგამაძე, მაშინ ისიც გადადგებოდა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან. როდესაც 1990-ანების შუა წლებში, შევარდნაძემ ჟვანია გადაიბირა, მაშინ ის მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე იყო და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა მისთვის. მაგრამ ჟვანიამ შეძლო პარლამენტში ბევრი საინტერესო ადამიანის მოყვანა და შექმნა ფართო რეფორმატორული ფრონტი, რასაც შევარდნაძე არ ელოდა. ამიტომ ის სიამოვნებით დათანხმდა სიტუაციის დარეგულირების ამ ვარიანტს“*** *(იქვე, გვ. 60).*

დააკვირდით, როგორ შეურაცხყოფს სააკაშვილი თავის აწ უკვე განსვენებულ მეგობარს **ზურაბ ჟვანიას,** რომელსაც **შევარდნაძის მიერ გადაბირებულად** მოიხსენიებს! არადა, სწორედ ამ გადაბირებულის გადაბირებული იყო თვითონ, როდესაც ჟვანიას შეთავაზების შემდეგ ამერიკიდან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა საქართველოში, შევარდნაძის სახელისუფლებო პარტიის მოქკავშირის სიით პარლამენტში შესაძრომად!

მემუარისტი დეტალურად იხსენებს, რა კულუარული ბრძოლები გაიმართა ჟვანიას გადადგომის შემდეგ გამოთავისუფლებული პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის ხელში ჩასაგდებად:

***„სპიკერის გათავისუფლებულ სავარძელს უმიზნებდა ყოფილი კომკავშირელი ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელსაც პატარკაციშვილი უჭერდა მხარს. ის დეპუტატების მოსყიდვას ცდილობდა. პარლამენტში სამი ჩემოდანი ფული მოიტანეს და პირდაპირ დაიწყეს დეპუტატების ყიდვა. ამას არ დავუშვებდით“*** *(იქვე, გვ. 60).*

აი, ასე, უაპელაციოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ცილს სწამებს „იურისტი“ სააკაშვილი თავის მოწინააღმდეგეებს: **ვაჟა ლორთქიფანიძესაც, ბადრი პატარკაციშვილსაც** და ათობით დეპუტატსაც, ვინც მაშინ მართლა ემხრობოდა **ვაჟა ლორთქიფანიძეს,** რომელიც წლების განმავლობაში უმაღლეს სამთავრობო თანამდებობაზე მუშაობდა და რა გასაკვირია, რომ უამრავი უანგარო მეგობარი და მხარდამჭერიც ეყოლებოდა ყოველგვარი **„სამი ჩემოდანი ფულით მოსყიდვის“** გარეშეც!

სააკაშვილი არანაკლები შეურაცხყოფით იხსენებს, ამ ბატალიებში როგორ გახდა **ნინო ბურჯანაძე** პარლამენტის თავმჯდომარე:

***„ჩვენი ახლობელი ადამიანებიდან შევარდნაძეს მხოლოდ ბურჯანაძის კანდიდატურის მიღება შეეძლო, რომელიც მისი უახლოესი მეგობრის შვილი იყო. მიუხედავად ნინოს რეფორმატორებთან კავშირისა, ის მაინც შევარდნაძის სისხლი და ხორცი იყო, ამიტომაც ამ უკანასკნელმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. ძალიან დიდი ძალისხმევით, ბურჯანაძე ავირჩიეთ. ჩვენთვის ეს უდიდესი წარმატება იყო, თუმცა, პრინციპში ის რეფორმატორი არ იყო. და მაინც, ის სჯობდა პატარკაციშვილის კანდიდატს“*** *(იქვე, გვ. 60).*

არადა, შეგახსენებთ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილს სწორედ ეს **„შევარდნაძის სისხლი და ხორცი“ და „არარეფორმატორი“ ბურჯანაძე** ჰყავდა პარლამენტის თავმჯდომარედ და მას ჟვანიას მკვლელობის შემდეგაც, 2008 წლის პარლამენტშიც კი აძლევდა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას, სანამ საპარლამენტო სიაში თავისი მომხრეების ჩაწერაზე უარით გასტუმრებულმა ბურჯანაძემ თავად აღარ ისურვა სააკაშვილის გუნდში დარჩენა!

და იქვე, სააკაშვილი, რასაც იტყვიან, მორალურად ანადგურებს ამ მემუარების წერისას უკვე კარგა ხნის მიცვალებულ მის მეგობარ **ჟვანიას:**

***„სპიკერის პოსტიდან გადადგომის შემდეგ ჟვანიამ შეინარჩუნა შევარდნაძის პარტიის თავმჯდომარეობა. ის რეგულარულად ხვდებოდა ზურას, ულიმოდა და დამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ზუსტად ასე ექცეოდა რამდენიმე ყოფილ მინისტრს*** *(ჟვანიას გუნდის წევრებს გულისხმობს — გ.გ.).* ***მათ მოეწონათ ხელისუფლებაში ყოფნა და ამის გამო ლოიალურად იყვნენ განწყობილი შევარდნაძის მიმართ“*** *(იქვე, გვ. 61).*

რატომ კადრულობს სააკაშვილი ასეთ მდაბიო სიბინძურეს?! იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ასეთი არაკაცური მდაბიო არსებაა, მეორეც, სხვისი განქიქებით ცდილობს თავისი უბადრუკობის გადაფარვას! ანუ მე ვარ, რაც ვარ, სხვები, ჩემი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირანო! აი, პირდაპირ წერს კიდეც:

***„მე გაცილებით რადიკალური ვიყავი. ამასთან დაკავშირებით ჟვანიასთან ბევრს ვკამათობდი. მას უზარმაზარი ოფისი ჰქონდა კარგ ადგილას. ჰყავდა მდივნები, ბევრი მანქანა და დაცვა. მას ნამდვილად ჰქონდა დასაკარგი. მე კი, ისევე, როგორც მათ, ვინც ჩემ გარშემო იყო, არაფერი ეს არ მქონდა. სულ ვამბობდი, რომ საჭირო იყო რადიკალიზაცია, მაგრამ უმეტესობა ამისთვის მზად არ იყო. როდესაც განვაცხადე, რომ ჩვენ შეგვეძლო, საკუთარი პარტია შეგვექმნა, ჟვანია შემედავა: „როგორ შექმნი რამეს? გაქვს ფული? ფული არ გაქვს! კარგი, პირველი ხანებისთვის, პარტიისთვის 20 000 ლარს მოგცემთ!“ ეს მაშინ დაახლოებით, 10 000 დოლარი იყო — საკმაოდ ბევრი ღარიბი ქვეყნისთვის“*** *(იქვე, გვ. 61).*

ანუ გამოდის, სააკაშვილი ჟვანიას ამ უბინძურეს განქიქებაში აღიარებს, რომ მისი ნაცმოძრაობის შექმნა სწორედ საძულველი შევარდნაძის პარტიული ბიუჯეტიდან დაფინანსდა! დიახ, სწორედ შევარდნაძის პარტიული ხაზინიდან, რადგან ჟვანია მაშინ მოქკავშირის თავმჯდომარე იყო და თავისი დანაზოგიდან კი არ დააფინანსებდა სააკაშვილს! თანაც, რაც მთავარია, ჟვანია ამას შევარდნაძის თანხმობის გარეშეც ვერ და არ გააკეთებდა!

მოკლედ, სააკაშვილი დაწვრილებით აღწერს, როგორ უჭირდა ფინანსურად მის ახალშექმნილ პარტიას, რადგან ისეთი რადიკალურები ვიყავით, რომ სექტას გვეძახდნენ და ჩვენთან საქმის დაჭერას ყველა ბიზნესმენი შავი ჭირივით ერიდებოდაო!

მაგრამ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში სააკაშვილის პარტიამ თბილისის საკრებულოში მეორე ადგილი აიღო! აი, როგორ იხსენებს მემუარისტი, თუ რა მანქანებით გახდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე:

***„როდესაც ქალაქის საკრებულოში შევედით, დეპუტატები რაოდენობით, სიდიდით მეორე ფრაქციით შემოვიფარგლებოდით. მაგრამ ამ დროს შალვა ნათელაშვილმა, რომელსაც კანონიერად შეეძლო, საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყო, რატომღაც გადაწყვიტა, რომ ეს ხაფანგი იყო და თუკი ის საკრებულოს თავმჯდომარეობას დასთანხმდებოდა, მისი რეიტინგი დაეცემოდა.*** *ის ხომ მხოლოდ ოპოზიციაში ყოფნას იყო დაჩვეული, მისი საქმიანობა ყვირილი და მხილება იყო. საკრებულოს მიზერული უფლებამოსილებები ჰქონდა. ამიტომ, მისი გათვლა, ასე თუ ისე, გასაგები იყო.* ***მისთვის საშიში კონკურენტები ვიყავით, არჩია, ეს ადგილი ჩვენთვის დაეთმო“*** *(იქვე, გვ. 62).*

ეს, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ვერსიაა!

ის, რა თქმა უნდა, არ ლაპარაკობს, თავად რამდენი ჩემოდანი ფული დახარჯა, რომ ნაცმოძრაობა — დედაქალაქის საკრებულოს მმართველი პარტია, თავად კი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყო!

ფაქტი ის არის, რომ ნაცმოძრაობამ გადაბირებული ლეიბორისტების ხარჯზე დედაქალაქის საკრებულოში უმრავლესობა მოიპოვა და სწორედ აქედან დაიწყო რევოლუციისთვის მზადება!

დიახ, **2002 წელს სწორედ თბილისის საკრებულოს ხელში ჩაგდება და ამ შენობის სახურავზე — დედაქალაქის თავზე სააკაშვილის პარტიული დროშის აფრიალება იყო პლაცდარმი „ვარდების რევოლუციისათვის“!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




# როგორ ჩამოაყალიბა სააკაშვილმა პარტია შევარდნაძის ფულით

# მარგველაშვილი სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებას ითხოვს!

*უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული გლობალური კატაკლიზმების საყოველთაო ისტერიკაში თვით საფუძვლიანად ნაფტალინმიყრილმა გიორგი მარგველაშვილმაც კი გამოიღვიძა და „დიდ ავიაციაში“ დასაბრუნებლად, ხან რომელ დროშის ტარს გადაახტება, ხანაც — რომელს! ამჯერად კი საკუთარი პოლიტიკური გვამის პოლიტიკური საფლავიდან წამოყენებისათვის მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების თემას „მოაჯდა!“*



## პლასტილინის რეზიდენტი და არაჟნის პრეზიდენტი

ნაპრეზიდენტალის ლოგიკა ასეთია: **უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად მსოფლიო შეიცვალა და ამდენად, სააკაშვილის, როგორც პუტინთან მებრძოლის, ციხეში დატოვება საქართველოს ხელისუფლებისათვის პუტინის მოკავშირეობის აღიარების ტოლფასიაო!**

თურმე, უკრაინაში დაწყებულმა რუსეთის აგრესიამ სააკაშვილის პრეზიდენტობისას მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული გააქარწყლა და ახლა ის უკრაინას როგორც ჰაერი, ისე სჭირდებაო!

**მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, 24 თებერვლის, ანუ უკრაინაში ომის დაწყების დღის შემდეგ, სააკაშვილს ულაპარაკოდ შევიწყალებდიო!** — აი, ასეთია მარგველაშვილის საბოლოო სიტყვა!

ეს მარტივ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ამას ნიშნავს: **რა დროს სამართალი და კანონია, ჭირსაც წაუღია ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის აბსოლუტურად უარყოფითი დამოკიდებულება სააკაშვილისადმი, ახლა მთავარია, მიშიკო გავუშვათ უკრაინაში პუტინის იმპერიასთან საბრძოლველადო!**

**დიახ, მარგველაშვილი პირდაპირ ამას ამბობს — რა დროს სანდრო გირგვლიანის მწამებელი ჯალათების სააკაშვილისეული მფარველობა და ამ საქმეზე თვით სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტია, რა დროს შვილმოკლული ირინა ენუქიძის უკიდეგანო ტრაგედიაა, ახლა სააკაშვილის მიერ სამყაროს გადარჩენის ჟამი დადგაო!**

აი, ეს სამარცხვინო არსება იდო ოთხი წელი საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში! დიახაც, სწორედ იდო — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!

ეს ხომ ის მარგველაშვილია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელდასხმით გაპრეზიდენტებამდე მორცხვი ღიმილით ამოთქვამდა — **მე პლასტილინი ვარ, სადაც დამდებენ, იმ ფორმას მივიღებო, მაგრამ როგორც კი პრეზიდენტის სავარძელში ჩახტა, ისე გამჯარდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისიც კი განაცხადა — მე ბატონო მდიდარი და მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრება მაქვსო!**

**პოდა, ახლა წარმოიდგინეთ, სად უნდა იყოს „სექს-გიგანტი“ მარგველაშვილი, თუ არა სააკაშვილის პოლიტიკური ბორდელის წიაღში?!**



პრეზიდენტობისას მარგველაშვილს არაერთი თიკუნი დააკვდა და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმეტყველი **„შემოულაწუნე“** იყო! დიახ, სწორედ გენიალური ქართული ფილმის „ნატვრის ხის“ ერთ-ერთი გმირის პატივსაცემად, ბებიამისს ოხროხინე-მღვდელთან რომ დაჰყავს შემოსალაწუნებლად (ანუ გამოსაჯანმრთელებლად), თუმცა, თანასოფლელი დედაკაცები მაინც მკერდსავსე ნარგიზათი „მკურნალობის კურსს“ რომ ემხრობიან!

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ **მარგველაშვილს აწი შემოლაწუნებაც აღარ უშველის! ის უკვე მთლიანად, თავფეხიანად სააკაშვილის ჰარემშია და ამ ჰარემის პრიმადონობაზე ოცნებობს!**

დააკვირდით, მარგველაშვილი ზუსტად იმას ლაპარაკობს, რასაც კიდევ ერთი გამოჩენილი „პლასტილინი“ და სააკაშვილის ჰარემში უკვე საფუძვლიანად დაწინაურებული **გუბაზ სანიკიძე: მიშა მსოფლიო მასშტაბის ფიგურაა და მისი პატიმრობა პუტინთან დაპირისპირებული მთელი მსოფლიოს ღალატიაო!**

## იქმნება არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილი სწორედ გუბაზს ეპაექრება სააკაშვილის ჰარემში პრიმადონას პოზიციის დაკავებისათვის!

იქმნება არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილი სწორედ **გუბაზს** ეპაექრება სააკაშვილის ჰარემში პრიმადონას პოზიციის დაკავებისათვის! მაგრამ მარგველაშვილს გუბაზამდე ბევრი უკლია — **სანიკიძე იმდენად გამოცდილია პარტიულ დროშებზე სალტო-მარტალეებით ხტომიალში, რომ მას საქართველოში ცოტა ვინმე თუ შეედრება!**







მოკლედ, მარგველაშვილის სააკაშვილის თემით სპეკულაცია იმდენად უბადრუკია, რომ იმ განწირულის ფაფხურს ჰგავს, ჭაობში ჩაფლული რაც მეტს იხვანხვალებს, მით უფრო სწრაფად რომ წავა ფსკერისკენ!

**სააკაშვილის ადგილი არის ციხეში და ამას ვერც უკრაინაში მიმდინარე სისხლიანი ომი შეცვლის და ვერც გუბაზ სანიკიძისა და მარგველაშვილის დუეტში ზმუილი „მიშა მაგარიას“ ჰანგებზე!**

აი, ასეთია სევდიანი ამბავი **პლასტილინის რეზიდენტისა** და **არაჟნის პრეზიდენტის** შესახებ!

*გიორგი გიგაური*

## კვირგვინოსნები

**მერაბ სეფაშვილი**
*მომღერალი*



**ახლა დაპირისპირებისა და კინკლაობის დრო არ არის.** შეიძლება, რუსეთს „ბაბაია“ არ ვეძახოთ, მაგრამ **ძალიან დიდი სიფრთხილე და დაკვირვება უნდა გამოვიჩინოთ,** რომ მის ნანგრევებში არ მოვყვეთ.

„კვირის პალიტრა“

**რუსუდან ბოლქვაძე**
*მსახიობი*



**მიშა თუმანიშვილი** თითქოს მიწვდიდა ხელს, მე კი მერიდებოდა, ამ სიყვარულით მესარგებლა. **გული მწყდება, ეს ურთიერთობა უფრო მეტად რომ არ გამოვიყენე.** სულ მერიდებოდა, ეს ჩემი მხრიდან არ გადაზრდილიყო ფამილარობაში, მცდელობაში, რომ თავი წარმომეჩინა. **არ გამოსულიყო ისე, რომ როლების მიღებისთვის ვცდილობდი სიახლოვეს.**

„სარკე“

**ალექსანდრე გოგინავა**
*ინფექციონისტი*



შეიძლება ითქვას, რომ **პანდემია წლის ბოლოს დასრულდება,** მაგრამ, რა თქმა უნდა, **ახალი შტამების გამოჩენის რისკი არსებობს,** მათ შორის — **„დელტაკრონის“.**

„რეზონანსი“

**ივა ჭყონია**
*დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



ალბათ, **პანდემია მოგვენატრება,** ისეთი ფასი დაედება საკვებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



**პანდემია დასასრულს უახლოვდება.**

„რეზონანსი“

## რამ ათქმევინა!



# ცოცხალ-მკვდარი ჟირინოვსკის 23 წლის წინანდელი წინასწარმეტყველება დიდი სიზუსტით ახდა!

***ზუსტად 23 წლის წინ გასროლილი მისი წინასწარმეტყველური რეპლიკები რუსული ზებგერითი რაკეტა „კინჟალის“ მსგავსად დამანგრეველი სიზუსტით ხვდება სამიზნეს და ცნობილ ნათელმხილველთა წინასწარმეტყველებასაც კი ჩრდილავს. ახლახან რუსმა ბლოგერმა ივან უტენკომ სოციალურ ქსელ „ინსტაგრამში“ სკანდალური ვიდეოკოლაჟი გამოაქვეყნა, რომელშიც რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი გამაოგნებელ პროგნოზს აკეთებს!***

ამ წინასწარმეტყველების ავტორი უკვე ორჯერ გამოაცხადეს გარდაცვლილად. არადა, ჯერ ისევ ცოცხალია, თუმცა, ხელოვნურ კომაში მყოფს უკვე ფილტვიც გაეთიშა. **ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკი სწორედ ის პოლიტიკოსია, რომელიც მოსკოვის ზრახვების რუპორად ითვლება.** ხშირად იგი გამოხატვის შოვინისტურ ფორმებს იყენებს და იმპერიული ცნობიერებით გაჟღენთილი რეპლიკების ტირაჟირებასაც ახდენს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **რუსეთ-უკრაინის ომის პროგნოზს.** განცვიფრებულია მთელი მსოფლიო: საიდან იცოდა? რა ძალამ უკარნახა ის, რაც ჯერ კიდევ 1999 წელს ევროსაბჭოში სიტყვით გამოსვლისას წამოიძახა? ფაქტია, პროგნოზი ზუსტი გამოდგა:

*— **მე თქვენ გეუბნებით, ამის შემდეგ კიევს დაბომბავენ! და თქვენ დაბომბავთ კიევს! დაბომბავთ! ეს თქვენს გეგმებში წერია! ნატოს გეგმაში უკვე არის კიევის დაბომბვა და ამის დროც უკვე გაწერილია! თქვენ კი ვითომ ეს ყველაფერი ჯერ არ იცით...** როგორც ბავშვები, რომლებიც მიამიტად იღიმიან და ამბობენ — არა, ეს ასე ვერ მოხდება. **არადა, მოხდება! და ბალტიისპირეთიც იქნება შემდეგი!** აი, ჩემოდნებსაც ალაგებენ, ხედავთ, მათი კორესპონდენტები და გარბიან! შეეშინდათ და გარბიან! არ იციან, რით დამთავრდება მათთვის რუსეთისა და რუსების მასხარად აგდება! **მაშ, წინასწარ გეტყვით, რომ ომი იქნება უკრაინის ტერიტორიაზე ყირიმისთვის!***

იმავე პერიოდში ჟირინოვსკი სხვა პროგნოზებსაც აკეთებს:

*— **ამიერკავკასიაში დასავლეთი მხარს დაუჭერს სომხებს ბაქოს წინააღმდეგ; ხოლო თბილისს პირიქით, მხარს დაუჭერს აფხაზების წინააღმდეგ. ნატო ამას გააკეთებს აქ, ევროპის ცენტრში, გარწმუნებთ ამაში.** ნატოს სხვა გეგმები არ აქვს, გარდა ომის წარმოებისა და მათი მთავარი მიზანი კი რუსეთთან ომია! მაგრამ პირდაპირ ამის გაკეთების ეშინიათ, ამიტომ დაბომბავენ პერიფერიებიდან: **კავკასია, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი...** პირდაპირ რუსეთზე ისინი არ წამოვლენ! **მაგრამ რუსეთს შეავიწროებენ უკრაინიდან, ბელარუსიდან, ბალტიისპირეთიდან!***

ამ წინასწარმეტყველებამდე 6 წლით ადრე ვიდეოფირი უნიკალურ კადრებს აფიქსირებს: **ზვიად გამსახურდია, რუსლან აუშევი, ჯოხარ დუდაევი და ვლადიმერ ჟირინოვსკი** კრემლის წინაშე დაუმორჩილებელ გროზნოში სუფრასთან სხედან. დგას 1993 წელი. ვლადიმერ ვოლფოვიჩი ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევს შორის ზის, სუფრის თამადა კი თავად საქართველოს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ბრძანდება, რომელიც ისტორიულ სადღეგრძელოს ამბობს:

***— საქართველომ პირველმა აღმართა დამოუკიდებლობის დროშა კავკასიაში, თუმცა, ჩვენი ბრძოლა არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს მეგობრობა ყველა ქვეყანასთან და, პირველ რიგში, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან. მეგობრობა კი შესაძლებელია მხოლოდ თანასწორებს შორის, მეგობრობა შეუძლებელია ბატონსა და მონას შორის.***

ის პერიოდი დგას, როდესაც დასავლეთმა უკვე გამოუტანა განაჩენი ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდს, რომელსაც **დინების წინააღმდეგ ცურვა** არ აპატია. კიევის საზარელ მომავლამდე, უკრაინის ხელისუფლებაში ბანდერელი ფაშისტების მოსვლამდე, მაიდანზე საკუთარი მოსახლეობისთვის ცეცხლის გახსნამდე, ოდესის პროფკავშირების სასახლეში ადამიანების ცოცხლად დაწვამდე, დონეცკსა და ლუგანსკში მშვიდობიანი მოსახლეობის დევნამდე და ხოცვამდე ჯერ კიდევ შორს არის...

**მაგრამ უკვე დღეს კიევს მართლაც ბომბავს კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის პროვოკაციულად წააქეზა და შემდეგ გამძვინვარებულ დათვს პირისპირ შეატოვა.** მოვლენების ზუსტად ამგვარი განვითარება ივარაუდა **ვლადიმერ ვოლფოვიჩმა.** „პირდაპირ რუსეთზე ისინი ვერ მოდიან! მაგრამ ცდილობენ, რუსეთი ყოველი მხრიდან, მათ შორის, უკრაინიდანაც შეავიწროონ!“ **და მაინც... რა ძალამ შთააგონა ჟირინოვსკის ასეთი ზუსტი პროგნოზი?!**

***ზაზა დავითაია***

## ექიმის ტრიბუნა

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ადამიანის კვების რაციონის განუყოფელი ატრიბუტის — ხორცის ავკარგიანობის შესახებ გვესაუბრება და იმ მითებს აქარწყლებს, რომლებიც ამ საჭირო და მართლაცდა სტრატეგიულ პროდუქტს უკავშირდება:***



### „ინდაურის ხორცის რეგულარულად მიღება კიბოს პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალებაა!“



# კახა საბახტარიშვილი: ხორცზე უარის თქმა უმოკლესი გზაა სიმსივნისაკენ!

— ხორცსა და ხორცის პროდუქტებს ადამიანის კვების რაციონში დიდი ადგილი უჭირავს. ადამიანთა არცთუ მცირე კატეგორია მიიჩნევს, რომ ხორცი მავნებელია და ორგანიზმისთვის საჭირო ყველა მიკროელემენტი, ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები მცენარეული საკვებიდანაც შეიძლება მივიღოთ. ეს შეხედულება მცდარია, რადგან ადამიანის ორგანიზმის ძირითადი საშენი მასალა არის ცილა, რომელიც ამინომჟავებისაგან შედგება; მართალია, ამ ამინომჟავების ნაწილს ორგანიზმი გამოიმუშავებს, მაგრამ **არსებობს შეუცვლელი ამინომჟავები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცხოველის ან ფრინველის ხორცშია. ასეთი ამინომჟავების გარეშე კი ადამიანის ცილა სრულყოფილი ვერანაირად ვერ იქნება.**

**— ბატონო კახა, თუ ადამიანს სრულყოფილი ცილა არ ექნება, ანუ ადამიანმა ფრინველის, თევზის ან ცხოველის ხორცი და მათი პროდუქტები საერთოდ არ მიიღო, მაშინ რა შეიძლება მოხდეს?**

— არსებობს მითი, თითქოს სრული ვეგეტარიანელები თითქმის ას წლამდე ცხოვრობენ. არავითარი კავშირი ამ ზღაპარს რეალობასთან არა აქვს. **ზედმეტი ყველაფერი მავნებელია, მათ შორის, ხორციც, მაგრამ ხორცზე საერთოდ უარის თქმა უმოკლესი გზაა სხვადასხვა პათოლოგიებისკენ, მათ შორის სიმსივნისკენ.** არაერთხელ მითქვამს, რომ ცნობილი მსახიობი **საველი კრამაროვი,** რომელიც არც ეწეოდა, არც სვამდა, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდა და ამავდროულად სრული ვეგეტარიანელი იყო, 60 წლის ასაკში ამერიკაში კიბოთი გარდაიცვალა. ასეთი მაგალითები არაერთია.

**— რისი ხორცია ყველაზე სასარგებლო?**

— ყველაზე სასარგებლო **ინდაურის ხორცია,** მათში იმდენი ფოსფორია, რამდენიც **თევზის ხორცში.** ინდაურის ხორცი ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით A, E და B ჯგუფის ვიტა-



### „კურდღლის ხორცი ყველაზე უფრო დიეტურია და არ გვასუქებს!“

## კვირგვინოსნები

ხელოვანი



ინდოელების ქორწილში მიმიწვიეს. მეფე-დედოფალი რომ დავლოცე, მითხრეს, **იცეკვეო და ჩართეს ინდური მუსიკა.** აღარ ვიცოდი, რა მექნა, **გავშალე ხელი და შევუბერე აჭარული.** ორ წუთში გავხდი პოპულარული, მოვიდნენ და ჩემთან ერთად ფოტოებს იღებდნენ.

„თბილისელები“

ხელოვანი



ვიღაცამ მომწერა, **უი, შენც გაშიშვლდიო?!** აზრი არა აქვს, მას რამე ავუხსნა, მაინც ვერ გაიგებს... **შიშველი მოვდივართ და მივდივართ** და ამ ქვეყნიდან რომ ვერაფერს წავიღებთ, ეს არის ჩემი ფოტოსესიის უმთავრესი იდეა.

„კვირის პალიტრა“

**ენი გასიევა**
*მსახიობ გიორგი ყიფშიძის მეუღლე*



მე მსახიობ **გიორგი ყიფშიძით** არ მოვხიბლულვარ, პიროვნება **გიორგი ყიფშიძით** მოვიხიბლე.

„კვირის პალიტრა“



იმედი მაქვს, ოდესმე **ვალიკო მიზანდარივით** მთებს ვერტმფრენითაც გადავუფრენ.

„კვირის პალიტრა“

# „ბატის ცხიმი სასარგებლოა, ორგანიზმს კანცეროგენებისგან წმენდს და პოტენციასაც ამაღლებს!“



მინებს, მიკროელემენტებს, რკინას, კალციუმს, კალიუმს, იოდს, მაგნიუმს, სელენს, თუთიას და ა.შ. ინდაურის ხორცის მთავარი ღირსება ის არის, რომ, ფაქტობრივად, არ შეიცავს ქოლესტერინს. ინდაურის ხორცი ლამის სამკურნალო საშუალებაა დიაბეტიანებისთვის. საერთოდ, დიაბეტიანებმა დღეში ხუთ-ექვსჯერ მაინც უნდა მიიღონ საკვები და ისიც მცირე ულუფებით... ინდაურის ხორცში შემავალი ცილა ორგანიზმის მიერ 94 პროცენტით აითვისება. **ვისაც დიაბეტი აქვს, მისთვის ინდაურის ხორცის მცირე მოხარშული ნაჭერიც კი საკმარისია, რომ შიმშილის გრძნობა ჩაიცხროს.** ინდაურის ხორცში ცხიმი ძალიან ცოტაა, ე.ი. ის ნახშირწყლებისგანაც თავისუფალია, გააჩნია დაბალი გლიკემიური ინდექსი და სწორედ ამის გამოა, რომ მისი ჭამა სისხლში გლუკოზის მომატებას არ იწვევს. ინდაურის ხორცში უფრო მეტი რკინაა, ვიდრე ქათმის ხორცში და ორჯერ მეტი, ვიდრე საქონლის ხორცში. გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ინდაურის ხორცში დიდი რაოდენობითაა სელენი და თუთია, რის გამოც მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ინდაურის ხორცის რეგულარულად მიღება კიბოს პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალებაა. **სასარგებლო თვისებები რომ მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს, ინდაურის მკერდი, რომელიც ყველაზე ძვირფასი ნაწილია, 30 წუთზე მეტხანს არ უნდა ვხარშოთ.** ასევე არ არის რეკომენდებული ინდაურის ბარკლის ერთ საათზე მეტხანს ხარშვა. საერთოდ, მთელი ინდაური სამ საათზე მეტხანს არ უნდა იხარშებოდეს!

**— შემწვარი ინდაური სასარგებლო თვისებებს კარგავს?**

— საერთოდ, მოხარშული ხორცი უფრო ინახავს თავის სასარგებლო თვისებებს, ვიდრე შემწვარი. თევზეულიც მოხარშული ჯობს. ინდაურის ხორცი 2,5 საათიდან 3,5 საათს უნდა იწვებოდეს. ყველაფერი დამოკიდებულია მის ზომაზე...

**— რამდენად სასარგებლოა ქათმის, ბატისა და იხვის ხორცი?**

— **ქათმის ხორცი** სასარგებლო თვისებებით ინდაურის ხორცს ოდნავ ჩამორჩება. ქათმის ხორცში ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ამინომჟავების 92 პროცენტია წარმოდგენილი. ქათმის ხორცი უნიკალურია იმით, რომ მისი მიღება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი მჟავიანობის დროს. გარდა ამისა, **როგორც ქათმის, ისე ინდაურის ხორცი შეიცავს ამინომჟავა ტრიფტოფანს, რომელიც ბედნიერების ჰორმონ სეროტონინად გარდაიქმნება.** სეროტონინისგან კი, თავის მხრივ, მელატონინი, ანუ იგივე „ძილის ჰორმონი“ წარმოიქმნება. ქოლესტერინის დაბალი შემცველობით ქათმის ხორცი ოდნავ ჩამორჩება ინდაურის ხორცს. ბატი და იხვი წყალში მცურავი ფრინველები არიან და ამის გამო გამოირჩევიან მაღალი ცხიმიანობით. ამიტომ ბატისა და იხვის ხორცი ასუქებს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ბატის ცხიმი სასარგებლოა, ორგანიზმს კანცეროგენებისაგან წმენდს და პოტენციასაც ამაღლებს.**

**— რამდენად სასარგებლოა საქონლის ხორცი?**

— **საქონლის ხორცში** ბევრი რკინა და მიოგლობინის ცილაა, რომელიც მას წითელ ფერს აძლევს. საქონლის ხორცი სპორტსმენებისთვის აუცილებელია, რადგან შეიცავს კრეატინინს, რომელიც კუნთოვან მასას ზრდის. საქონლის ხორცში ასევე დიდი რაოდენობით ტერნოზინია, რომელიც ფიზიკური დაღლილობის შემდეგ დატვირთვას ხსნის. ერთი რამ გვახსოვდეს — **მთელი კვირის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული საქონლის ხორცის საერთო რაოდენობამ 500 გრამს არ უნდა გადააჭარბოს, ანუ დღიური ნორმა 100-150 გრამი უნდა იყოს.** გვახსოვდეს ისიც, რომ წითელი ხორცის გადაჭარბებული მიღება კიბოს იწვევს! ცნობისათვის, თითქმის ყველა ცხოველის ხორცი წითელია, ხბოს ხორცი ბავშვებისათვის აუცილებელია, რადგან ადვილად აითვისება და ორგანიზმის საშენი მასალაა.

**— ძალიან აქებენ კურდღლის ხორცს, როგორც ორგანიზმისთვის სასარგებლოს!**

— ეს მართლაც ასეა... **კურდღლის ხორცი** ყველაზე უფრო დიეტურია, არ გვასუქებს და 90 პროცენტით ვითვისებთ! რაც შეეხება **ცხვრის ხორცს,** ის ძალიან ცუდად აითვისება ორგანიზმის მიერ, რადგან მთლიანად კუნთოვანი ბოჭკოებისგან შედგება. თუმცა, ცხვრის ხორცში ოთხჯერ უფრო ნაკლები ქოლესტერინია, ვიდრე ღორის ხორცში. ორგანიზმისთვის ყველაზე მავნედ მაინც **ღორის ხორცი** ითვლება, რომელიც ძალზე ცხიმიანი და მძიმე პროდუქტია. ეს არ ეხება ღორის ხორცისგან დამზადებულ სალას და ე.წ. ხალადეცს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და არ ასუქებს.

**— რამდენად სასარგებლოა დათვის, ირმის, შვლისა და ჯიხვის ხორცი?**

— **ირმისა და შვლის ხორცი** თავისი სასარგებლო თვისებებით, ფაქტობრივად, **ინდაურისა და ქათმის ხორცს** უტოლდება. მათში ცხიმი ძალზე მცირეა — 9 პროცენტია, ხოლო ცილა 20-25 პროცენტს აღწევს. იგივე ითქმის **ჯიხვზეც.** რაც შეეხება დათვს, **დათვის ხორცის** ჭამა არ შეიძლება, რადგან თითქმის ყველა დათვი პარაზიტ ტრიქინელას მატარებელია. ტრიქინელა დათვის ხორცის მოხარშვისა და, მითუმეტეს, შეწვის დროს არ იღუპება და, შესაძლოა, უმძიმესი დაავადება — ტრიქინელოზი გამოიწვიოს! არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ტრიქინელოზით საქართველოში მთელი სოფელიც კი დაავადებულა. იგივე შეიძლება ითქვას **ბარეული ღორის** შესახებაც, რომელიც ღორის სოლიტერის მატარებელია.

**— რამდენად სასარგებლოა გარეული ფრინველების — კაკბის, გნოლის, შურთხის, როჭოს, მწყრის, ხოხბის ხორცი?**

— ყველა გარეული ფრინველის ხორცი ძალიან სასარგებლოა, მაგრამ აქაც სიფრთხილეა საჭირო. არსებობს უძლიერესი შხამიანი მცენარე **ციკუტა,** რომლის ტოქსინმაც შესაძლოა, ადამიანი მოკლას. ამ მცენარით ხშირად იკვებებიან ზემოხსენებული ფრინველები, რომლებსაც ციკუტას შხამი არ ვნებთ, მაგრამ, **თუ ადამიანმა ციკუტათი დანაყრებული გარეული ფრინველი მოინადირა და მერე მისი არასრულად მოხარშული ან შემწვარი ხორცი შეჭამა, შესაძლოა, მძიმე შედეგის წინაშე აღმოჩნდეთ!**

**— სასარგებლოა თუ არა გველის ხორცი?**

— **გველის ხორცი,** პრაქტიკულად, უვნებელია და ის აფროდიზიაკია, ანუ პოტენციას ზრდის! გველის ხორცის ცილები ძალზე სასარგებლოა.

**— რატომ არ ჭამენ ყვავის, ღამურის, მგლის, ტურისა და მელიას ხორცს?**

— **ყვავის გარდა მგელიც, ტურაც, მელაც და ღამურაც ცოფის და უამრავი სხვა საშიში ვირუსის მატარებელია. ამდენად, მათი ხორცის ჭამა დაუშვებელია,** თუმცა, ჩინელები ღამურას ხორცსაც ჭამენ. სწორედ ამის შედეგია კოვიდპანდემია.

რაც შეეხება **ყვავს,** ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ყვავის სისხლში შარდმჟავას კონცენტრაცია 150-ჯერ მეტია, ვიდრე ადამიანის სისხლში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყვავები კიბოთი არ კვდებიან — შარდმჟავა სიმსივნის უჯრედებს სპობს! სწორედ ამის გამო უდიდესი ქართველი მეცნიერი და უნიკალური პრეპარატის „კატრექსის“ შემქმნელი **ალექსანდრე გაჩეჩილაძე** სიცოცხლის ბოლო წლებში **ყვავის სისხლზე** მუშაობდა. კარგად მახსოვს, ყვავი, რომელიც ძლივს დავიჭირეთ და გალიიდან გაგვიფრინდა. ბატონი ალექსანდრე ამის გამო ძალიან დარდობდა და ახალი ყვავის დასაჭერად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა... *(იცინის).*

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





თქვენი ჯანმრთელობისათვის!

## კოვიდი ვინც გადაიტანა «გულის ელექსირი»- ყველამ უნდა მიიღოს!





უნიკალური ლიცენზირებული ბუნებრივი ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“,** რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო ხალხში უკვე სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში **ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგული საშუალება გახდა. „გულის ელექსირი“** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს **პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება!**

გაზაფხულზე ხშირია გეომაგნიტური დღეები: **წნევა ცვალებადობს, წარმოიქმნება არითმიები.** ადამიანები უჩივიან **მოთენთილობას, ადვილად დაღლას.** მატულობს **ინფარქტების, ინსულტების** წარმოშობის რისკი. სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს“.**

**„გულის ელექსირი“:**

**1. ხსნის სპაზმებს;**

**2. კვებავს გულის კუნთს;**

**3. აფართოებს სისხლძარღვებს;**

**4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;**

**5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;**

**6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;**

**7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.**

რაც მთავარია: წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.

**„გულის ელექსირის“** შემქმნელმა **ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა** თითქმის 15 წელი მოანდომა „გულის ელექსირის“ ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასობით პაციენტზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული, **„გულის ელექსირი“** დარეგისტრირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არა როგორც საკვები დანამატი, არამედ როგორც სამკურნალო წამალი, ყოველგვარი **გვერდითი მოქმედებების და მიჩვევის ეფექტის გარეშე. „გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში **რეცეპტის გარეშე** გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ჰყოფნის 1 თვეზე მეტი!

**„გულის ელექსირი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია!**
**593 31-70-34**

**P.S.**

**აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის** კვლევებით კოვიდინფექცია 72-ჯერ ზრდის **გულით დაავადებათა** განვითარების **რისკს.** ყოველი 100 ადამიანიდან, რომელთაც **გული საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდის“** გადატანის შემდგომ 40 პროცენტს აღენიშნათ: ***გულის არეში პერიოდული ჩხვლეტა, გულისცემის გახშირება — ტაქიკარდია, ქოშინი დატვირთვისას, ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება.*** ეს სხვა არაფერია, თუ არა ***გულის კუნთის ანთება — მიოკარდიტი.*** თუ დროულად არ მოხდა ამ დაავადების მკურნალობა, **შესაძლოა, განვითარდეს ექსტრასისტონია, არითმია,** *რომელიც ინფარქტით სრულდება.* **„გულის ელექსირის“** მიღებული 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ ხსნის ამ მოვლენებს, **იცავს კოვიდგადატანილ** პაციენტს *ინფარქტისა და ინსულტისაგან.*


## კვირგვინოსნები



**ნინო ჩხეიძე**
*მომღერალი*

**საკუთარი ფულის** ხარჯვა უფრო დიდი სიამოვნებაა, **ვიდრე ქმრის ბიუჯეტის.**

„სარკე“



**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*

ამორალურია, ჩვენს ქვეყანაში **5-ათასევროიანი პიჯაკი** გეცვას, ამას არასდროს გავაკეთებ.

„თბილისელები“



**ავთანდილ ცქვიტინიძე**
*დიზაინერი*

**საკუთარი თავის მართვა** ძალიან დიდი ხნის წინათ ვისწავლე, იმიტომაც ვარ დღეს **დალაგებული ნერვების ადამიანი.**

„თბილისელები“



**ლაშა ჯოხაძე**
*დიზაინერი*

**თუ ჩემი ცხოვრება წინასწარაა დაწერილი, მაშინ არცერთ ჩემს შეცდომაზე არ ვაგებ პასუხს.**

„თბილისელები“



**მზია ორველაშვილი**
*მოცეკვავე*

ორი შვილის დედა ვარ, **ბიჭებს ვზრდი** და არასწორი ნაბიჯები რომ გადავდგა, მერე შეიძლება, მომიწიოს მათთვის პასუხის გაცემა.

„თბილისელები“



**ლელი ჩიტაძე**
*მოდის ექსპერტი*

**ქალი თუ ოჯახში დაუკმაყოფილებელია, მას ეს ყოველთვის ეტყობა** — სულ რაღაცას ეძებს. სახლიდან რომ გავდივარ, მეუღლე მეკითხება — **რამე გაცვია შენიო? ფეხსაცმლის გარდა, მისას ყველაფერს ვირგებ.**

„თბილისელები“



# გუბაზ მეგრელიძე: სანდრო ახმეტელი როცა თბილისს ტოვებდა, ვანიკო აბაშიძეს უთხრა – საქმე თუ გართულდა, პეტრე აღნიაშვილს მიმართეთ, ნამდვილი ქართველიაო!

*ხელოვნების სფეროში 1937 წლის რეპრესიები, ფაქტობრივად, სანდრო ახმეტელის დაპატიმრებით დაიწყო და შინსახკომში ხელოვანთა დაკითხვებსაც, ძირითადად, ახმეტელთან ურთიერთობაზე აგებდნენ. მთავარი იყო, მათ ბიოგრაფიაში ახმეტელის გვარი აღმოჩენილიყო. ამასვე ცდილობდნენ რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის ია ქანთარიას დაკითხვის დროსაც, რომელსაც შინსახკომში 1936 წლის დასაწყისიდან იბარებდნენ. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ცნობილი ჟურნალისტი* ***გუბაზ მეგრელიძე*** *გვთავაზობს ია ქანთარიას დაკითხვის იმ ოქმების შინაარსს, სადაც ქანთარია „ცისფერყანწელებსა“ და სანდრო ახმეტელის ურთიერთობაზე საუბრობს:*



რუსთაველის თეატრის გერბი

— **ია ქანთარიამ,** რომელიც 1924 წლიდან რუსთაველის თეატრში იყო, ძალიან კარგად იცოდა იმ ურთიერთობების შესახებ, რაც „ცისფერყანწელებსა“ და სანდრო ახმეტელს შორის არსებობდა. ქანთარიას დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ — **ახმეტელი იზიარებდა მენშევიკების დროს შექმნილ „ცისფერყანწელთა“ იდეებს, რომელთა შორისაც ის მწერლები და პოეტები იყვნენ, რომლებსაც განათლება გერმანიასა და საფრანგეთში ჰქონდათ მიღებული.** გამოარჩევდა **პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ნიკოლო მიწიშვილს, შალვა აფხაიძეს, გიორგი ლეონიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, რაჟდენ გვეტაძეს, სერგო კლდიაშვილს** და ამათთან ერთად ასახელებდა **კონსტანტინე გამსახურდიას.** ამ ჯგუფის ხელმძღვანელად ქანთარია **გრიგოლ რობაქიძეს** მიიჩნევდა, რომელსაც ფაშისტსა და ბურჟუაზიული დეკადანსის წარმომადგენელს უწოდებდა.

**— „ცისფერყანწელები“ ახმეტელის დადგმებზე ზეგავლენას ახდენდნენ?**

— თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები იყვნენ **მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე** და **შალვა აფხაიძე.**

ქანთარია წერს, რომ ისინი კონტრრევოლუციურ პიესებს თარგმნიდნენ, რაშიც დიდ ფულს უხდიდნენ და მსახიობებზეც ახდენდნენ გავლენას. დაკითხვის ოქმის მიხედვით, რუსთაველელებსა და „ცისფერყანწელებს“ ჯერ კიდევ 1924 წლიდან ჰქონდათ დეკლარაცია ჩამოყალიბებული და აცხადებდნენ, რომ პოლიტიკოსები კი არა, კულტურის მუშაკები იყვნენ, მაგრამ რეალურად **ახმეტელიც, რობაქიძეც და იაშვილიც** პოლიტიკაში მოღვაწეობდნენ და მსახიობებიც „ცისფერყანწელთა“ გავლენის ქვეშ იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ „ცისფერყანწელებს“ ახმეტელის ანტისაბჭოთა სპექტაკლები მოსწონდათ, ამართლებდნენ მის ფაშისტურ ნააზრევს რიტმის თეორიის შესახებ და კვერს უკრავდნენ ქართველების ჰეგემონიას კავკასიაში. ქანთარია **აცხადებდა — „ცისფერყანწელებთან“ ერთად სანდრო ახმეტელი ქართული სისხლის ქებაში იყოო!**

**— კიდევ რა „სამხილები“ აღმოჩნდა ია ქანთარიას დაკითხვის ოქმებში?**

— რუსთაველის თეატრის ჰიმნისა და გერბის შესახებ წერდა — **მთლიანად „ცისფერყანწელთა“ გავლენით შეიქმნა, ხოლო გერბზე არსებული კენტავრი პროგრესის კი არა, სტიქიის სიმბოლოა — ქართულ ლიტერატურაში სიტყვა „კენტავრი“ გრიგოლ რობაქიძემ შემოიტანაო.** რაც შეეხება თეატრის ჰიმნს, ახმეტელის კორპორაცია „დურუჯის“ ჰიმნია — სვანური „ლილე“, რობაქიძის პიესა „ლონდაც“ სწორედ ამ ჰანგებით იყო გაფორმებული და ამას მხოლოდ რუსთაველელები მღეროდნენო. **სხვა მხრივ, ია ქანთარიას მიაჩნდა, რომ რუსთაველის თეატრში ანტისაბჭოთა სული იდგა და ახმეტელი იმ რეცენზიებსაც იწუნებდა, რასაც მის სპექტაკლებზე წერდნენ.** თურმე ამბობდა — რეცენზენტები მარქსისა და ენგელსის შრომებიდან გვერდებს იწერენ და შეფასებებს ისე აკეთებენო. ია ქანთარიას ანტისაბჭოთა სპექტაკლად მიაჩნდა **ახმეტელის სპექტაკლი „ლამარა“,** რომელიც 1929-1930 წლებში ამოიღეს რეპერტუარიდან, მაგრამ მან მაინც აღადგინა და „ცისფერყანწელებმაც“ ეს ამბავი მოიწონესო. **სანდრო შანშიაშვილის „ლატავრაც“** ანტისაბჭოთა დადგმად მიაჩნდა ქანთარიას და **შალვა დადიანის „თეთნულდიც“,** თვლიდა, რომ ახმეტელი ხელმძღვანელობდა მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და სანდრო შანშიაშვილის იდეებით, რომლებიც ხანდახან ახმეტელს არ ეთანხმებოდნენ, ხოლო **ჯავახიშვილი** რუსთაველის თეატრს რუსულ თეატრსაც უწოდებდაო.

ჯერ კიდევ 1926 წელს, როდესაც სანდრო ახმეტელი რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი გახდა, მიხეილ ჯავახიშვილმა პიესა „ივერიუმი“ დაწერა, რომელიც ახმეტელს თეატრში უნდა დაედგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პიესის წარმოდგენა არ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ახმეტელის ეს „ანტისაბჭოურობა“ ია ქანთარიას უმოწყალო დაკითხვების შედეგია.

**— იმ დროის ინტელიგენციიდან სანდრო ახმეტელი ვის თვლიდა ავტორიტეტად, რას ამბობდა ია ქანთარია დაკითხვაზე?**

— ქანთარია წერს, რომ ახმეტელი ითვალისწინებდა **ლევან და პეტრე აღნიაშვილების** სიტყვას, ასევე **ლიდა გასვიანისა** და ინჟინერ **ვლადიმერ ჯიქიას** მოსაზრებებს. ახმეტელი ამაყობდა მათთან მეგობრობით. 1935 წლის ბოლოს, როდესაც ახმეტელი თბილისს ტოვებდა და მოსკოვს მიემგზავრებოდა, **ვანიკო აბაშიძეს** უთხრა — საქმის გართულების შემთხვევაში პეტრე აღნიაშვილს მიმართეთ, ნამდვილი ქართველიაო. ახმეტელს იმედი ჰქონდა, რომ აღნიაშვილის გარდა, მის თანამოაზრეებს დახმარებას გაუწევდა **ლიდა გასვიანი** და **ვლადიმერ ჯიქია,** მაგრამ აღნიაშვილი ახმეტელზე ადრე — 1937 წლის 31 მაისს დახვრიტეს, ხოლო **ვლადიმერ ჯიქია** და **ლიდა გასვიანი** — იმავე წლის ივლისში. **პეტრე აღნიაშვილი** იყო რევოლუციონერი, საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, 1935-1936 წლებში რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მაგრამ მაინც არ დაინდეს.










**— ცნობილია, თვითონ ახმეტელმა დაკითხვის დროს დაასახელა თუ არა „ცისფერყანწელები“?**

— შინსახკომში წამების დროს **ახმეტელმა** დაასახელა საზოგადო მოღვაწეები, ხელოვანები, მწერლები და პოეტები, ვინც მასთან ერთად კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ **მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე** და რუსთაველის თეატრის მსახიობები. ცნობილია ისიც, რომ წამების ფონზე თავისი თანამოაზრეების სახელები და გვარები ჩამოთვალა **ტიციან ტაბიძემაც,** რომ ისინი თანაუგრძნობდნენ ფაშიზმს და ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციის წევრები იყვნენ **სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჯავახიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, კონსტანტინე გამსახურდია** და **ნიკოლო მიწიშვილი.** აი, ასეთი იყო ვითარება.

**— ია ქანთარიას დაკითხვის ოქმებში საუბარია საიდუმლო კოდების შესახებ...**

— **შინსახკომს რომ ეჭვი არ გასჩენოდა, ქანთარიას სპეციალურად შედგენილი ჰქონდა საიდუმლო კოდი, რომლის მეშვეობითაც აპირებდა ახმეტელთან მიმოწერის წარმოებას. თეატრის მსახიობებს სათანადო სახელები დაარქვა და სათქმელიც რაღაც სიტყვებით უნდა გამოეხატა.** მაგალითად: მსახიობ **ელგუჯა ლორთქიფანიძეს** დაარქვა ივანა, **ვანიკო აბაშიძეს** — მიხა, **ია ქანთარიას** — კოლია, **პავლე კანდელაკს** — სოლომონი, **გიორგი დავითაშვილს** — დავითი, **გიორგი სალარაძეს** — საშა.

დაშიფრული იყო სიტყვებიც, მაგალითად, სადაც სახელი „ანდრეი“ ეწერებოდა, ახმეტელს უნდა ეგულისხმა **„ხელისუფლება“;** სიტყვა „გაზეტა“ — ნიშნავდა **პრემიერას,** სადაც სიტყვა „ჩავარდნა“ უნდა ყოფილიყო, ამის ნაცვლად კოდურ სიტყვად **„კიბო“** ჩაიწერებოდა და ა. შ.

**ია ქანთარიას ამ დაკითხვიდან სამი დღის მერე, 1936 წლის 19 ნოემბერს, მოსკოვში ახმეტელი დაიჭირეს.** ქანთარია იძულებით წერს, ახმეტელის ფაშისტური და ნაციონალისტური მიდრეკილებები გამოჩნდა, სახელმწიფო თეატრის სცენას თავისი შეხედულებების გატარებისათვის იყენებდაო. მწერალი და რევოლუციური ლიტერატურის ფუძემდებელი უნგრეთში **ბელა ილეშიც** ასევე აფასებდა ახმეტელის მოღვაწეობასო. დაკითხვებიდან ვიგებთ, რომ ახმეტელი საბჭოთა პრესის მუშაკებს არ სწყალობდა, თურმე, ამბობდა, ერთს იტყვი და მეორეს წერენო.

**— ცნობილია, რომ ია ქანთარიას თავისი ჯგუფიც ჰყავდა...**

— ეს იყო არაოფიციალური, მსახიობთა მიერ შექმნილი ჯგუფი **„ინჯე“** — ე.წ. **„ინტიმური ჯგუფი“,** რომლის წევრებიც იყვნენ **ია ქანთარია, ვანო ლაღიძე, პიერ კობახიძე, ემანუელ აფხაიძე, ვასო გოძიაშვილი** და **სტეფანე ანჯაფარიძე.** მათ თეატრის მუშაობა უნდა შეეფასებინათ, თვალყური ედევნებინათ **კორპორაცია „დურუჯის“** საქმიანობისთვის. **„ინტიმური ჯგუფის“** არსებობის შესახებ ახმეტელმა იცოდა, ხოლო, როცა **„დურუჯი“** დაიშალა, ია ქანთარიას უთხრა — თქვენი ჯგუფის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თქვენს რიგებში ახალგაზრდა მსახიობებიც შეიყვანეთ, სცენის მუშებიც და ორკესტრის წევრებიცო. ამ ჯგუფს თავისი დეკლარაციაც ჰქონდა, რომელიც **პიერ კობახიძემ** შეადგინა. რუსთაველის თეატრში არსებობდა კიდევ ერთი ჯგუფი „**შიდრი ძმა**“, მაგრამ ია ქანთარიამ მათ შესახებ არაფერი იცოდა.




**„ია ქანთარიას მიაჩნდა, რომ რუსთაველის თეატრში ანტისაბჭოთა სული იდგა და ახმეტელი იმ რეცენზიებსაც იწუნებდა, რასაც მის სპექტაკლებზე წერდნენ!“**

ესაუბრა
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*



**ერთხელ სარკეში ჩავიხედე,** მაინტერესებდა ჩემი საბედოს დანახვა, მაგრამ ვერავინ დავინახე. ჩემმა მეუღლემ კი მითხრა, **პირველად სარკეში ჩახედვის დროს გნახე,** წვერით იყავიო. ერთი პერიოდი მართლაც ვატარებდი წვერს. ნათიამ ჩვენი შეუღლებიდან 2 წლის შემდეგ აღმოაჩინა ფოტო, რომელზეც ზუსტად ისეთი ვიყავი, როგორიც **სარკეში ჩახედვისას მნახა.**

„სარკე“

**გიგა კვენეტაძე**
*მუსიკოსი*



**ჩვენ, თამარისა და დავითის ქვეყანას, ევროპელობას ვერავინ გვასწავლის,** მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ახალი თაობა, ტვინები, რომლებიც საქართველოს უნდა გამოადგეს, ქვეყანაში ვერ ჩერდება. მეც ჩემს რესურსს სხვა ქვეყანას ვახმარ და არა საქართველოს, რადგან **საქართველოში წარმოუდგენელია რამის გაკეთება.**

„თბილისელები“

**რუსკა მაყაშვილი**
*მსახიობი*



სხვადასხვა თეატრში უფრო ვარ დატვირთული, ვიდრე **რუსთაველის თეატრში.** გული მწყდება, რომ ჩემს საყვარელ თეატრში არ ვიხარჯები ბოლომდე.

„სარკე“

დღეს უამრავი სპეკულაციაა დაკავშირებული ინდურ ფილოსოფიასთან და რელიგიასთან. აი, მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე **გურუს** გამონათქვამი, რომელზეც ამბობენ, რომ ძალიან კეთილია და ფული სულ არ აინტერესებს: **„ყველა, ვინც ოსტატს მიიღებს, კარმას გაისუფთავებს.“** ვფიქრობ, მას ეს გულწრფელად სჯერა. ალბათ, ჰგონია, რომ ადამიანები, რომლებმაც შინაგანად მიიღეს იგი, სიცოცხლისადმი მის დამოკიდებულებასა და მსოფლმხედველობასაც მიიღებენ და ამით სულს განიწმენდენ. სინამდვილეში რა ხდება? ეს არის მორიგი შესაძლებლობა, თვითონ არაფერი გააკეთო, არ შეიცვალო და საკუთარი ცოდვები მთლიანად სხვას აჰკიდო. **ყოველ ადამიანს აქვს პირადი პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე და მას ვერავინ ვერასდროს მოიხსნის.** ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, მაშინ გამოჩნდებიან ისეთები, ვინც **ჰიტლერივით** გამოაცხადებს: **„დახოცეთ მშვიდად, დახოცეთ რაც შეიძლება მეტი. თქვენ მაგივრად პასუხს მე ვაგებ, ყველა თქვენს ცოდვას ჩემს თავზე ვიღებ“.**

რატომ შეგვახსენებს ერთ-ერთი მთავარი ბიბლიური მცნება, რომ ღმერთის ხსენებისას ფრთხილად ვიყოთ? შემოქმედის მიმართ თავქარიანმა დამოკიდებულებამ შეიძლება ღვთაებრივი კანონების არასწორ გაგებამდე მიგვიყვანოს და მაშინ ადამიანს თეთრი შავად მოეჩვენება. იმაში, რაც **ქრისტემ** გააკეთა, ბევრი მხოლოდ ერთს ხედავს: ვილაცის ხარჯზე საკუთარი ცოდვებისაგან განწმენდის შესაძლებლობას. ჩემი აზრით, **ქრისტეს** მიერ გაღებული მსხვერპლის ზედაპირულად ახსნა არ შეიძლება. **ჯვარცმა იმისათვის იყო საჭირო, რომ ცოდვების დაძლევა ყველას ესწავლა.** სამყაროს მთავარი ცოდვა ღმერთისადმი სიყვარულის უარყოფაა. ამას მაშინ ჩავდივართ, როცა ჩვენთვის რაღაც სხვა უფრო მნიშვნელოვანია. ქრისტემ გვაჩვენა, რომ არ არსებობს მიწიერი სიკეთე, რომლის გამოც ღვთის სიყვარულზე უარის თქმა შეიძლება. ის არა მარტო გვეუბნებოდა ამას, არამედ საქციელითაც დაადასტურა.

თუმცა, განუვითარებელმა მომხმარებლურმა ცნობიერებამ ადამიანის მსოფლმხედველობაში ეს კოლოსალური გარღვევა ადვილად მოსაპოვებელი სიკეთის მიღების მორიგ საშუალებად აქცია. და აი, პროტესტანტობაში ადამიანური ღვთაებრივის გადაფარვას იწყებს. რაც მეტი ფული, კომფორტი და კეთილდღეობა გაქვს ამქვეყნად, მით უკეთ იცხოვრებ საიქიოში. ხდება მიზნების შეუმჩნეველი შენაცვლება. თუ სული სხეულზეა დამოკიდებული, ესე იგი, მთელი ენერგია სწორედ სხეულს უნდა დაუთმო და მაშინ სულიც შვებას იგრძნობს.

ამის შემდეგ კი **„ოქროს ვერძის“** თაყვანისცემა იწყება, აკი სწორედ ფული აძლევს სხეულს საშუალებას, თავი კომფორტულად იგრძნოს. მაშასადამე, სხეულის ყველა სურვილი წმინდაა. თუ აღვირახსნილი სექსი, ჰომოსექსუალიზმი, ზოოფილია სხეულს სიამეს ჰგვრის, ესე იგი, ეს ნორმალურია. ჩვენ დასავლური ცივილიზაციის მძიმე კრიზისზე ვსაუბრობთ. მაგრამ არ მეგულება მკვლევარი, რომელსაც მოახლოებული საშიშროების მიზეზების გარკვევა უცდია. მიზეზი კი, როგორც ჩანს, შემდეგია: **დასავლური ცივილიზაციის გახრწნა — ეს გახლავთ იმ კრიზისის შედეგი, რომელიც რელიგიაში დაიწყო.** ევროპული რელიგიური მსოფლმხედველობის კრიზისმა შეუმჩნევლად გადაანაცვლა პრიორიტეტები და დღევანდელ მდგომარეობამდე მოგვიყვანა. რით განსხვავდება წარმართობა მსოფლიო რელიგიისგან? მომხმარებლობით, დაუყოვნებლივი სასიკეთო შედეგის მოლოდინით. ადამიანი ლოცულობს, რათა მიწიერი ყოფა გაიუმჯობესოს.

**ნებისმიერი რელიგიის გადაგვარების ნიშანი მომხმარებლური ტენდენციების გაძლიერებაა. დღეს ბევრი უწოდებს თავს მორწმუნეს და ვერ ხვდება, რომ სინამდვილეში წარმართია.**

ამასწინათ ნაცნობმა ერთი საინტერესო შეხვედრის შესახებ მიამბო.

— ქუჩაში თანაკლასელს შევხვდი. მას ბავშვობიდანვე ჰქონდა ბიზნესისკენ მიდრეკილება. მერე „პერესტროიკა“ და სხვა ყველაფერი დაიწყო. ამ სიტუაციას შესანიშნავად მოერგო. ათეისტია, სულით ხორცამდე პრაგმატიკოსი. და უცებ, წარმოიდგინეთ, მის დიდებულ „მერსედესს“ ეკლესიასთან ვხედავ. მერე კი თვითონაც გამოვიდა. ვერ მოვითმინე და ვკითხე: „აქ რა ქარმა გადმოგაგდო?“ ცოტა დაირცხვინა, მერე კი მეუბნება: „იცი რა, ყველგან ყველა საქმე მოვითავე და მხოლოდ აქ დამრჩა მოსაწესრიგებელი!“

კარგია, როდესაც ადამიანი ღმერთზე ფიქრს იწყებს. მაგრამ ღვთისმოსაობა სურვილების მუდმივ დაძლევაში, საიქიოზე დამოკიდებულების შემცირებაში, საკუთარი ღვთაებრიობის გაცნობიერებასა და განხორციელებაში მდგომარეობს. და იმისათვის, რომ ამ დროს გზა არ დაგებნეთ, ღვთაებრივ სიყვარულზე სულ უფრო მეტი კონცენტრაცია გჭირდებათ. უნდა ისწავლოთ ტკივილის მიღება, ცხოველური სურვილების დაოკება და უზენაესთა განხორციელებაში დახმარება.



დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ“ №23-52, 2022 წლის „ა-დ“ №3-13

# სერგეი ლაზარევი
# კარმის დიაგნოსტიკა



**– ფსიქიატრიულ კლინიკაში ვმუშაობ. ქმარი მეუბნება, რომ ამ წლების განმავლობაში თვითონაც ნამდვილი ფსიქოპათი გავხდი, მე კი ასე არ მგონია. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ამასწინათ ცნობილი ინგლისელი ფსიქიატრის ფრაზა მოვისმინე: ადამიანი, რომელმაც ფსიქიატრიულ კლინიკაში ათი წელი იმუშავა, ავადმყოფებისგან მხოლოდ ახლო ნათესავებით განსხვავდება. ესე იგი, მიჩვევის მექანიზმი არსებობს. სხვათაშორის, ინგლისში ფსიქიატრს ოთხი წლის მუშაობის შემდეგ ერთწლიანი შვებულების გამოყენების უფლება აქვს.

თანამედროვე მედიცინის კონცეფცია განვიხილოთ. ცნობიერება ტვინის პროდუქტია. ტვინი ჩვენი სხეულის ნაწილია. სხეული გარემოზეა დამოკიდებული. მაშასადამე, როგორ ვაზროვნებთ, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გარემოში ვიმყოფებით. ესე იგი, ფსიქიატრი დროთა განმავლობაში უნდა გაგიჟდეს, მილიციელი ბანდიტი გახდეს, ციხის თანამშრომელი კი — დამნაშავე. პრინციპში, ასეთი რამ ხდება. გარემო უდავოდ ახდენს გავლენას ადამიანზე. ამ თვალსაზრისით მატერიალიზმი 15-20 პროცენტით მართალია. ბავშვზე გარემო უფრო მეტად მოქმედებს, მოზრდილ ადამიანზე — ნაკლებად. დანაშაულებრივი სამყარო ათეისტს ჩაითრევს, მორწმუნე კი თავის თავს შეინარჩუნებს. რატომ? იმიტომ, რომ ფიზიკური გარემოს გარდა სულიერიც არსებობს. ჩვენ ის ვართ, რისკენაც მივისწრაფვით. რაც უფრო მაღალ, მასშტაბურ მიზნებს ისახავს ადამიანი, რაც მეტი ენერგიაა მათში, მით უფრო ნაკლებად არის ის დამოკიდებული ფიზიკურ გარემოზე. სიხარბე, შური, ეჭვიანობა, წყენა, შურისმგებლობა, ქედმაღლობა — ეს ყველაფერი გარემოზე დამოკიდებულების ნიშნებია.

**აგრესიულობა სულიერ მონობას, სიყვარულის უარყოფას იწვევს.** აგრესიული ადამიანის ფსიქიატრობა სასურველი არ არის. ფსიქიატრიულ კლინიკაში ადამიანებზე ზემოქმედებს არა იმდენად ფიზიკური, რამდენადაც ინფორმაციულ-ენერგეტიკული გარემო. ვინ არის ფსიქიკურად დაავადებული? ეს არის ადამიანი, რომლის სიყვარულს სიცოცხლე, ცნობიერება, სურვილები ფარავს, ანუ ქვეცნობიერად ვნებიანი, ეჭვიანი, შურიანი და წყენია ადამიანი. ამიტომ ფსიქიკურ ავადმყოფს ხშირად მღვდელი უფრო სჭირდება, ვიდრე ექიმი.

ფსიქიკური დაავადება წლობით და ათწლეულობით ყალიბდება. თავდაპირველად სულში ფასეულობათა სკალა დამახინჯდება. შემდეგ პრიორიტეტების არასწორი სისტემა საქციელით, ემოციებით განმტკიცდება და როდესაც სახიფათო გახდება იმ სიღრმისეული სტრუქტურებისთვის, სადაც ყველა ადამიანი ურთიერთდაკავშირებულია, მას ავადმყოფობით ამუხრუჭებენ. რამდენადაც ცნობიერება, სურვილები, სიცოცხლე ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მონაცვლეობით შეიძლება ნებისმიერი მათგანი დაზარალდეს.

არასასიკეთო გარემო აქტიურად მოქმედებს ადამიანის სულზე. ამიტომ აღზრდის ნაცვლად ციხეში ჩასმა ხშირად ბოროტმოქმედს აყალიბებს. რელიგიური მსოფლმხედველობა კი, პირიქით, დამნაშავეს ნორმალურ ადამიანად გადაქცევაში ეხმარება. სხვათაშორის, ერთხელ მკითხეს: რატომ იქცა ფრთოსან ფრაზებად ციხის მთავარი წესები: არ დაუჯერო, არ შეგეშინდეს, არ სთხოვო. ახსნა მარტივია. **რაც უფრო ძლიერ გჯერა ვინმესი, მით მეტად ხარ მასზე დამოკიდებული; რაც უფრო მეტად გეშინია ვინმესი, მით მეტად ხარ მასზე დამოკიდებული; როდესაც ვინმეს რამეს სთხოვ, თავს ამ ადამიანისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყენებ.** დამოკიდებულება ადამიანს მომხმარებლად გადააქცევს. ენერგია იკლებს, სიყვარული მცირდება. რამდენადაც ნებისმიერი ბოროტმოქმედი ემოციათა მომხმარებელია, თავის გადასარჩენად მან ეს პროცესი როგორმე უნდა შეაჩეროს. ამიტომ ადრე დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებს, ანუ კანონიერ ქურდებს არ უნდა ჰყოლოდათ ოჯახი, შვილები, არ უნდა ჰქონოდათ სამსახური, ფული, ანუ არაფერი, რაც დამოკიდებულებას აძლიერებს. ნებისმიერი უკეთური გარემო, ციხე იქნება ეს თუ ფსიქიატრიული კლინიკა, ადამიანში დადებით თვისებებსაც აძლიერებს და უარყოფითსაც. რაც უფრო ძლიერია შინაგანი მომხმარებლობა, მით უფრო სწრაფად გადაგვარდება ადამიანი. ამიტომ გულკეთილი, გულუხვი, მაგრამ არა მლიქვნელი და ქლესა ადამიანი ნებისმიერ გარემოში კომფორტულად იგრძნობს თავს, მათ შორის საკონცენტრაციო ბანაკშიც, ციხეშიც და ფსიქიატრიულ კლინიკაშიც. მაგრამ გულუხვობა უფრო შინაგანი უნდა იყოს, ვიდრე გარეგანი. შინაგანი გულუხვობა შურისმგებლობის, წყენისა და შურიანობის არქონაა. ის სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ **ნებისმიერ არასასიკეთო გარემოში საუკეთესო თავდაცვა უფლის რწმენა და მისდამი სიყვარულია.**

*გაგრძელება იქნება*

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ტაბიშვილი**
*მომღერალი*



მახსოვს, ჩემს ბავშვობაში **ქალმა თმა შეიღება და უიმე, ბოზიაო, მაშინვე ასე შეაფასეს.** დროსთან ერთად ბევრი რამ იცვლება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება ფუჭდება. ჩვენთან ჯერჯერობით ასე ადვილად ვერ შემოვა ის, რაც უკვე გავრცელებულია ევროპასა და ამერიკაში. **არ მომწონს გეი-პარადები.** ზუსტად იმავე რაოდენობით იყვნენ გეები ადრეც, ეს არის ავადმყოფობა, **მე ასეთი ხალხი უფრო მეცოდება, ვიდრე მძულს,** მაგრამ, როცა ასეთი ადამიანები ინდომებენ, სხვებიც მათნაირები იყვნენ და თავს გვახვევენ რაღაცებს, ეს არ არის კარგი.

„თბილისელები“

**მიშა მესხი**
*„დინამო თბილისის“ მცველი*



5 წლის რომ ვიყავი, **მამაჩემს ზვიად გამსახურდიას მიტინგებზე დავყავდი.** იქიდან დაბრუნებული, სარკესთან დავდგებოდი, თავი ლიდერად წარმომედგინა და ვყვიროდი: **გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!** ლიდერობაზე ვოცნებობდი.

„თბილისელები“

**ნინო ადამაშვილი**
*თემურ თათარაშვილის ყოფილი მეუღლე*



**ტუჩებში პირველი კოცნა თემურთან მქონდა,** ამას რომ ვამბობ, არავის სჯერა. მეოთხე სკოლაში რომ გადმოვედი, არ ვტრაბახობ, მაგრამ ისეთი ფიზიკური მონაცემების გოგო ვიყავი, მართლა მთელი „ნახალოვკა“ კუდში დამდევდა, თუმცა, **პირველი კოცნა ჩემი ქმრის იყო.**

„თბილისელები“

**მაკა რაზმაძე**
*ტელეწამყვანი*



პირადში შეიძლება არ გამიმართლა, მაგრამ ამას **უიღბლობას** ვერ დავაბრალებ, ჩემს **უტვინობას** მივაწერ.

„თბილისელები“



## მიხეილ ცაგარელი:
# არომათერაპია და ზოდიაქოს ნიშნები

*— რომელი მცენარის არომატია სასარგებლო იმ ვერძისთვის, რომელიც თავდაჯერების ან ენერგიის ნაკლებობას განიცდის, ანდა, პირიქით, რომელი სურნელია რეკომენდებული ზედმეტად მიმწოლი, შეუპოვარი ვერძისთვის? არომატების მიმართ მგრძნობიარე კუროს როგორი სურნელი მოსწონს და რომელი მათგანია მისთვის ყველაზე უფრო შესატყვისი? მრავალფეროვნების მოყვარულ ტყუპს სურნელებების მიმართ რა თავისებურება ახასიათებს და შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნებაში რომელი მცენარეების არომატი დაეხმარება? განცდებისკენ მიდრეკილი კირჩხიბისთვის რომელი სურნელი იქნება სასარგებლო, ანდა მორცხვ კირჩხიბს რომელი არომატი მოგვრის სითამამეს? ლომს რომელი მცენარის სურნელი გაუძლიერებს შემოქმედებითობას ან რომელია მისთვის ერთგვარი ეროტიკული საშუალება? მუდმივად მობილიზებული, ყოფითი პრობლემებით გადაღლილი ქალწულისთვის როგორი არომატია სასიკეთო? რომელი დაიცავს მის ორგანიზმს და დაეხმარება მდგრადი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში? სასწორს როგორი სურნელი მოსწონს? რომელი მათგანი გაუძლიერებს თავდაჯერებას, შემატებს ხიბლს და აღუდგენს სულიერ წონასწორობას? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* მიხეილ ცაგარელი *გვესაუბრება.*

— განვაგრძოთ საუბარი არომათერაპიის საშუალებით ენერგიის აღდგენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ. როგორც აღნიშნეთ, თითოეული ზოდიაქოს ნიშანს შესატყვისი არომატები გააჩნია, რომელთა დახმარებით შესაძლებელია როგორც ადამიანის ინდივიდუალურობის და ღირსების წარმოჩენა, ისე ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის არასასურველი თვისების ზედმეტად გამოვლენის შერბილება და არაჰარმონიული მდგომარეობის დაძლევა. დაგვისახელეთ რომელია განსაკუთრებით სასარგებლო არომატი ამა თუ იმ ზოდიაქოს წარმომადგენლისთვის?

— 1. **ვერძის ნიშნით დაბადებულს ძალიან მოსწონს ძლიერი, ცოცხალი, გამაგრილებელი ან თბილი ზეთოვანი და ფისოვანი მცენარეების სურნელი. ესენია როზმარინი, ბერგამოტი, ბალზა, ამბრა, ლიმონი, ვარდი, ჟასმინი, ფიჭვი, ღვია, ლევზეა, აბზინდა და სხვანი.** მათი სურნელი განსაკუთრებით სასარგებლოა იმ **ვერძის ნიშნით** დაბადებულისთვის, ვინც ენერგიის ნაკლებობას განიცდის და თავდაჯერება, სითამამე აკლია, ხოლო ზედმეტად ენერგიული, მიმწოლი, შეუპოვარი, მებრძოლი ვერძის ნიშნით დაბადებულს, პირიქით, ვურჩევთ **ყვავილოვანი არომატები** გამოიყენონ. ნიშანდობლივია, რომ **ფიჭვისა და აბზინდის** სურნელი თავდაჯერებულობას აძლიერებს, ხოლო **ვარდის, ამბრას, როზმარინის, ჟასმინის** არომატები სასიცოცხლო ენერგიას ზრდის, განწყობას აუმჯობესებს.

**2. კურო, ზოგადად, ძალიან მგრძნობიარეა არომატების მიმართ. მას უფრო მეტად დახვეწილი, არამძაფრი ყვავილის, ხილის ან ბალახის არომატი იზიდავს. არომათერაპიული მიზნისთვის ყველაზე შესატყვისს წარმოადგენს შროშანის, მაგნოლიის, ლოტოსის, პიტნის, მაიორანის, ლავანდის, საკმევლის, დუმფარას, ჯავზის, თავშავას ეთერზეთები. კუროს ყველაზე მეტად შროშანის ნაზი არომატის მქონე სუნამო შეესაბამება, რომელიც მათ რომანტიკულობას ხაზს უსვამს.** გარდა ამისა, ამგვარი სურნელი ხელს წყობს იმ ბრაზისა და ფეთქებადობის მოთოკვაში, რომლითაც პერიოდულად **კუროს** ნიშნის წარმომადგენელი ხასიათდება.

**3. ტყუპის ნიშნით დაბადებულს კი მრავალფეროვნება უყვარს, ამიტომ არჩევანს რომელიმე ერთ სუნამოზე იშვიათად აკეთებს და არომატს განწყობის მიხედვით ირჩევს. უფრო მეტიც, რაც უფრო ხშირად იცვლის სურნელს, მით უფრო უკეთესი განწყობა ეუფლება. მისთვის ყველაზე მეტად შესატყვისია მსუბუქი, ჰაეროვანი, რბილი არომატები.** შესაბამისად, სუნამოებში სასურველია მთავარ როლს ასრულებდეს და იგრძნობოდეს **ლავანდის, ვარდის, იის, ჩაის, ბუჩქის, კედრის, პიტნის, დარიჩინის სურნელი.** თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ზოდიაქოს წარმომადგენელთაგან უმრავლესობას მეტად მშფოთვარე გონება და არამდგრადი ნერვული სისტემა გააჩნია, სიმშვიდისა და შინაგანი წონასწორობის შესანარჩუნებლად სასარგებლო იქნება არომათერაპიული სეანსის დროს **სანდალოზის, ვარდის, იის, ფორთოხლის, კედრის, კატაბალახას ან ლავანდის** არომატის გამოყენება.

**4. კირჩხიბი კი ჩვეულებრივ ირჩევს მსუბუქ, დახვეწილ, ნაზ ყვავილოვან ანდა ზღვის ცოცხალ არომატს. მისთვის ყველაზე შესატყვისია თეთრი შროშანის, ჟასმინის, ევკალიპტის, იის, ამბრის, ორქიდეას, დუმფარას, ლოტოსის, ცოცხანას, ღვიას არომატები.** ნიშანდობლივია, რომ **თეთრი შროშანის** არომატის მქონე სუნამო იმ **კირჩხიბებზე** იმოქმედებს დამაწყნარებლად, რომელნიც შფოთვისკენ მიდრეკილნი არიან და ზედმეტი განცდები ახასიათებთ. გარდა ამისა, ამგვარი სურნელებანი ხაზს უსვამს მათ რომანტიკულობას და თაყვანისმცემელთა მოზიდვაში ხელს უწყობთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ჟასმინის არომატი მორცხვ კირჩხიბს** გაუძლიერებს სითამამეს, მომხიბვლელობას და სხვებისგან გამოარჩევს.

**5. ლომის ნიშნით დაბადებულს, მოგეხსენებათ, ნებისმიერ სიტუაციაში ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს, ამიტომ სუნამოსაც ისეთს ირჩევს, რომელსაც მძაფრი და მდგრადი, მკაფიოდ გამოხატული სურნელი აქვს. ასეთნი კი არიან ძირითადად ტკბილი, თბილი ზეთოვანი და ფისოვანი მცენარეების არომატები, ამიტომ ამ ნიშნით დაბადებულთათვის განსაკუთრებულია მანდარინის, მზესუმზირის, პაჭულის, მაიორანის, პიონის, ამბრას, კვიპაროსის, ვარდის, სანდალოზის, როზმარინის სურნელებანი.** ნიშანდობლივია, რომ **სანდალოზი** მათში გააღვიძებს ანდა გააძლიერებს შემოქმედებით ენერგიას, ხოლო **მანდარინი და გრეიპფრუტი ლომისთვის** ერთგვარი ეროტიკული საშუალება იქნება.

**6. ქალწულის ნიშნით დაბადებულს კი უფრო მეტად იზიდავს ჯანსაღი, გრილი, ბალახის, ციტრუსის ანდა ზღვის სურნელება. მისთვის შესატყვისია სურნელოვანი თამბაქო, სოჭი, ევკალიპტი, ვარდის ხე, ილანგ-ილანგი, ფორთოხალი, მოცვი, პაჩული, მირონი** (მირო, მირა)**, საკმეველი, კედარი.** ნიშანდობლივია, რომ **ილანგ-ილანგის ეთერზეთი** ან ამ სურნელის მქონე სუნამო ძლიერ ეროტიკულ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ადვილად მოადუნებს მუდამ მობილიზებულ და ყოფითი პრობლემებით გადაღლილ **ქალწულის** ნიშნით დაბადებულს. **ევკალიპტისა და სოჭის ეთერზეთები** კი მის ორგანიზმს დაიცავს და მდგრადი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაეხმარება.

**7. სასწორის ნიშნის წარმომადგენელს კი მოსწონს ჰაეროვანი და დახვეწილი სურნელი, რომელიც მსუბუქად შეიგრძნობა და არ იწვევს გაღიზიანებას. ეს მიუთითებს მის უნაკლო გემოვნებაზე და გარკვეულ ორჭოფობაზე, რაც, შესაძლოა, თავდაჯერების ნაკლებობით იყოს გამოწვეული. სასწორის არომატებია ვარდის ხის, ჟასმინის, ლავანდის, ვანილის, პიტნის, სანდალოზის, ჯანჯაფილის, თავშავას, ქონდრის, გვირილის სურნელება.** ამავდროულად, თავდაჯერებას გაუძლიერებს **ვანილის არომატი,** რომელიც ამავდროულად ქალურ ხიბლსა და მიმზიდველობას შემატებს, სულიერ წონასწორობას აღუდგენს და ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს. **სასწორისთვის მეტად სასარგებლოდ მიიჩნევა ვარდის, დარიჩინის, პიტნის არომატები.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

### 28 მარტი – 3 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
თქვენს ხიბლს მშვიდად გვერდს ვერავინ ჩაუვლის. განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობის, პარტნიორული კავშირების დასამყარებლად, მოგზაურობისთვის. ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობებიც სასიკეთოდ განვითარდება და ახალ ემოციებს მოგიტანთ. კარგი იქნება, თუ ამ კვირას არამარტო საქმეებისთვის, არამედ დასვენებისა და გართობისთვისაც გამოიყენებთ.

**კურო** (21.04-20.05)
ამ პერიოდში გარკვეულწილად შეიცვლით თქვენს წარმოდგენებსა და იდეალებს. ოჯახისა თუ მეუღლის პრობლემები უამრავ დროს წაგართმევთ. ეცადეთ, მიზნები ზუსტად განსაზღვროთ და პირადი პრობლემა სხვისი განხილვის საგნად არ გადააქციოთ. მოგზაურობასა და უცხოელებთან საქმიან მოლაპარაკებებს მოერიდეთ. საშუამავლო საქმიანობა მომგებიანი იქნება. ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, დახარჯული ენერგია აღიდგინოთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ერთბაშად რამდენიმე საქმეს შეასრულებთ. ბევრ ადამიანთან ურთიერთობა გონების განვითარებას ხელს შეუწყობს. შესაძლოა, გავლენიანი მფარველები გამოჩნდნენ, რომელნიც დახმარებას ყოველმხრივ გაგიწევენ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩენენ თქვენ მიმართ. მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს მოგიტანთ და რომანტიკულ ურთიერთობასაც გიქადით, მაგრამ ახალი სასიყვარულო კავშირი, შესაძლოა, ხანმოკლე აღმოჩნდეს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
დაძაბული, მაგრამ შედეგიანი დროა სიტუაციის გასაკონტროლებლად, ენერგიის მობილიზება და შემართების გამოვლენა დაგჭირდებათ ძალაუფლების გასაძლიერებლად, არაფერს არ შეუშინდებით. პრაგრამატულობა ემოციების გაკონტროლებაში დაგეხმარებათ. ეს დრო კარგია ხანმოკლე მოგზაურობისთვის. სასიყვარულო ურთიერთობის გამყარების მიზნით, შესაძლოა, არამარტო ინტერესები, არამედ საურთიერთობო წრეც შეიცვალოთ. შესაძლოა, ასევე დაფიქრდეთ სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადასვლაზე.

**ლომი** (23.07-23.08)
საზოგადოებაში რაც მეტ დროს გაატარებთ, მით მეტი პერსპექტივა გამოჩნდება. შემოსავლებიც იმატებს. ახალი იდეები შრომას გაგიადვილებთ და მიზანთან დაგაახლოებთ. ახლობლების მაცდუნებელ შემოთავაზებას ნუ აჰყვებით. ნურავის მოატყუებთ და ნებისმიერი თამაში წესებით აწარმოეთ. ახლო მანძილზე მოგზაურობები ჯანმრთელობაზე მეტად სასიკეთოდ აისახება. სასიყვარულო სფეროშიც სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი.

**ქალწული** (24.08-23.09)
ენერგიული, თავდაჯერებული და შრომისუნარიანი იქნებით. თუმცა, იმპულსური ქმედებები და ავანტიურისტული განწყობა საქმიან თუ სასიყვარულო ურთიერთობას პრობლემებს შეუქმნის. სწრაფ მოგებას ნუ მოისურვებთ და ფულიც ეკონომიურად ხარჯეთ. გადაადგილებების რიცხვი შეამცირეთ და ჯანმრთელობასა და საკუთარ გარეგნობას მეტი ყურადღება დაუთმეთ. გააკონტროლეთ საკვების ხარისხიანობა.

### 28 მარტი – 3 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა შემოქმედებით შემართებას გააღვიძებს და, შესაძლოა, სამსახურის ან პროფესიის შეცვლაზე დაფიქრდეთ. ინტელექტუალური საქმიანობით, თამაშებითა და სპორტით დიდ სიამოვნებას მიიღებთ. სასიყვარულო სფეროშიც კი ურთიერთობის გარკვევა და უთანხმოების დროულად მოგვარება მოგიწევთ. კარგი პერიოდია დასვენებისთვის, ოღონდ არა უცხოეთში.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმის ღირსეულად დასრულებისას შექებას დაიმსახურებთ. მატერიალური მდგომარეობა შრომისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. გამჭრიახობით და ძალისხმიერებით გარშემო მყოფებზე გავლენას მოახდენთ, სირთულეების გადალახვით კი სანუკვარ ოცნებას მიუახლოვდებით. ახალი კავშირების დამყარება და ცოდნის გაღრმავება სიამოვნებას მოგიტანთ, მოგზაურობა შედეგიანი არ იქნება. პირად ცხოვრებაში ცვლილება კი მხოლოდ სულიერ სიმშვიდეს დაგირღვევთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მიზანდასახული, ენერგიული და მობილური იქნებით და ძველი საქმეების დასრულებასა და ახლის დაგეგმვას შეძლებთ. კარგი დროა სამეცნიერო კვლევისთვის. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, მოულოდნელი პრობლემები წარმოიქმნას, რომლისთვისაც მზად არ იქნებით. ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს სპორტული ვარჯიში და ქალაქგარეთ გასეირნება. ახალი სასიყვარულო კავშირი უფრო ინტერესთა თანხვედრას დაეფუძნება, ვიდრე გრძნობებს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
დაქვეითებული ენერგია პესიმისტურად განგაწყობთ და გარშემო მყოფებთან კამათისკენ გიბიძგებთ, ამიტომ, ჯობს, მეტი დრო დასვენებას დაუთმოთ. მოგზაურობა რეკომენდებული არ არის, გარემოებები გაიძულებთ, სამსახურის ან სპეციალობის შეცვლაზე დაფიქრდეთ. ფინანსებთან სამუშაოდ აუცილებელია თავდაჯერებულობა და საქმისადმი სერიოზული მიდგომა. სულიერი წონასწორობის აღდგენაში მეუღლე ან შეყვარებული დაგეხმარებათ.

**მერწყული** (20.01-18.02)
გრძნობები და სურვილები გაგიმძაფრდებათ, ენერგია იმატებს და დაუღალავი გახდებით. ნებისმიერ სირთულეს მარტივად გაართმევთ თავს, თუმცა, მათი რაოდენობა ცოტა არ იქნება. დასახული მიზნების მისაღწევად ბევრს იშრომებთ და ყველა ღონისძიებაში მიიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ნუ გადაიღლებით და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად პერიოდულად დაისვენეთ. პროფილაქტიკური ზომებიც დროულად მიიღეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
საქმიან პარტნიორებს საერთო ინტერესის საფუძველზე დაუახლოვდებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაებმებით. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისას, შესაძლოა, წინააღმდეგობას წააწყდეთ, ოჯახის ხარჯიც გაიზრდება. შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობას საფრთხე დაემუქროს. ემოციები გააკონტროლეთ და ხშირად დაისვენეთ. მოგზაურობა კი ამ პერიოდში მხოლოდ დამატებით სირთულეს შეგიქმნით.

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 29, 31 მარტი და 1, 3 აპრილი**

**18 მარტი – სავსემთვარეობა,**
**1 აპრილი – ახალმთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 28 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 04.15 საათზე, ჩადის 13.58 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 06.52 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.11 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ნაკლებად ილაპარაკეთ და უფრო მეტად სხვას მოუსმინეთ. ზედმეტი კომენტარებისგან თავი შეიკავეთ. მაღალია იმპულსურობის, უტაქტო გამონათქვამების, გაუაზრებელი სიტყვების, პატივმოყვარეობის, სიამაყის გამოვლენის სურვილი. მავნე ჩვევები გააკონტროლეთ. სასარგებლოა ცურვა, სუნთქვითი ვარჯიშები, სწრაფი სიარული. არ არის სასურველი ფორიაქი, ნერვიულობა, საიდუმლოს გამხელა. კარგი დღეა ელექტრო, აირ და კომპიუტერული ტექნიკური დანადგარების შესაძენად, ვაჭრობისთვის, რეკლამისა და განცხადებებისთვის, სახლის მშენებლობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სესხის ასაღებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, ძოწი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 29 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 18.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.33) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 04.48 საათზე, ჩადის 15.12 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 07.08 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 08.33 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს იმოქმედეთ ინტუიციაზე დაყრდნობით. ეცადეთ, სარკეში ნაკლებად ჩაიხედოთ, ტრავმული დღეა. სასიკეთოა ლოცვა. პარტნიორთან ურთიერთობისას ემოციები დაიოკეთ და მოთმინება გამოავლინეთ. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, ალკოჰოლის მიღება, საიდუმლო საქმეების წარმოება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, სპონსორის მოძიებისთვის, კუჭ-ნაწლავისა და ლიმფური სისტემის სამკურნალოდ, სპონსორის მოძიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, თვალები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 30 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.48 საათზე, ჩადის 18.24 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 05.16 საათზე, ჩადის 16.23 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 07.19 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია, სულიერად განვითარება. გამახვილებულია ინტუიცია, მგრძნობელობა, სენტიმენტალობა. შესაძლებელია სამყაროსგან მხარდაჭერის შეგრძნება, გარკვეული საკითხების სწრაფად გადაწყვეტა. ეფექტურია კუჭ-ნაწლავისა და ლიმფური სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლო სქემის წარმოება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ახალი საქმის დაწყება. იკრძალება ანალიზების ჩაბარება და ექოსკოპია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, კანი, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 31 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.46 საათზე, ჩადის 18.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.22) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.41 საათზე, ჩადის 17.32 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 07.28 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.37 საათიდან 13.32 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სულიერად და ფიზიკურად ნუ გადაიღლებით. კარგი დღეა ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. ეფექტურია თირკმლების მკურნალობა. არ არის სასურველი ზედმეტი მარილის, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა, თვალებს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თავი, სისხლძარღვები, ცხვირი. **ქვები:** მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი. **სალამოს** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.44 საათზე, ჩადის 18.26 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 18.40 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 07.36 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 10.25 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მძიმე ენერგიები ზემოქმედებენ. დადებითად განეწყვეთ! მაღალია აგრესია-დეპრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, შეცდომების, ცდუნებების, პროვოკაციების ალბათობა. ყურადღებით იყავით! ურთიერთობისას ქათინაურებს ნუ დაიშურებთ. თვალებს ნუ გადაღლით. სასიკეთოა ლოცვა, ოთახებში სანთელ-საკმევლის შემოტარება. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება ან გასესხება, ქორწინება, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ახალი საქმის დასახვისთვის, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** გიშერი, ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 2 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.43 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.37) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 06.25 საათზე, ჩადის 19.46 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 07.45 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.51 საათიდან 20.57 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დასკვნის გაკეთებისას ნუ იჩქარებთ. შესაძლოა, მოტყუვდეთ. ინფორმაციები შეამოწმეთ და საეჭვო დაპირებებს ნუ დაეყრდნობით. შესაძლოა, გავლენიანი ადამიანებისგან დახმარება მიიღოთ. კარგი დღეა არაფორმალური კონტაქტებისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი სულსწრაფობა, კამათი, გაკიცხვა, განკითხვა, სტომატოლოგიური პროცედურები, წესების დარღვევა, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 3 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.41 საათზე, ჩადის 18.28 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 20.51 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 07.51 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ამბიციურობა და აგრესიულობა მოიმატებს. მაღალია პარტნიორთან კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა. სიჯიუტისა და წვრილმანთა გამო ემოციები დაიოკეთ. პირდაპირობას მოერიდეთ. მეტი სითბო და ყურადღება გამოავლინეთ. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფობა, კისრის მკვეთრი მოძრაობები, ორპირ ქარში ყოფნა, გაკიცხვა და განკითხვა. საფულე აკონტროლეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის, ცხოველების შესაძენად, მშენებლობისთვის და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. სასიკეთოა ვეგეტარიანული დიეტა. ნუ გადაიღლებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები** აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



29 მარტი – ხსენება ამბროსი აღმსარებელისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა

✝ 28 მარტი. ორშაბათი. მოწამისა **აგაპისა** და მისთანა შვიდთა მოწამეთა: **პუპლისა, ტიმოლასი, რომილესი,** ორთა **ალექსანდრეთა** და ორთა **დიონისეთა;** მღვდელმოწამისა **ალექსანდრესი,** სიდელი **ხუცისა;** მოწამისა **ნიკანდრესი;** მოწამეთა **ფილექტიმონისა** და მისთანათა.

✝ 29 მარტი. სამშაბათი. **ამბროსი აღმსარებელისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა;** ღირსთა: პიმენ სალოსისა, ლეკთა განმანათლებელისა და ანტონი მესხისა, მეფეთა მამხილებელისა.

✝ 30 მარტი. ოთხშაბათი. **განზოგება დიდი მარხვისა.** ღირსმოწამისა **გაბრიელ მცირისა,** ლეკთაგან წამებულისა; ღირსისა **ალექსი** ღმრთისკაცისა; მოწამისა მამისა **მარინოსი;** ღირსისა **თეოქტირისტე** აღმსარებელისა.

✝ 31 მარტი. ხუთშაბათი. **კირილე** იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: **ტროფიმესი** და **ევკარპისი** და მათთანათა; ღირსისა **ანინე** მონაზონისა.

✝ 1 აპრილი. პარასკევი. მოწამეთა **ქრისანთესი** და **დარიასი** და მათთანა მოწამეთა: **კლავდი** ტრიბუნისა, მეუღლისა მისისა **ილარიასი** და ძეთა მათთა **იასონისა** და **მავრისა, დიოდორე** ხუცისა და **მარიანე** დიაკონისა; მოწამისა პანქარესი.

✝ 2 აპრილი. შაბათი. **მიცვალებულთა ხსენება.** ღირსთა: **იოანესი, სერგისა, პატრიკისა** და სხვათა, წმიდა საბას ლავრაში მოწყვეტილთა; მოწამეთა: **ალექსანდრასი, კლავდიასი, ევფრასიასი, მატრონასი, იულიანასი, ეფემიასი** და **თეოდოსიასი; ნიკიტა** აღმსარებელისა, **აპოლონიადელი** მთავარეპისკოპოსისა; **იოვანე** ურჰაელ კათალიკოსისა.

✝ 3 აპრილი. კვირა. **დიდმარხვის მე-4 კვირა. ღირსისა იოანე სინელისა** (კიბისაღმწერელისა). ღირსისა **იაკობ** აღმსარებელისა, ეპისკოპოსისა; **კირილესი,** კატანელი ეპისკოპოსისა; **თომასი,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.




3 აპრილი – ხსენება ღირსისა იოანე სინელისა (კიბისაღმწერელისა)













### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. დოქტორი; 8. პანამა; 11. მოპედი; 12. ტანკა; 13. ნარჩიტა; 14. რაველი; 15. ნიკორა; 16. ლიტრი; 17. მთავარი; 18. არიქათ; 22. შაპიტო; 25. ასლი; 26. კაფია; 29. მამბა; 30. შამპანი; 31. ვერანდა; 34. ლიფტი; 35. ზალპი; 36. ანაბარი; 40. ზარნაშო; 41. კიკო; 43. ტროა; 44. კაროლანი; 45. სინაპი; 49. ნეფრო; 50. გიდი; 51. პიციკატო; 55. ნესვი; 56. მაგი; 58. კარატი; 60. რომანტიკა; 61. დარი; 63. რანჩო; 64. სამბა; 65. კატაფალკი; 66. ლამბი; 67. სპიჩი; 68. არსად.

შვეულად: 1. კორიდა; 2. დეკორი; 3. დინამო; 4. ქარხანა; 5. ორიგამი; 6. იტალია; 7. ანატოლია; 8. პარია; 9. ნავთი; 10. მალტა; 19. რამაზოტი; 20. ქამელეონი; 21. თრაკია; 22. შოშია; 23. პომპა; 24. ტიარა; 26. კილი; 27. ფიფქი; 28. ავიზო; 32. რურკი; 33. ნიასა; 37. ნიაზი; 38. ბროლი; 39. რიანა; 41. კინო; 42. კაფკა; 45. სონი; 46. ნესტა; 47. პაიკი; 48. მინი; 50. გირჩა; 51. პარიკი; 52. ცამეტი; 53. კანაფი; 54. ტრიალი; 56. მარის; 57. განგი; 59. ტაბლა; 61. დოლი; 62. რემა; 64. სია.

**დერმატიტიკაკაჩიკორიდაკარიერიჰააგაურიკაფია**
**კატალოგიკაბარელიტერილენინიაგარაკითარაშიკი**

| დერმის ანთება | კაშკაშა მთვარიანი ღამე | ხარების ბრძოლა | მადნეულის მომპოვებელი ადგილი | ქალაქი ნიდერლანდებში | თვლებიანი მომცრო ხელით საზიდარი | საჭმელი ბავშვის ენაზე |
|---|---|---|---|---|---|---|

| კანი (ბერძნ.) | ტბა პერუსა და ბოლივიაში | ბზრიალა | სენეგალის დედაქალაქი | გაკვირვების შორისდებული | ინდური გარეული ძროხა | ექსპრომტი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 3. ერთ-ერთი სამეცნიერო ხარისხი; 8. ფართოფარფლიანი საზაფხულო ქუდი; 11. გაუმჯობესებული მოტოველოსიპედი; 12. იაპონური პოეზიის ჟანრი; 13. რეშად ნური გუნთექანის რომანი; 14. ფრანგი კომპოზიტორი; 15. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 16. სითხის საზომი ერთეული; 17. უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონე პირი შუა საუკუნეებში; 18. საგანგებო ძახილი საშველად; 22. მოძრავი ცირკი; 25. კოპიო; 26. ექსპრომტი; 29. გველის სახეობა; 30. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 31. სახლს მიშენებული ღია აივანი; 34. „ტრანსპორტი“ მრავალსართულიან შენობებში; 35. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა; 36. ბანკში შეტანილი ფული; 40. დიდი ბუ; 41. ტუზი ბანქოში; 43. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში, ილიონი; 44. იაპონური ხელოვნური ბოჭკო; 45. ვაშლის ჯიში; 49. თირკმელთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 50. ექსკურსიამძღოლი; 51. უხეშად, თითის ამოკვრით დაკვრა; 55. ბაღჩეული; 56. მისანი, მკითხავი; 58. ძვირფასი თვლების საზომი ერთეული; 60. ის, რაც ქმნის ემოციურ, ამაღლებულ დამოკიდებულებას რაიმესადმი; 61. კარგი ამინდი; 63. მესაქონლეობის ფერმა; 64. ბრაზილიური ცეკვა; 65. მიცვალებულის გასასვენებელი ავტომობილი; 66. მშვილდის ბაწარი; 67. მოკლე სადღეგრძელო; 68. არცერთ ადგილას, ანუ?

შვეულად: 1. ხარების ბრძოლა; 2. დეკორატიული ელემენტების ერთობლიობა; 3. თბილისის საფეხბურთო კლუბი; 4. სამრეწველო საწარმო; 5. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 6. ევროპის სახელმწიფო; 7. თანამედროვე თურქეთის აზიური ნაწილი; 8. „ხელშეუხებელთა“ კასტა ინდოეთში; 9. საწვავი სითხე; 10. ევროპის სახელმწიფო; 19. იტალიელი მომღერალი მამაკაცი; 20. ხვლიკის მსგავსი ცხოველი; 21. სპარტაკის სამშობლო; 22. მგალობელი ჩიტი; 23. ტუმბო; 24. რომის პაპის გვირგვინი; 26. მცირე ნაკლი; 27. თოვლის კრისტალი; 28. სწრაფმავალი პატარა მზვერავი გემი; 32. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 33. ტბა მოზამბიკში და მალავიში; 37. ტაჯიკი მწერალი; 38. უმაღლესი ხარისხის მინა; 39. ბარბადოსელი მომღერალი ქალი; 41. ხელოვნების დარგი; 42. ავსტრიელი მწერალი; 45. თურქული ტექნიკის ფირმა; 46. იტალიელი ფეხბურთელი; 47. ჭადრაკის ფიგურა; 48. მოკლე კაბა; 50. ნაძვის ყვავილედი; 51. ადამიანის თმისგან დამზადებული ვარცხნილობა; 52. „თარსი“ რიცხვი; 53. ბოჭკოვანი მცენარე; 54. ბრუნვა; 56. ბალერონი ... ლიეპა; 57. მდინარე ინდოეთში; 59. დაბალი მაგიდა; 61. ბატკნის მოგების დრო; 62. ცხენების ჯოგი; 64. ნუსხა.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე

| გარკვეული წესით შედგენილი რაიმე საგნების სია | პატარა რესტორანი ესტრადითურთ | პირობითი ასოითი ნიშანი | პროლეტარიატის ბელადი | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟი | დასტურის სიტყვა |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | შინაგანი კანონზომიერება | მოცულობის საზომი ამერიკაში | ლავსანის სახელწოდება ინგლისში | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | ძველი ბერძნული სიმებიანი საკრავი | გარეგნული ბრწყინვალება |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⇩ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

📰 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 ორშ. | ♠ | 🔔 | 👫 | 💣 | 👍 | ! | 🦁 | ⚥ | ✈ | 📰 | ⚥ | 💣 |
| 29 სამშ. | 📰 | 📖 | 🌴 | 📰 | 📖 | ⇩ | 🎁 | 👍 | 🎁 | 😐 | 🎁 | 🎁 |
| 30 ოთხშ. | 🎁 | 😐 | ⚥ | 😐 | 👍 | ☝ | 📖 | ⚥ | 😐 | 📖 | 💣 | ⚥ |
| 31 ხუთშ. | ☯ | 🌴 | 💣 | 👎 | ? | 🦁 | 🤝 | 🎁 | ? | 🍷 | ☝ | ⇩ |

WWW.ASAVALI.COM

mail@asavali.com

🦁 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვიადისტური
ასავალ დასავალი
2022 წლის 28 მარტი – 3 აპრილი №14 (1426)
გამოდის ორშაბათობით
ISSN 2233-3800

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: 215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com
ელ-ფოსტა: mail@asavali.com ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
www.facebook.com/Asavali.com გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**